აკაკი სურგულაძე

ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1970

ნარკვევი ეხმაურება იმ დისკუსიას.. რომელიც საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში ამ უკანასკნელ წლებში ერის ცნების თაობაზეა გაშლილი. სპეციალურადაა განხილული ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი. ავტორი ცდილობს მოგვცეს რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაცია.

წინასიტყვაობა

ბოლო წლებში ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩაღდა დისკუსია ერის ცნებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. წამოყენებულ იქნა ერის ახლებური განმარტება, ერის ისტორიული ტიპების ახლებური კლასიფიკაცია. დისკუსიის ზოგიერთმა მონაწილემ „ფეოდალური ერის“ ცნებაც კი შემოიტანა ხმარებაში.

წინამდებარე ნარკვევი ამ სადისკუსიო საკითხებს ეხმაურება. ვცადეთ გვეჩვენებინა დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობის მიერ ერის ნიშანთა შესახებ გამოთქმული თვალსაზრისის უსაბუთობა, ერის ძირითად ნიშანთა შორის ეროვნული სახელმწიფოებრიობის ნიშნის შეტანის მიზანშეწონილობა, ერის ისტორიულ ტიპებად გათიშვის შეუსაბამობა, ჩვენს ეპოქაში ერების შერწყმისადმი მისწრაფების შეუთავსებლობა მარქსიზმ-ლენინიზმთან და სხვ.

ნარკვევში გამახვილებულია ყურადღება ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პრობლემაზე. შევეცადეთ გვეჩვენებინა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესი, რაც მისი სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებიდან დაიწყო და XIX ს. დასასრულამდე გრძელდებოდა.

ნარკვევის ბოლო ნაწილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაობისა და ქაროულ სინამდვილეში მისი პერიოდიზაციისადმია მიძღვნილი. ვცადეთ ჩამოგვეყალიბებინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ნიშან-თვისებანი, გაგვერკვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება XIX ს. საქართველოში და სოციალისტურ რევოლუციამდე ამ მოძრაობის მიერ გავლილი ეტაპები.

მკითხველს მოეხსენება ნარკვევში აღძრულ საკითხთა სირთულე. ავტორს პრეტენზია არ აქვს მისი მოსაზრებანი უდაო ჭეშმარიტებად გამოაცხადოს. თვით საკითხის დაყენებაც, ჩვენი აზრით, არაა ინტერესმოკლებული. სიამოვნებით გავიზიარებთ ნარკვევის შესახებ გამოთქმულ ყველა სამართლიან შენიშვნას.

რა არის ერი

ეროვნული საკითხი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და ამასთან ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. მას შემდეგ, რაც გააქტიურდა ხალხების ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, ეროვნული საკითხი სპეციალური კვლევა-ძიების საგანი გახდა. დაწყებული ფრანგი განმანათლებლებიდან (ჟან-ჟაკ რუსო, დიდრო, ჰელვეციუსი, ჰოლბახი და სხვ.), რომლებმაც პირველად სცადეს ეროვნული მოძრაობის ახსნა, ეს საკითხი თეორიული მსჯელობის საგანი გახდა და ბურჟუაზიულ-იდეალისტური თუ სოციალისტურ-მატერიალისტური მიმართულების მრავალმა წარმომადგენელმა სცადა ერის ცნება და ხალხების ეროვნული მოწყობის პრობლემა გაეშუქებინა.

მარქსამდელმა ფილოსოფოსებმა და სოციოლოგებმა ეროვნული საკითხის მეცნიერული ახსნა ვერ შეძლეს. მიუხედავად ამისა, მათ ნაშრომებში მოიპოვება ცალკეული მართებული დებულებები ერის ამა თუ იმ ნიშნის, ერების ჩამოყალიბების, ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის შესახებ. მაგალითად, ფრანგი განმანათლებლები ერების წარმოშობას ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდს უკავშირებდნენ და მათ თანამედროვე სამშობლოს „მხოლოდ დაბადების პროცესში მყოფ ფრანგ ერს“ უწოდებდნენ.

ფრანგი მატერიალისტებიც და სოციალისტ-უტოპისტებიც ერის ძირითად ნიშნებად ენასა და ზნე-ჩვეულებას თვლიდნენ. მაგრამ ერის დამახასიათებელი ყველა ნიშნის განსაზღვრა საზოგადოებრივ მოვლენებზე იდეალისტურ შეხედულებათა გამო, მათ არ შეეძლოთ.

ეროვნული საკითხის დემოკრატიული თვალსაზრისი მარქსამდელი მოაზროვნეებიდან ყველაზე თანმიმდევრულად რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს. ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, პისარევი, სერნო-სოლოვიევიჩი, შელგუნოვი და სამოციანელთა სხვა დიდი მოაზროვნეები მხურვალედ თა-

ნაუგრძნობდნენ მათ თანამედროვე ევროპასა და რუსეთში აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ჩაგრულ ერთა ინტერესების თანმიმდევარ დამცველებად გამოდიოდნენ. რევოლუციურმა დემოკრატებმა, ამასთან, გამოთქვეს მრავალი საყურადღებო და მეცნიერულად სწორი მოსაზრება ერის თაობაზე, ხალხთა ერებად კონსოლიდაციაზე და მრავალეროვან ქვეყანაში პატარა ერების თანაცხოვრების საკითხებზე.

ერის ცნების, ხალხების ერებად კონსოლიდაციის პროცესის, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათისა და ეროვნული საკითხის გადაწყვეტის რთული საკითხების მეცნიერული ახსნა მარქსისა და ენგელსის სახელთანაა დაკავშირებული. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა კაპიტალისტური ფორმაციის ყოველმხრივ ანალიზთან ერთად იმ დროისათვის ევროპაში მიმდინარე ფართო ეროვნული მოძრაობის ანალიზიც მოგვცეს და ჩამოაყალიბეს ფუძემდებელი დებულებანი, რომლებიც ამოსავალია ერისა და მისი განმათავისუფლებელი მოძრაობის განსაზღვრისათვის. მარქსმა და ენგელსმა ერების ჩამოყალიბება ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქას დაუკავშირეს, ერის ცნების განმარტებაში პირველმა გაამახვილეს ყურადღება ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ერთობის ნიშანზე, პროგრესულად გამოაცხადეს კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული სახელმწიფოების შექმნისაკენ მისწრაფება, ეროვნული საკითხის საუკეთესო და ერთადერთ გადაწყვეტად აღიარეს ერთა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. რაც მთავარია, ეროვნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მათ პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუკავშირეს.

ერისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეცნიერული შესწავლის საქმეში ახალი ეტაპი ვ. ი. ლენინის სახელთანაა დაკავშირებული. ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ ეპოქაში, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მაღალ ფაზაში შევიდა და პროლეტარული რევოლუცია და მასთან დაკავშირებული ეროვნული საკითხის გადაწყვეტა პრაქტიკული განხორციელების საგანი გახდა. ახალ ვითარებაში ვ. ი. ლენინმა არა მარტო დაიცვა ეროვნულ საკითხზე მარქსის შეხედულებები II ინტერნაციონალის ოპორტუნისტული შერყვნისაგან, არამედ სოციალისტური რევოლუციის მომწიფების შესაბამისად დასახა კონკრეტული გზები მარქსისტული ეროვნული პროგრამის განსახორციელებლად.

ეროვნულ საკითხზე ვ. ი. ლენინის დებულებები საფუძვლად დაედო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტუ-

რი საზოგადოების ეპოქაში ეროვნული პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტას ჩვენს ქვეყანაში.

ცნობილია, რომ ეროვნულ საკითხზე 1913 წელს სპეციალური ნაშრომი დაწერა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც ლენინის სახელმძღვანელო მითითებათა საფუძველზე, მარქსისტულ ლიტერატურაში პირველად ჩამოაყალიბა ერის ცნება კონკრეტულ დებულებად.

ერის სტალინისეული განსაზღვრა საბჭოთა ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული და აღიარებული, რადგან იგი ყველაზე უკეთ გამოხატავს ერის შესახებ მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისს.

მხოლოდ ამ ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებში და პრესაშიც (ჟურნ. „ვოპროსი ისტორიი", „ვოპროსი ფილოსოფიი" და სხვ.) გაჩაღდა ფართო დისკუსია ერის ცნების შესახებ. დისკუსიის საჭიროებას მისი მოთავენი იმით ასაბუთებენ, რომ ერის აღიარებული განმარტება „ნაკლულია", „არაზუსტია", რადგან იგი ასახავს მხოლოდ იმ დონეს, რომელიც ერების კვლევის საქმეში მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის იყო მიღწეული. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდგომმა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებმა, მიუთითებენ დისკუსიის ინიციატორები, კერძოდ, სოციალისტური ერების ჩამოყალიბებამ, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში გაჩაღებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, კოლონიური სისტემის რღვევამ ეროვნული საკითხის თეორიული არსენალი გაამდიდრეს, ეროვნულ საკითხში დაგროვდა დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ამასთან, უკანასკნელ წლებში ერის რაობაზე ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა, ეთნოგრაფოთა და იურისტთა რკვევის შედეგებმა თავისთავად წამოჭრეს საკითხი ერის სტალინისეული განსაზღვრის შევსება-დაზუსტების შესახებ. ერის ცნების შესახებ ი. სტალინის დებულების შევსება-დაზუსტება შეაპირობა იმ აქტიურმა შეტევამაც, რაც უკანასკნელ წლებში ერის მარქსისტულ ცნებაზე ბურჟუაზიულ-იდეალისტური მიმართულების მკვლევარებმა მიიტანეს (ამერიკელი სოციოლოგები ფ. კორტროფი, გ. კონი, ვ. ხოლანდი და სხვ.).

საგანსკუსიო სტატიათა ავტორები მიზნად ისახავენ რა ერის ცნების დაზუსტება-სრულყოფას მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით, გვთავაზობენ ერის ახლებურ განსაზღვრას. მაგ. პ. მ. როგაჩოვი და მ. ა. სვერდლინი, რომლებმაც ჟურნ. „ვოპროსი ისტორიის" ფურცლებზე დისკუსია წამოიწყეს, განმარტავენ ერს როგორც „ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობას, რო-

მელიც ხასიათდება სამეურნეო ცხოვრების (მუშათა კლასის არსებობის პირობებში), ტერიტორიის, ენის (განსაკუთრებით ლიტერატურულის) მყარი ერთობით, ეთნიკური კუთვნილების შეგნებით და აგრეთვე ფსიქოლოგიის, ყოფის ტრადიციების, კულტურისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი თავისებურებით" [1].

„ერის დახასიათებისათვის საერთოდ, ე. ი. ყველა ტიპის ერისათვის საკმარისია დავასახელოთ ყველაზე საერთო ნიშნები: ცხოვრების ეკონომიური საფუძველი, ტერიტორიის მთლიანობა, ენის ერთგვაროვნება და შეგნება ეთნიკური კუთვნილებისა" — აღნიშნავს დისკუსიის მონაწილე ს. ტ. კალტახჩიანი [2].

მ. ო. მნაცაკანიანის განსაზღვრით „ერი ესაა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ადამიანებისა, რომელთაც აქვთ საერთო ენა, საერთო ტერიტორია, საერთო სამეურნეო კავშირები და საერთო სახელმწიფოებრივი წყობილება" [3].

„ერი ადამიანთა სოციალურ-ეკონომიური ერთობაა გამოვლენილი ეკონომიკის, ტერიტორიის, დამწერლობითი ენის ხასიათსა და კულტურის მთლიანობაში" [4], აღნიშნავს მკვლევარი თ. ი. ბურმისტროვა.

ერის ცნების საკითხზე გამართული დისკუსიის მსვლელობაში არცერთ მკვლევარს არ წამოუყენებია ერის არსებითად განსხვავებული განმარტება. ერის ისეთი ძირითადი ნიშნებიც, როგორიცაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების ერთობა, მოკამათეთა შორის დავის საგანი არ გამხდარა. ეს ნიშნები ყველას მიერ აღიარებულია ყველა ტიპის ერის აუცილებელ კომპონენტად. მკვლევართა ერთი ნაწილი შეეცადა მხოლოდ ერის სტალინისეული განმარტება „შეევსო" რიგი ნიშნების დამატებით ან „დაეზუსტებინა" ზოგიერთი ნიშნის ან საერთოდ ამოღებით, ან მისი სხვაგვარი ფორმულირებით. დავის საგანი განსაკუთრებით გახდა ერის მეოთხე ნიშანი, ანუ კულტურის ერთობაში გამოხატული ფსიქიკური წყობა ერისა. მიიჩნიეს, რომ ეს არაა ერის აუცილებელი, ძირითადი ნიშანი (კალტახჩიანი. მნაცაკანიანი და სხვ.). როგაჩოვმა და სვერდლინმა კულტურის ერ-

---

[1] П. М. Рогачев, М. А. Свердлин, О понятии «нация», журн. «Вопросы истории», 1966, № 1, გვ. 45.

[2] С. Т. Калтахчян, К вопросу о понятии «нация», журн. «Вопросы истории», 1966. г., № 6, გვ. 42.

[3] М. О. Мнацаканян, Нация и национальная государственность, журн. «Вопросы истории», 1966 г., № 9, გვ. 35.

[4] Т. Ю. Бурмистрова, Некоторые вопросы теории нации, журн. «Вопросы истории», 1966 г., № 12, გვ. 108—109.

თობაში გამოხატული ფსიქიკური წყობის ნაცვლად შემოიტანეს „ეთნიკური კუთვნილების შეგნება“ (როგორც ნიშანი) და აგრეთვე ფსიქოლოგიის, ცხოვრების ტრადიციის, კულტურის და განმათავისუფლებელი ბრძოლის ზოგიერთი თავისებურება.

ერი ურთულესი სოციალური ორგანიზმია და ცხადია, მას მრავალი ნიშან-თვისება გააჩნია. ამ ნიშან-თვისებათაგან ზოგი პირველხარისხოვანია, ძირითადია, არსებითია და ერის განვითარების ყველა ეტაპზე და ყველა გარემოებაში მისი შინაარსის უცვლელ შემადგენელ ნაწილად რჩება. ზოგიც არაარსებითი, მეორეხარისხოვანია და ამდენად არაძირითადია, რადგან ერის განვითარების ცალკეულ ეტაპზე შესამჩნევად გამოვლინების მიუხედავად, სხვა ვითარებაში ქრება და ვერ ინარჩუნებს თავის არსებობას როგორც ერის რაობის უცვლელი კომპონენტი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერის ნიშნები, რომლებიც ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს განმარტებაშია წარმოდგენილი, ერის ძირითადი, არსებითი განმსაზღვრელი ნიშნებია და სრულებითაც არაა შემთხვევითი, რომ დისკუსიის მონაწილე ყველა მკვლევარი მათ ძალაში ტოვებს. მოკამათეთა მიერ შემოთავაზებული ნიშნების უმრავლესობა არაარსებით ნიშანთა კატეგორიას განეკუთვნება და ერის დასრულებული სახის წარმოსადგენად დეფინიციაში მათ შემოტანას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

მაგრამ მოკამათეთა მიერ შემოთავაზებული დამატებითი ნიშნებისაგან არის ერთი ნიშანი, — ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რაც არ შეიძლება არაარსებით ნიშანთა ჯგუფს განეკუთვნოს. მით უმეტეს, ჩვენს ეპოქაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელ ეტაპზე ეს ნიშანი ერის სხვა არსებით ნიშნებთან ერთად მკვეთრად იჩენს თავს და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ამ ნიშნის დამატებით ერის ცნება უფრო სრულყოფილი, მისი დღევანდელი ვითარების უკეთ ამსახველი გახდებოდა.

ვცადოთ ამ თვალსაზრისის დასაბუთება.

მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში ერის შესახებ გამოთქმული დებულებანი გვაძლევენ იმის სრულ საფუძველს, რომ ეროვნული სახელმწიფო ერის ფორმირების, მისი არსებობის ერთ-ერთ დამახასიათებელ და აუცილებელ კომპონენტად გამოვაცხადოთ. მარქსს და ენგელსს მიაჩნდათ, რომ ერების ფორმირების გადამწყვეტი პირობა — ფეოდალური ურთიერთობის რღვევა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება მიმდინარეობდა ქვეყნების პოლიტიკური ცენტრალიზაციის ვითარებაში და ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს აქ ეროვნული სახელმწიფოს წარმოქმნა ასრულებდა; ამასთან, პოლი-

ტიკური ცენტრალიზაციის, პოლიტიკური ერთობის პროცესი, ანუ ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი, დროში საესებით ემთხვეოდა ეროვნული ერთობის პროცესს და ურთიერთგანპირობებული ეს პროცესები ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. ერად ჩამოყალიბების პერიოდში თითოეული ნორმალურად განვითარებადი ქვეყანა ევროპაში წარმოდგენილი იყო ეროვნულ სახელმწიფოდ [1].

ხალხების ერებად ჩამოყალიბების პროცესში ეროვნული სახელმწიფოს გადამწყვეტ მნიშვნელობაზე არაერთგზის მიუთითებდა ვ. ი. ლენინი. ეროვნული სახელმწიფო მას მიაჩნდა ხალხთა ერებად კონსოლიდაციის ტიპიურ მოვლენად არა მარტო ევროპისათვის, არამედ მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის. „ე რ ო ვ ნ უ ლ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა შექმნა — წერს ვ. ი. ლენინი — რომლებიც ყველაზე უკეთ აკმაყოფილებენ თანამედროვე კაპიტალიზმის ამ მოთხოვნებს, წარმოადგენს ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენციას (მისწრაფებას). აქეთ უბიძგებენ უღრმესი ეკონომიური ფაქტორები, და ამიტომ მთელი დასავლეთ ევროპისათვის — უფრო მეტიც: მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის — ტ ი პ ი უ რ, ნორმალურ მოვლენას კაპიტალისტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“ [2]. ვ. ი. ლენინს ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა აზიაშიც ეროვნულ მოძრაობათა ტენდენციად მიაჩნია [3], რადგან კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს სწორედ ასეთი სახელმწიფოები უზრუნველყოფდნენ. ეკამათებოდა რა როზა ლუქსემბურგს, ვ. ი. ლენინი ადასტურებდა კაუცკის დებულების სისწორეს, რომ „ეროვნული სახელმწიფო არის კაპიტალიზმის წესი და „ნორმა“. ეროვნულად აჭრელებული სახელმწიფო კი ჩამორჩენილობა ან გამონაკლისია“ [4], რომ „ეროვნულ ურთიერთობათა თვალსაზრისით, კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს, უეჭველია ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“ [5]. ასეთივე თვალსაზრისს გამოთქვამს ვ. ი. ლენინი „რეფერატში ნაციონალური საკითხის შესახებ“, ერის ნიშნებზე — ეკონომიურ ერთობაზე, ტერიტორიასა და ენაზე მითითებისას იგი ასახელებს ეროვნულ სახელმწიფოს, რომლის შექმნა მას ეკონომიურ აუცილებლობად მიაჩნია.

ამგვარად, ხალხების ერებად ჩამოყალიბების ნორმალურ პირო-

---

[1] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, გვ. 410, 421, 422.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 483.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 488.

[5] იქვე.

ბებში, ე. ი. ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც ეროვნული ჩაგვრის მსხვერპლი არ გამხდარა, ეროვნული სახელმწიფო გადამწყვეტ როლს ასრულებდა და ეროვნული ორგანიზმის ისეთივე აუცილებელი კომპონენტი იყო, როგორც ვთქვათ, ენა, ეკონომიური ერთობა და ტერიტორია. ამასთან, იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია წინ უსწრებდა ერების კონსოლიდაციის პროცესს, სახელმწიფო ყოველთვის ხალხების ერებად ფორმირების დამაჩქარებელ პროგრესულ ფაქტორს განასახიერებდა. ეროვნული სახელმწიფოებრიობა, როგორც ერთ-ერთი ნიშანი ეროვნულობისა, მრავალ ხალხს გაუჩნდა გაცილებით ადრე, ვიდრე მისი ერად ჩამოყალიბების პროცესი დასრულდებოდა და იგი, — ჯერჯერობით პოტენციური ნიშანი იყო ერისა,—და პროგრესულ როლს ასრულებდა ეროვნული კონსოლიდაციის მთელ პროცესში (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია და სხვ.).

ი. სტალინი, ერის დამახასიათებელ ნიშანთა შორის ეროვნული სახელმწიფოს შეტანას რომ უარყოფდა, მიუთითებდა ისეთ ქვეყნებზე, რომლებიც ერებად ეროვნული სახელმწიფოს შექმნის გარეშე ჩამოყალიბდნენ. „თქვენი სქემის მიხედვით — უპასუხებდა იგი მეშკოვს, კოვალჩუკსა და სხვებს, — ერებად უნდა გვეცნო მხოლოდ ისეთი ერები, რომლებსაც თავიანთი საკუთარი, სხვებისაგან განცალკევებული სახელმწიფო აქვთ, ხოლო ყველა ჩაგრული ერი, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მოკლებულნი არიან, უნდა ამოგვეშალა ერების რიცხვიდან, ამასთან ჩაგრული ერების ბრძოლა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, კოლონიური ხალხების ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა გამოგვერიცხა „ნაციონალური მოძრაობის“, „ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ ცნებიდან“ [1].

მართლაც, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მრავალი ხალხის ერად ჩამოყალიბება მოხდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის გარეშე. რადგან ისინი ადრევე გახდნენ აგრესიის მსხვერპლი. ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება მრავალეროვანი სახელმწიფოს—ავსტრია-უნგრეთის ისტორიიდან. რუსეთის ცარიზმმა უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასია რომ შეიერთა, მათი სახელმწიფოებრიობაც მოისპო. ამ ხალხების ერებად კონსოლიდაციის პროცესი ხომ XIX ს. მეორე ნახევრისათვის დასრულდა, როცა ისინი კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ იყვნენ მოქცეული.

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. თხზ., ტ. 11, გვ. 370.

კოლონიური ჩაგვრის პირობებში მყოფი ხალხების ერებად კონსოლიდაციის პროცესი, ცხადია, არანორმალურ ვითარებაში, მძიმედ და მტკივნეულად მიმდინარეობდა. ამ ხალხების ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა იყო ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის (ვისაც ასეთი გააჩნდა აგრესიამდე) ან მოპოვებისათვის, რომლებმაც იგი ადრე, ფეოდალური განკერძოებულობისა და შინაომის პერიოდში დაჰკარგეს. გერმანიაში, მაგალითად, XIX ს. პირველ მეოთხედში კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანობითი განვითარების პირობებში მიმდინარეობდა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი. ამ პროცესის ერთი მხარე იყო ბრძოლა ფეოდალური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ, მეორე — ნაპოლეონის უღლის წინააღმდეგ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გერმანელი ხალხის ცხოვრებაში ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის ნიშნით მიმდინარეობდა და გამარჯვებით დაგვირგვინდა — გერმანელმა ერმა შექმნა თავისი სახელმწიფო და წარმატებით დაასრულა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი. ასევე მოხდა იტალიაშიც. იტალიელმა ხალხმა აგრესიის შედეგად სახელმწიფო ეროვნულ კონსოლიდაციამდე დაჰკარგა. ცნობილია იტალიელი ხალხის მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ჯერ ნაპოლეონის, შემდეგ ავსტრიის ძალადობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში იტალიელი ხალხის მისწრაფება იყო ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა და ფეოდალური ჩაგვრის ლიკვიდაცია.

XIX ს. 60-იანი წლებისათვის იტალიელმა ხალხმა ეს ბრძოლა წარმატებით დააგვირგვინა და მისი ერად ჩამოყალიბების მთელი ეს მტკივნეული პროცესი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან ერთად დასრულდა.

ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა რუსეთის იმპერიაში შემავალი კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ტენდენცია იყო. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა ერთის მხრივ ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ და ეს იყო მისი სოციალური შინაარსი, მეორეს მხრივ, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული თვითმყოფობის მოსაპოვებლად. განაპირა კოლონიურმა ხალხებმა რუსეთის ერთიან სახელმწიფოებრივ სისტემაში, მართალია, მოასწრეს ეროვნული კონსოლიდაცია, ვიდრე ეროვნულ სახელმწიფოს მოიპოვებდნენ, მაგრამ ეს კონსოლიდაცია არ იყო ნორმალური, მას მაინც მახინჯი სახე ჰქონდა, რადგან აკლდა ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. ერის თვითშეგნების

ზრდასთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა აღმავლობას განიცდიდა. ბრძოლის სათავეში თანდათან ექცეოდა საზოგადოების ყველაზე პროგრესული კლასი — პროლეტარიატი, რომელსაც მჩაგვრელი ერის პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირში უნდა გადაეწყვიტა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ამოცანა. ბოლშევიკური პარტიის პროგრამა ეროვნულ საკითხში ერთა თვითგამორკვევა თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, გულისხმობდა თითოეული ერის სუვერენიტეტს, ანუ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ვ. ი. ლენინი ანალიზს უკეთებდა რა 1905—1907 წლებში რუსეთის იმპერიაში აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, აღნიშნავდა, რომ ეს მოძრაობა განაპირა მხარეებში ელინდებოდა ფედერაციულ მისწრაფებებში. ხოლო ეს არსებითად იყო ბრძოლა საკუთარი სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად.

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ ერის ცნების განსაზღვრაში ეროვნული სახელმწიფოებრიობის შეტანა „მცდარია თეორიულადაც და პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც“. რადგან „ერების შემადგენლობიდან რიცხავს სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ჩაგრულ ერებს... გამოდის, ირლანდიელები და ნორვეგიელები ერებს არ წარმოადგენდნენ, ვიდრე მათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა არ მოიპოვეს; ქართველები და სომხები მთელ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს, თითქოს, ერები არ იყვნენ და მენშევიკებისა და დაშნაკების უდღეური ბატონობის წლებში იქცნენ ერებად“ [1].

ასეთი დასკვნები ისტორიულ ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ჯერ-ერთი, ერის დამონება სრულიადაც არაა ქვეყნის შინაგანი განვითარებიდან გამომდინარე კანონზომიერი პროცესი. იგი გარეშე ძალის ჩაგვრის უხეში ჩარევის და, ამდენად, დაპყრობილი ქვეყნის სასიცოცხლო განმავითარებელი წყაროების დროებით დამაბრკოლებელი მიზეზია, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა მოისპოს. მეორეც, სუსტი ქვეყანა, აგრესიის მსხვერპლი რომ გახდა, სახელმწიფოებრივად უკვე ჩამოყალიბებული იყო და სწორედ ეროვნული სახელმწიფოებრიობა იყო ერთ-ერთი ძლიერი წყარო მისი ეროვნული კონსოლიდაციისა საუკუნეთა მანძილზე.

ირლანდია, ვიდრე ინგლისელი კოლონიზატორები დაიპყრობდნენ (მე-12—15 საუკ.), ფეოდალური სახელმწიფო იყო და ეროვნუ-

---

[1] გ. ბ რ ე გ ა ძ ე, ერის ცნება და ერების ტიპები. ჟურნ. „მაცნე“, № 5. 1967 წ. გვ. 385.

ლი სახელმწიფოებრიობა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, გადამწყვეტი ფაქტორის როლს თამაშობდა ირლანდიელი ერის ფორმირების ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში. სწორედ ინგლისელმა დამპყრობლებმა, რომლებმაც ირლანდიის სახელმწიფოებრიობა მოშალეს და მის ხალხს მონობის მძიმე უღელი დაადეს, „მოუსპეს განვითარების ყოველგვარი საშუალება და გადაისროლეს იგი ერთი საუკუნით უკან, და ამასთან, მაშინვე, XII საუკუნის დასაწყისიდანვე“ [1], ირლანდიელი ხალხის ბრძოლა ამ დროიდან არ დამცხრალა. ინგლისელ დამპყრობთაგან განთავისუფლების, საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ტენდენცია იყო ის მძლავრი ფაქტორი, რომელიც დაჩაგრულ ირლანდიელ ხალხს ერთიან ეროვნულ ძალად აყალიბებდა.

სახელმწიფო დიდ მაორგანიზებელ როლს ასრულებდა ნორვეგიელი ხალხის ცხოვრებაშიც. ნორმანების ცნობილი ყაჩაღური ლაშქრობის (9—11 საუკუნეში) დროს ნორვეგიაში ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლება არ არსებობდა. ნორვეგიელების ბინადარი ცხოვრების ორგანიზებაში, მიწათმოქმედების განვითარებაში, ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლაში გადამწყვეტი როლი ნორვეგიაში ძლიერი ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბებამ შეასრულა, რაც XIII ს. დასაწყისიდან განხორციელდა. მართალია, ნორვეგიის სუვერენული სახელმწიფო მალე მოიშალა და ნორვეგია XIV საუკუნიდან დიდი ხნის განმავლობაში ხან დანიის, ხან შვეციის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ სწორედ ეს ხანა იყო ნორვეგიის ეკონომიკისა და კულტურის ნელი, მტკივნეული და ცალმხრივი განვითარების პერიოდი. ამასთან, დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა ნორვეგიაში ეროვნული კონსოლიდაციის, ეროვნული თვითშეგნების ამაღლების ნიშნით მიმდინარეობდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ნორვეგიელი ხალხის ერად ჩამოყალიბებაში სახელმწიფოებრიობის როლს ასრულებდა. მხოლოდ 1905 წლიდან, როცა ნორვეგიამ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მოიპოვა, დაიწყო სწრაფი ეკონომიურ-კულტურული წინსვლა და მაორგანიზებელი ძალა ამ განვითარებაში დამოუკიდებელმა სახელმწიფო წყობილებამ შეასრულა.

ქართველებს XIX საუკუნის დასაწყისამდე ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა და სწორედ ეს ფაქტორი იყო ძირითადი და განმსაზღვრელი მისი ეროვნული ნიშნების ზრდა-განვითარების ხანგრძლივ პროცესში. ქვეყნის ეროვნული ძალები ყვაოდნენ იმ ეპო-

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 24. გვ. 280.

ქაში, როცა ძლიერი იყო ცენტრალური ხელისუფლება, ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ქვეყანა მძაფრი კრიზისის წინაშე დგებოდა მაშინ, როცა ეროვნული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი უძლურდებოდა და საქართველოს ერთიანობის ხელისშემწყობი ძალები სუსტდებოდა, ფეოდალური განკერძოებულობა და შინაომები ძლიერდებოდა. ცნობილია, რომ ფეოდალური ფორმაციის დროს, როდესაც ძლიერი ფეოდალური ერთეულები დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვიან, ცენტრალური ხელისუფლება, ეროვნული სახელმწიფოებრიობა პროგრესული მოვლენაა და იგი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, მისი შინაგანი ძალების წინსვლის, მისი ეროვნული კონსოლიდაციის წამყვანი ფაქტორია.

ამრიგად, ეროვნული სახელმწიფოებრიობა როგორც ერის ნიშანი, ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე მოჰყვებოდა და მისი ეროვნული სახის შენარჩუნებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად მისი ეროვნული სუვერენიტეტი მოიშალა. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. ქართველ ხალხში ეროვნული გრძნობა მუდამ ცოცხლობდა. იგი რუსი ხალხის მხარდამხარ ებრძოდა ცარიზმს, რომ თავისი სახელმწიფოებრიობა აღედგინა.

ქართველი ხალხი ცარიზმის კოლონიზატორულ ღონისძიებებს წინაღუდგა და სწორედ აქ იჩინა თავი იმ ტრადიციამ, რომელიც ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში გამოიმუშავა თავისი დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოებრიობის დასაცავად. ცარიზმის ბატონობის მთელ მანძილზე საქართველოში მიმდინარეობდა დაუცხრომელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის კოლონიური უღლის დამსხვრევისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, გაჩნდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის ტენდენცია და ეს ტენდენცია იყო ერთ-ერთი უძლიერესი ფაქტორი, რომელიც ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესს აჩქარებდა და ხელს უწყობდა მის დაგვირგვინებას. ამრიგად, XIX ს. საქართველოში, როცა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება დასრულდა, ეროვნული სახელმწიფოებრიობის ნაცვლად სახეზე იყო ამ სახელმწიფოებრიობის მოპოვებისათვის ბრძოლის ძლიერი ტენდენცია.

ახლა საკითხავია: ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პირობებში ჩამოყალიბებული ქართველი ერის ცხოვრება ნორმალური იყო? ერის სასიცოცხლო ძალების მოქმედება შეუფერხებლად მიმდინარეობდა? ქართველ ხალხს თავისი შემოქმედებითი ენერგიის გამოვლინების შესაძლებლობანი გააჩნდა? ცხადია არა. ცარიზმი, პირველ

რიგში, ეროვნულ ენას, მის ტრადიციებს, მის კულტურას ებრძოდა და ყველა ზომას ხმარობდა, რომ დაეშრიტა ერის აღორძინების მასაზრდოებელი წყაროები, ამახინჯებდა ქართულ ეროვნულ სახეს.

მსგავსი მაგალითების მოტანა შეიძლება სომხეთის და აზერბაიჯანის ისტორიიდან, ყველა იმ ხალხების ისტორიიდან, რომელთაც ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პირობებში დაასრულეს. სახელმწიფოებრიობის დროებითი მოშლა არ ნიშნავს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის საერთოდ შეწყვეტას. ირლანდიელებიც, ნორვეგიელებიც, ქართველებიც, სომხებიც, რომლებიც ერებად სახელმწიფოებრიობის დროებითი არარსებობის ვითარებაში ჩამოყალიბდნენ, ამ ჩამოყალიბებისათვის ისტორიულად იყვნენ შემზადებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფაქტორისაგან და ჩამოყალიბების პროცესში ამ ფაქტორის აღდგენისაკენ მიისწრაფოდნენ. ამ მისწრაფების გარეშე მათი ეროვნული სხეული ნამდვილად ზრდანაკლული და მახინჯი დარჩებოდა.

სახელმწიფოებრიობის მოშლა, ცარიზმის უხეში ეკონომიური პოლიტიკა, როგორც ვთქვით, ხელს უშლიდა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ნორმალურ ვითარებაში დასრულებას. მაგრამ XIX საუკუნეში, კაპიტალიზმის ეპოქაში, მტრული აღმოსავლური გარემოცვიდან გამოსულ და ახალ, ფართო ორბიტში მოქცეულ საქართველოს შეექმნა ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესის წარმატებით დამთავრების პირობები. პირველყოვლისა, იგი მტკიცედ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ქვეყანა აღდგა ისტორიულ საზღვრებში, და გაერთიანდა ფაქტიურად გათიშული საქართველოს ადრინდელი ფეოდალური სამთავროები. ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში გაცხოველდა ერის გამოღვიძების, მისი თვითშეგნების ამაღლების პროცესი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ ერის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს მძლავრი იმპულსი მისცა.

ამრიგად, XIX ს. მეორე ნახევარში ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვის მიუხედავად, შორეულ საუკუნეებში დაწყებული პროცესი ერად ჩამოყალიბებისა, გაძლიერდა, გაცხოველდა, ახალ საფეხურზე ავიდა, მაგრამ ეროვნული კონსოლიდაციის ამ დამამთავრებელ ეტაპზე ქართველ ხალხს არ ჰქონდა ეროვნული სუვერენიტეტი, თავისი სახელმწიფო. ეს დიდ დაღს ასვამდა ეროვნულ სახეს. დამახასიათებელია, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისაკენ იყო

მიმართული [1]. XIX ს. 40-იან წლებამდე ამ მოძრაობას უპირატესად სათავეში ქართველი თავადაზნაურობა ედგა. თავადაზნაურობამ მისი სოციალური კონსერვატიზმის გამო, ამ საკითხის გადაწყვეტა ვერ შეძლო. 60-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში დემოკრატიული ინტელიგენცია ჩაუდგა სათავეში. მისი ბრძოლა ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრისა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის აღკვეთის ლოზუნგით რომ მიმდინარეობდა, ამასთან ერთად, იყო ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, (ილიას ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო"), ცხადია, დემოკრატიულ საფუძვლებზე დემოკრატიულ რუსეთთან მჭიდრო კავშირში. XIX ს. დასასრულიდან კი, როცა გაჩნდა პროლეტარიატი და პროლეტარული მოძრაობა, კაპიტალისტურ-მემამულური ჩაგვრის ლიკვიდაციისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პროგრამის ქვაკუთხედი გახდა. ერთა თვითგამორკვევა სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე ჩვენს სინამდვილეში ნიშნავდა რუსეთის პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ბრძოლას რუსეთის ცარიზმის დამხობისა და რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, მათი ეროვნული სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის. ამრიგად, XIX ს. მეორე ნახევარში ქვეყნის განვითარებაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებათა შესაბამისად საბოლოოდ დასრულდა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. მართალია ამ დროისათვის ერის ისეთი ნიშანი, როგორც ეროვნული სახელმწიფოა, ქართველებს არ გააჩნიათ, და ეს დიდი დაბრკოლება იყო მისი ნორმალური ეროვნული მოწყობა-განვითარებისა, მაგრამ სანაცვლოდ ამ ვი-

---

[1] ერისათვის დამახასიათებელ ნიშნად ეროვნულ სახელმწიფოს ზოგიერთი ბურჟუაზიული მკვლევარიც აღიარებს. ჩვენში ერის ძირითად კომპონენტად ეროვნულ სახელმწიფოს აღიარებდა ფედერალისტი ა. ჯორჯაძე. ამასთან ქართველი ხალხის ბრძოლას სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იგი XIX—XX საუკუნის მოძრაობათა ქვაკუთხედად აცხადებდა. ერის ნიშნად ეროვნული სახელმწიფოს აღიარებაში ა. ჯორჯაძე მართალი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად იგი უშვებდა მიუტევებელ შეცდომებს, როცა ეროვნულ სახელმწიფოს ერის ყველაზე არსებით და განმსაზღვრელ ნიშნად აცხადებდა. ა. ჯორჯაძე ამასთან ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში სრულიად გამორიცხავდა კლასობრივ პრინციპს. უარყოფდა იმ დიამეტრალურად დაპირისპირებულ მისწრაფებებს, რომელიც ეროვნულ მოძრაობაში სხვადასხვა კლასებს გააჩნდათ სხვადასხვა ეპოქაში (იხ. ა. ჯორჯაძე — თხზ., ტ. 1. „მასალები ეროვნების წარმოშობის ისტორიის შესასწავლად", „სამშობლო და მამულიშვილობა", „კიდევ წარსული და მისი ანდერძი" და სხვ.).

თარებაში განსაკუთრებით დიდ როლს (გამათვითცნობიერებელს, დამრაზმავს) ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ასრულებდა[1]. ამ ბრძოლის ძირითად დანიშნულებას ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, და ამგვარად, ქართველი ერის შემდგომი წინსვლა-განვითარების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება შეადგენდა. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის პირველი ნაბიჯები რუსეთის ცარიზმის დამხობისთანავე გადაიდგა. 1918 წ. 26 მაისს, როცა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა, XIX ს. მთელ მანძილზე მიმდინარე ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, თითქოს გამარჯვებით დაგვირგვინდა, მაგრამ მენშევიკური პარტიის მესვეურობით შექმნილი ეს „დემოკრატიული“ და „დამოუკიდებელი“ საქართველო ფიქცია აღმოჩნდა. მენშევიკებმა ქართველი ბურჟუაზიის კლასობრივი სამსახურისათვის მოუხმეს უცხო ძალებს და ქართველ ხალხს თავს მოახვიეს კოლონიური და სოციალური ჩაგვრის მძიმე უღელი. მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ აღდგა ქართველი ხალხის ეროვნული სახელმწიფოებრიობა და იგი სრულიად განსხვავებულ, ახალ, სოციალისტურ საფუძველზე ქართველი ხალხის სოციალისტურ ერად გარდაქმნის, მისი ეროვნული წინსვლა-აყვავების მთავარი ფაქტორი გახდა.

ერის, როგორც ადამიანთა სოციალური ერთობის, სპეციფიკური ფორმის ყველა დამახასიათებელი ნიშანი ყველა ეტაპზე თანაბრად წარმოდგენილი როდია. ეს ნიშნები სტატიკურ, გაყინულ, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ უცვლელ კომპონენტებად არ გვევლინებიან. ერის ბედის გადამწყვეტ მომენტში წინა პლანზე ხან ერთი, ხან მეორე ნიშანი წამოიწევს ხოლმე, ყოველი ერის ცხოვრებაში თითქოს მუდამ მყარი ისეთი ნიშნებიც კი, როგორიცაა ეთნიკური, ტერიტორიის ერთობა, ან ეკონომიური ცხოვრების ერთობა, ხან ხანგრძლივი, ხან მოკლე დროით ირღვევა, მაგრამ ამით ერი არსებობას არ წყვეტს[2]. ამის მაგალითების მოტანა თანამედროვე აზიის ან აფრიკის წარმოქმნადი ერების ცხოვრებიდან მრავლად შეიძლება. ასევე ითქმის ერის ისეთი ნიშნის შესახებ, როგორიცაა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. მართალია, რიგ ერებს ჩამოყალიბების პროცესში იგი წართმეული ჰქონდათ, მაგრამ ამ ვითარებაშიც ეს ნიშანი

---

[1] ერის ცხოვრებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განმსაზღვრელი მოვლენაა. შემთხვევითი არაა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ერის ნიშნადაც კი აღიარებს. იხ. А. М. Рогачев. М. А. Свердлин, მითითებული სტატია, გვ. 45.

[2] М. О. Мнацаканян, მითითებული სტატია, გვ. 34.

ცოცხლობდა როგორც ტენდენცია. აზიის და აფრიკის თანამედროვე, ჩამოყალიბებადი ერების ცხოვრებაში, სხვა ნიშნებთან შედარებით, რომლებიც უფრო ტენდენციის სახით არსებობს, ეროვნული სახელმწიფოებრიობა ახლა წინა პლანზეა წამოწეული და ერებად კონსოლიდაციის საქმეში ძირითადი ფაქტორია [1].

ზოგიერთ მკვლევარს ეროვნული სახელმწიფოებრიობა სოციალისტური ერის ნიშნად არ მიაჩნია და იმის დასაბუთებასაც კი ცდილობს, რომ თითქოს, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის აღმოცენება სოციალიზმის ეპოქაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით შეპირობებული კანონზომიერება არ ყოფილა, რომ იგი ამ რევოლუციის წინ პოლიტიკური გართულების კონიუნქტურით იყო გამოწვეული, რომ ამჟამად უკვე მიმდინარეობს ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების დენაციონალიზაცია და რომ „ერის ინტერესი თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისადმი უეჭველად თანდათანობით გაქრება, დაიკარგება და ერთა სახელმწიფოებრივ-უფლებრივი შერწყმა თვალხილული მომავლის საქმეს წარმოადგენს“ [2].

სოციალისტური ერების შერწყმის, გაქრობის, მსგავსი შეხედულება სხვა დროსაც არაერთხელ გამოთქმულა საბჭოთა ლიტერატურაში, მაგრამ ეს შეხედულება ყოველთვის მკაცრ და სამართლიან კრიტიკას იმსახურებდა. ვის შეუძლია უარყოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის როლი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. კომუნიზმის მშენებლობის მთელ პერიოდში სოციალისტური ერების წინაშე მდგომი გრანდიოზული პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებას ეფუძნება.

ერთა შემდგომი დაახლოების ობიექტური პროცესი „თვალხილულ მომავალში“ ერების სრულ შერწყმასა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაქრობას სრულიადაც არ გულისხმობს. სამართლიანად მიუთითებს ი. ბ. სტალინი, რომ „ეროვნულ განსხვავებათა კვდო-

---

[1] ეროვნულ სახელმწიფოს ერის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად აღიარებენ ეროვნულ საკითხზე დისკუსიის მონაწილე სხვა მკვლევარებიც. მაგ. რ ო გ ა ჩ ო ვ ი და ს ვ ე რ დ ლ ი ნ ი და ს. კ ა ლ ტ ა ხ ჩ ი ა ნ ი ც, თუმცა მათ ერის შემოთავაზებულ განმარტებაში ეს ნიშანი შეტანილი არა აქვთ.

[2] იხ. П. Г. С е м е н о в, Нация и национальная государственность в СССР (ჟურ. «Вопросы истории», 1966. № 7), მისივე, Программа КПСС о развитии национально-государственных отношений (ჟურ. «Советское государство и право», 1961, № 12).

მისა და ერების ერთმანეთთან შერწყმის პროცესს ლენინი აკუთვნებს არა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის შ ე მ დ გ ო მ პერიოდს, როცა პროლეტარიატის დიქტატურა განხორციელდება მსოფლიო მასშტაბით, ესე იგი ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდს, როცა უკვე ჩაყრილი ექნება საფუძველი მსოფლიო სოციალისტურ მეურნეობას" [1]. ამ ეპოქაში საერთოდ გაქრება სახელმწიფო როგორც ზედმეტი, მაშასადამე გაქრება ეროვნული სახელმწიფოებიც.

ამრიგად, საბჭოთა ერების დაახლოება და ერთიანობა, მათი შემდგომი განმტკიცება და განვითარება ეროვნული კულტურის ამაღლება და მათი ინტერნაციონალური კავშირების გაფართოება მიმდინარეობს სოციალისტური ერების სახელმწიფოებრიობის ფორმების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზით. აქ თავს იჩენს ნაციონალურ ურთიერთობათა განვითარების ორი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ტენდენცია: ესაა — ერთის მხრივ, ერის აყვავების, მისი სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, ხოლო, მეორეს მხრივ, ერთა დაახლოების, ცხოვრების ყველა დარგში ურთიერთგამდიდრების ტენდენცია; ამ პროცესში ერთა აყვავება და დაახლოება აპირობებს, ავსებს ერთიმეორეს და ამით აჩქარებს კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებას.

როგორც ვხედავთ, ერის ნიშანთა შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის ნიშნის შეტანა თეორიულადაც მართებულია და პრაქტიკულადაც აუცილებელი, განსაკუთრებით დღევანდელ ეტაპზე, როცა გამოჩნდნენ თეორეტიკოსები, რომლებიც ეროვნულ-სახელმწიფოებრიობას მოძველებულად, ზედმეტ ბარგად მიიჩნევენ და ცდილობენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლის და ყველა ერის შერწყმის თითქოსდა კანონზომიერება დაასაბუთონ.

* * *

ახლა განვიხილოთ ერის ისეთი ნიშანი, როგორიცაა ი. სტალინის განსაზღვრით, ერის ფსიქიკური წყობის ერთობა, რომლის გამოხატულებას კულტურის ერთობა წარმოადგენს.

ეროვნულ საკითხზე დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობის იერიშები სწორედ ამ ნიშანზეა მიტანილი. ამ ნიშნის შესახებ თავისი

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 11, გვ. 383.

კრიტიკული მოსაზრება ჯერ კიდევ 1962 წელს გამოთქვა მკვლევარმა ტ. ი. ბურმისტროვამ, რომელმაც ერის განსაზღვრისას ნაციონალური ხასიათი და კულტურა გააერთიანა სულიერი სახის ერთობაში, რომელიც თითქოს ყველა ერისათვის საერთოა[1]. პ. მ. როგაჩოვისა და მ. ა. სვერდლინის აზრით „ერის ფსიქიკური წყობის“ ცნება შეიცავს ერის შიგნით სხვადასხვა კლასების სულიერი ერთობის გადაჭარბებულად წარმოდგენის საშიშროებას, ამასთან ერთად, „ერთი ერის მეორისაგან გამიჯვნის შესაძლებლობის“[2] საშიშროებასაც. ლიტერატურაში ფსიქიკური წყობა გათანაბრებულია „ნაციონალურ ხასიათთან“, ხოლო ეს უკანასკნელი მოუხელთებელი ცნებაა. ამიტომ უმჯობესია ვილაპარაკოთ ხასიათის ნაციონალურ თავისებურებაზე. როგაჩოვს და სვერდლინს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ ერის ცნებაში ნაციონალურ კულტურაში გამოვლინებული ფსიქიკური წყობის ნაცვლად შევიტანოთ ეთნიკური კუთვნილების შეგნება და აგრეთვე ფსიქოლოგიის, ყოფის ტრადიციების, კულტურის და განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი თავისებურებანი[3].

ს. ტ. კალტახჩიანი ილაშქრებს ერის დამახასიათებელ ნიშნად ნაციონალური ხასიათის და კულტურის გამოცხადების წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინს — ამბობს კალტახჩიანი — არ შეუტანია ნაციონალური ხასიათი და კულტურა ერის ძირითად ნიშანთა შორის, პირიქით, იგი ხაზს უსვამდა კაპიტალისტური წყობილების ერის ანტაგონისტურ კლასებში ნაციონალური ხასიათისა და კულტურის დაპირისპირებულობას. ამას ერის ცნების განსაზღვრაში აქვს პრინციპული მნიშვნელობაო — მიუთითებს კალტახჩიანი და მოჰყავს ვ. ი. ლენინის ციტატი ყოველ ერში ორი ერის, ორი ნაციონალური კულტურის არსებობის შესახებ[4]. კალტახჩიანს მიაჩნია, რომ ორ კულტურაში ვლინდება ორი ნაციონალური ხასიათი, რაც თავისთავად აგრეთვე მოუხელთებელი, განუსაზღვრელი ცნებაა. კულტურის ერთობის ნაცვლად ერის მეოთხე ნიშნად კალტახჩიანს შემოაქვს ეთნიკური კუთვნილების შეგნება[5]. ამასთან მიაჩნია, რომ ერის ნიშნების კონკრეტიზაცია და მათი შევსება ახალი ნიშნებით შესაძლებელი იქნება ერის სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური ტიპების

---

[1] იხ. Т. Ю. Бурмистрова, Разработка В. И. Лениным программы большевистской партии по национальному вопросу (1910—1914), М., 1962.

[2] П. М. Рогачев, М. А. Свердлин, მით. სტატია, გვ. 41.

[3] იქვე. გვ. 45.

[4] С. Т. Калтахчян, მით. სტატია, გვ. 37.

[5] იქვე, გვ. 42.

მიხედვით დახასიათებისას. მაგალითად, სოციალისტური ერებისათვის მთავარია ეკონომიური, კულტურული და სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ინტერნაციონალური ერთობა, ხასიათის ინტერნაციონალური თვისებები იმ ადამიანებისა, რომლებიც ერების აყვავების და დაახლოების გზით უეროვნო კაცობრიობისაკენ მიისწრაფვიან [1].

მართებულია თუ არა ეს შევსება-შესწორებანი?

მარქსი და ენგელსი არ უარყოფდნენ ერების ჩამოყალიბების პროცესში ეროვნული ხასიათის, ფსიქიკის თავისებურებას. ისინი მიუთითებდნენ ეროვნული ხასიათის მოძრავ, განვითარებად ბუნებაზე, საზოგადოებრივი პროგრესის მიხედვით ცვალებადობაზე. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებს კულტურა წარმოდგენილი ჰქონდათ არა როგორც აბსტრაქტული, განყენებული და უეროვნო ცნება, არამედ მისი შემოქმედი ხალხის სპეციფიკის, მისი ტრადიციების, მისი თავისებურების გამოვლინება სულიერ ცხოვრებაში. აკრიტიკებდა რა წვრილბურჟუაზიულ ნაციონალისტ ლუი ბლანს, რომელიც ფრანგ ერს სანიმუშო ერად აცხადებდა, ფ. ენგელსი მიუთითებდა სხვა ერების მიერ ფრანგი ერის დამახასიათებელი თვისებების გადაღების დაუშვებლობაზე [2].

ეროვნული კულტურის სპეციფიკური თავისებურება არასოდეს არ უარუყვია ვ. ი. ლენინს. ასეთ პროვოკაციულ ბრალდებას ვ. ი. ლენინს, როგორც ცნობილია, ბუნდელი ლიბმანი უყენებდა. სწორედ მის საპასუხოდ აღნიშნავდა ლენინი: „დიახ პატივცემულო ბუნდისტო, ინტერნაციონალური კულტურა უეროვნო არ არის. ეს არავის უთქვამს (ხაზი ჩემია — ა. ს.). არავის გამოუცხადებია არც პოლონური, არც ებრაული, არც რუსული, არც სხვა რომელიმე „წმინდა კულტურა“. ასე რომ თქვენი ცარიელი სიტყვების რახარუხი არის მხოლოდ ცდა — მკითხველის ყურადღება გაიტყუოთ და საქმის არსი მყვირალა სიტყვებით მიაფუჩეჩოთ“ [3].

მიუხედავად ზემოთქმულისა ვ. ი. ლენინი იბრძოდა „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგის წინააღმდეგ, რადგან ამ ლოზუნგის საფარქვეშ ერთა განთავისუფლების მტრულ საქმეს ეწეოდნენ ბუნდელები და ყველა ჯურის ოპორტუნისტები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები. ამ ლოზუნგის აზრის იქით ბურჟუაზიის სრული ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის ეპოქაში იმალებოდა „რეაქციული და პუჭყიანი საქმეები“ ყველა ერის შავრაზმელებისა და კლერიკალე-

---

[1] С. Т. Калтахчян, მით. სტატია, გვ. 42.

[2] იხ. კ. მარქსი. ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 4, გვ. 386.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 9—10.

ბისა, შემდეგ კი ბურჟუებისაც, რომელთაც კაპიტალისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვა, ერის მესვეურად ბურჟუაზიის გამოცხადება, ძველისა და კასტურის წახალისება და ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი მშრომელი კლასების ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის ხელისშეშლა ეწადათ. ვ. ი. ლენინი „ეროვნული კულტურის“ ბურჟუაზიული ლოზუნგის საპირისპიროდ აყენებდა ინტერნაციონალიზმის ლოზუნგს, ვინაიდან „ვისაც სურს პროლეტარიატს ემსახუროს, იგი უნდა აერთიანებდეს ყველა ერის მუშებს და განუხრელად ებრძოდეს როგორც „თავის“, ისე უცხო ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს“. ვინც ნაციონალური კულტურის ლოზუნგს იცავს, — მისი ადგილი ნაციონალისტ მეშჩანებშია და არა მარქსისტებში“ [1].

ვ. ი. ლენინის ეს სტრიქონები იმ დროს იწერებოდა, როცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მიმდინარეობანი რუსეთსა და მთელ მსოფლიოში ძალზე მოდური და მომძლავრებული იყო. ბურჟუაზიას სურდა მებრძოლი პროლეტარიატის გონება დაებინდა ეროვნული იდეალებით და ეროვნული კულტურის მომთაფველი სიტყვებით. ამ დროს უკრაინელი წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტები „სპილკაში“ რომ იყვნენ მოკალათებულნი (ვინიჩენკო, პეტლიურა) უკრაინის ეროვნული კულტურის პროპაგანდის საფარქვეშ ეწეოდნენ უკრაინელი მუშათა კლასის ბურჟუაზიისადმი დამორჩილების, სხვადასხვა ეროვნების მუშათა გათიშვის, რუსი ხალხისადმი მტრობისა და სიძულვილის და ეროვნული მოძრაობის საფარქვეშ ბურჟუაზიული ბაზრისათვის კლასობრივი ბრძოლის პროპაგანდას. ასე იყო საქართველოშიც, როცა სოციალ-ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატების ლიდერები ა. ჯორჯაძე, მ. წერეთელი და სხვები ქადაგებდნენ საქართველოს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივ შერიგებას, ავითარებდნენ საერთო ნიადაგის თეორიას, აფუჩეჩებდნენ კლასობრივ ბრძოლას, თესავდნენ სიძულვილს მოწინავე რუსული კულტურისადმი და ამით უდიდეს ზიანს აყენებდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლი მასების ინტერნაციონალურ სოლიდარობას.

ასეთი ნაციონალისტების და მათი „ეროვნული კულტურის“ წინააღმდეგ იყო მიმართული ვ. ი. ლენინის სიტყვები, როცა ის ამბობდა: „თვითეულ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თვითეულ ერში არის მშრომელი და ექსპლოა-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 20, გვ. 11.

ტირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“ [1]. ლენინი თითოეულ ერში კლასობრივი ბრძოლის შეურიგებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას როცა ამბობდა: „ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში — ვეტყვით ჩვენ ყველა ნაციონალ-სოციალისტს. არის ორი ნაციონალური კულტურა თითოეულ ნაციონალურ კულტურაში“. და ამით, ვიმეორებთ, ყურადღებას ამახვილებდა ეროვნულ საკითხში ბურჟუაზიული და პროლეტარული ლოზუნგების დაპირისპირებულობაზე, მათს შეურიგებლობაზე.

ლენინის ამ დებულების არსი სწორად ვერ გაიგეს იმ მკვლევარებმა, რომლებმაც ამ დებულებაზე დაყრდნობით მოხსნეს ეროვნული კულტურა, როგორც ერის ნიშანი. ვ. ი. ლენინი აქ სრულებითაც არ გამორიცხავს ეროვნული კულტურის ცნებას, იგი მხოლოდ ერში ორი ანტაგონისტური კლასის ინტერესთა შეურიგებლობაზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას. ლენინის დებულების მექანიკური გაგების წინააღმდეგ მიუთითებს დებულების პირველი ფრაზაც „ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში“, თუკი სიტყვებს პირდაპირ, მექანიკურად გავიგებთ, უაზრობა გამოვა. ერთ ერში ხომ არ შეიძლება ორი ერი არსებობდეს!

ამრიგად, ვ. ი. ლენინის ამ ცნობილი დებულების საფუძველზე ეროვნული კულტურის ერის ნიშნებიდან მოხსნა შეცდომა იქნებოდა. ვ. ი. ლენინი აქ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მის უკანასკნელ, ლპობად სტადიაში განსაკუთრებით, ეროვნული კულტურის სოციალურ გაორებაზე მიუთითებს. უეჭველია, ანტაგონისტურ კაპიტალისტურ საზოგადოებაში როგორც გაბატონებული ბურჟუაზიული, ისე დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის შინაარსი ეროვნულ ფორმაში ვლინდება, მაგრამ „ეროვნული ფორმა — მართებულად შენიშნავს პროფ. დ. ჩხიკვიშვილი,—აქ სამსახურს უწევს ორ მოწინააღმდეგე ხასიათის კულტურას“ [2].

ხალხების ეროვნული კონსოლიდაციის ეპოქაში, როცა ბურჟუაზია, როგორც მთელი მესამე წოდების მესვეური, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ბურჯებს ებრძოდა და ეროვნული სახელმწიფოების შექმნის ავანგარდში იდგა, ეროვნული კულტურის სოციალური გაორება არ იყო გამოკვეთილი. მასების ეროვნული თვით-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 10.

[2] დ. ჩხიკვიშვილი, სოციალიზმი და ეროვნული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1964. გვ. 69 (პროფ. დ. ჩხიკვიშვილის მითითებულ მონოგრაფიაში უფრო დაწვრილებით, მართებული პოზიციიდანაა განხილული ეროვნული კულტურის ცნება. იხ. ქვეთავი „ეროვნული კულტურის შესახებ“, გვ. 43—71).

შეგნების ამაღლებისათვის, ეროვნული ტრადიციების განვითარებისათვის, ერის მთელი სულიერი ცხოვრების გაფურჩქვნისათვის ბრძოლაში ბურჟუაზიული დემოკრატია ცეცხლის მოწინავე ხაზზე იდგა, მას სამშობლო სჭირდებოდა. ვინ იტყვის რომ უეროვნოა შექსპირი, ვოლტერი და ბალზაკი, გოეთე და ჰაინრიხ ჰაინე, პუშკინი და ტურგენევი, ან ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე! განა მათ ქმნილებებში, მათ ზოგადსაკაცობრიო იდეებშიც სარკესავით არ აისახა მშობელი ერის იდეალები, მისი განვითარების დონე, მისი ტრადიციები და სპეციფიკა. ბურჟუაზიული ერის ფორმირების პროცესში ბურჟუაზიის იდეოლოგიის გულწრფელობასა და პროგრესულობაზე მიუთითებს ვ. ი. ლენინი. „ნუ დავივიწყებთ, — წერს იგი, — რომ იმ ხანებში, როდესაც XVIII საუკუნის განმანათლებელნი წერდნენ (რომელნიც საყოველთაოდ აღიარებული აზრით ბურჟუაზიის ბელადებად ითვლებიან), როდესაც 40-იანი და 50-იანი წლების ჩვენებური განმანათლებლები წერდნენ. ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ არავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები არ იჩენდნენ: პირიქით, დასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც მათ სავსებით გულწრფელად სწამდათ ივი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ ჯერ არც შეეძლოთ დაენახათ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომლებიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა“ [1]. ეროვნული კულტურის სოციალური გაორება გამოიკვეთა მას შემდეგ, როცა ბურჟუაზიამ ერის, სამშობლოს ინტერესები კლასობრივ ინტერესებს დაუქვემდებარა და ანაცვალა, როცა მან ტალახში ამოსვარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა და ერის უმრავლესობის ინტერესთა საპირისპიროდ თავისი ბატონობის დასაცავად პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობას წინ აღუდგა.

ეროვნული კულტურა თავისი შესაძლებლობის სრულ გამოვლინებას მხოლოდ ექსპლოატატორთაგან თავისუფალ საზოგადოებაში, მხოლოდ სოციალისტურ წყობილებაში იძლევა. მაგრამ კულტურის უწყვეტი განვითარება სოციალისტურ საზოგადოებაში როდი მიმდინარეობს ეროვნული ფორმების გარეშე. ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური — ასეთია საბჭოთა კულტურის მთლიანი სახე.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2, გვ. 628.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია დაუნდობლად ებრძოდა ყველა იმათ, ვინც სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ (ტროცკისტები, რაპპელები). რა თქმა უნდა, საბჭოთა კულტურაში პირველადი და წამყვანი სოციალისტური შინაარსი იყო და დარჩება ყოველთვის, მაგრამ არც ეროვნული ფორმაა პასიური სოციალისტური შინაარსის მიმართ. სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმა წარმოადგენს მაორგანიზებელ და მამობილიზებელ ძალას, რომელიც ხელს უწყობს, აჩქარებს საბჭოთა ხალხის კულტურულ განვითარებას.

ამრიგად, ეროვნული კულტურის სპეციფიკური ხასიათი ერის კომპონენტია როგორც ბურჟუაზიულ, ისე სოციალისტურ საზოგადოებაში და მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია ერის ცნების განსაზღვრის დროს.

გვაახლოებს თუ არა ჰეშმარიტებას ერის ნიშნებიდან ეროვნული კულტურის ამოღება და მის ნაცვლად „ეთნიკური კუთვნილების შეგნების“ შეტანა, როგორც ამას კალტახჩიანი გვთავაზობს? რა თქმა უნდა, არა. ეთნიკური კუთვნილების შეგნება ადამიანებს გვაროვნული წყობილების დაშლიდანვე მოსდგამს. იგი სტატიკური. ცივილიზაციის ეპოქისათვის შეუფერებელი, ერის, როგორც მაღალი სოციალური კატეგორიის დამამდაბლებელი ტერმინია და სრულიადაც ვერ ასახავს იმ მრავალ კომპლექსთა ურთიერთკავშირსა და მთლიანობას, რაც ეროვნულ კულტურაშია გამოხატული. ან, მიზანშეწონილია თუ არა ეროვნული კულტურის ნაცვლად ერის ნიშნად გამოვაცხადოთ „ფსიქოლოგიის, ყოფის ტრადიციების, კულტურის და განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებანი“, როგორც ამას როგაჩოვი და სვერდლინი გვთავაზობენ? ჯერ-ერთი, შემოთავაზებული დებულება ხელოვნურადაა დამძიმებული და გართულებული, მეორეც — მასში შემოტანილია ახალი კომპონენტები (ფსიქოლოგია, ყოფის ტრადიციები, განმათავისუფლებელი მოძრაობა), რომლებიც ცალ-ცალკე ერის ნიშნებად ვერ ჩაითვლება. ერთად აღებული კი თამამად თავსდებიან ეროვნული კულტურის ცნებაში.

კულტურა თავისთავად მეტად ფართო ცნებაა. იგი მატერიალური და სულიერი წარმოების სფეროებს მოიცავს, ბაზისსა და ზედნაშენზე ვრცელდება, რადგან გამოხატავს „ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების იმ დონეს, რომელიც მიღწეულია მისი ნების გარეშე მოქმედი ობიექტური კანონების შეცნობისა და გამოყენების გზით“. მაგრამ კულტურა არ არის აბსტრაქტული და წმინდა, განყენებული და უეროვნო; მას ქმნიან ადამიანები, რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფა, ტრადიციები, ენა, ზნე-ჩვეულებანი გააჩნიათ.

ეს თავისებურებანი უდევს საფუძვლად ერის ფსიქიკურ წყობას და განსაზღვრავს კულტურის ეროვნულ ხასიათს. ამრიგად, ყოფის ტრადიციები, ფსიქიკა თვით არის საფუძველი ეროვნული კულტურისა. რა თქმა უნდა, ზედმეტია მათი კულტურისაგან გამოყოფა და კულტურის გვერდით ერის ცალკე ნიშნად გამოცხადება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ერის ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ერი ადამიანთა მყარი ისტორიულ-ეთნიკური ერთობაა, რომელიც ზრდას კაპიტალისტურ ან სოციალისტურ ეპოქაში ასრულებს, ეროვნულ სახელმწიფოდ ყალიბდება და ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურის ერთობით ხასიათდება.

შემოთავაზებულ დეფინიციაში, ვფიქრობთ, გარკვევითაა მითითებული, რომ ხალხების ერებად კონსოლიდაციის პროცესის დამამთავრებელი ეპოქა კაპიტალისტური ფორმაციაა, ხოლო იმ ხალხებისათვის, რომლებსაც კაპიტალისტური ფორმაცია არ გაუვლიათ, სოციალისტური ფორმაცია, მაგრამ ერის ცალკეული ნიშნების ზრდა-განვითარება წინაკაპიტალისტური ფორმაციებიდან მომდინარეობს და ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა სხვა ნიშნებთან ერთად ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ერის ვინაობისა მისი განვითარების ყველა ეტაპზე, ხოლო კულტურის ერთობა ერის მეოთხე ნიშანში ჩადებულ ცნებას უფრო ხელშესახებად გამოხატავს.

* * *

სადისკუსიო წრეებში სამართლიანადაა გამახვილებული ყურადღება ერის „ისტორიული ტიპების" განსაზღვრაზე. როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინი მიუთითებდა ერების ორ ტიპზე, რომელსაც იცნობს თანამედროვე ისტორია. ესენი არიან „ბურჟუაზიული ერები", რომლებიც „აღმავალი კაპიტალიზმის" ეპოქაში განვითარდნენ[1] და „სოციალისტური ერები", რომლებიც წარმოიშვნენ და განვითარდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შედეგად. — სოციალიზმის სულისკვეთებით მათი ძირეული გარდაქმნის გზით[2]. ბოლო წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში ერების ახალი ტიპებიც გამოჩნდნენ. მაგ. პროფ. ი. კაჭარავა მიუთითებს, რომ „ამიერიდან აღიარებულ უნდა იქნას ერების მესამე ტიპიც — ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ე რ ი ს სახით"[3]. ტ. ი. ბურმისტროვას

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ 11, გვ. 372.

[2] იქვე, გვ. 376.

[3] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები. თბ., 1966, გვ. 9.

ბუნებრივად მიაჩნია სოციალისტური ერების კომუნისტურ ერებად განვითარება.

პ. მ. როგაჩოვი და მ. ა. სვერდლინი ამტკიცებენ, რომ არსებობს ერის სამი ისტორიული ტიპი: 1. სოციალურად არაერთგვაროვანი ერები (კაპიტალიზმის ეპოქა), 2. სოციალურად ერთგვაროვანი ერები (სოციალიზმის ეპოქა) და 3. გარდამავალი ტიპის ერები (იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ნანგრევებზე რომ წარმოიქმნენ) [1].

ერების ისტორიული ტიპების ძიება და მათი ვათიშვა კლასობრივი ნიშნის მიხედვით ნიშნავს ერების საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებამდე დაყვანას. ამ შემთხვევაში სრულიად იკარგება ერის, როგორც ადამიანთა საზოგადოების სოციალ-ეთნიკური განვითარების უმაღლესი საფეხურის სახე და სპეციფიურობა და იგი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების დამატებად, ამასთან, გაურკვეველ სქემად იქცევა: თუ არსებობდნენ კაპიტალისტური, სოციალისტური, ფეოდალური ერები, მაშინ ლოგიკურად დასაშვებია მონათმფლობელური და გვაროვნული ერების არსებობაც (როგორც ცნობილია, მრავალი ბურჟუაზიული მეცნიერი ამ თვალსაზრისსაც ავითარებს).

ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარი ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში, მაგ. კომუნიზმში ერის ორ ისტორიულ ტიპს გამოყოფს. მაგალითად, ტ. ბურმისტროვას მიაჩნია, რომ სოციალისტური ერები სსრ კავშირში კომუნისტურ ერებად განვითარდებიან [2]. განვითარების დაბალი და მაღალი სტადია ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას აქვს. თუ ვაღიარებთ, რომ კომუნისტური ფორმაციის განვითარების ორ ფაზას ერების ორი ისტორიული ტიპი („სოციალისტური ერი", „კომუნისტური ერი") შეესაბამება, ლოგიკურია, იგივე კაპიტალიზმის მიმართაც დავუშვათ. გამოვა, რომ კაპიტალიზმის განვითარების პირველ, მონოპოლისტურამდელ სტადიაში არსებობდნენ აღმავალკაპიტალისტური ერები, კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაში — იმპერიალისტური ერები. ასევე შეიძლებოდა გვეთქვა ფეოდალიზმის მიმართაც (ადრეფეოდალური, გვიანფეოდალური) და სხვ.

მაგრამ უთავსდება თუ არა ყველაფერი ეს ერის მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისს? ცხადია, არა. ერი ხომ ადამიანთა მყარი ისტორიული ერთობაა, რომელიც გარკვეული ძირითადი ნიშან-თვისე-

---

[1] П. М. Рогачев, М. А. Свердлин. მითითებული სტატია. გვ. 45.

[2] Т. Ю. Бурмистрова, მითითებული სტატია. გვ. 100.

ბებით ხასიათდება. საზოგადოების ერთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლის შემთხვევაშიც ერი ხომ თავის ძირითად ნიშნებს არ იცვლის. ერი განვითარებადი საზოგადოებრივი ორგანიზმის ყველაზე მაღალი, დასრულებული ფორმაა და ეს ფორმა უცვლელი რჩება, ვიდრე საერთოდ იარსებებენ ერები. საზოგადოების შიგნით, მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე კლასობრივ-სტრუქტურული ცვლილებები არ იწვევს ერთი ერის კვდომას და მეორის აღმოცენებას. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაპიტალისტური ფორმაცია დაამხო და მის ნანგრევებზე საფუძველი ახალ, კომუნისტურ ფორმაციას ჩაუყარა. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის შედეგად განა ასევე დაიმსხვრა ბურჟუაზიული ერი და მის ნამსხვრევებზე სოციალისტური ერი აღმოცენდა? თუ ეს ასე მოხდა, სოციალისტურ ერს ბურჟუაზიული ერისაგან არსებითად განსხვავებული ნიშანთვისებანი უნდა გაჩენოდა. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ასეთი რამ არ მომხდარა. მართალია, ერის ცალკეულმა ნიშნებმა სოციალიზმის ეპოქაში სულ სხვა შინაარსი შეიძინეს, გამდიდრდნენ და სრულყოფილნი გახდნენ, მაგრამ ნიშანთვისებანი მაინც უცვლელნი დარჩნენ. სწორად მიუთითებენ როგაჩოვი და სვერდლინი რომ რევოლუციის მსვლელობაში კაპიტალიზმის „საზოგადოებრივი წყობილების ძირფესვიანი მოსპობა ხდება. ერი კი არ ისპობა, იგი სოციალისტურ ერად გარდაქმნას განიცდის“ [1].

მართალია, ერი როგორც ადამიანთა საზოგადოების სოციალ-ეთნიკური განვითარების უმაღლესი საფეხური კაპიტალისტურ ფორმაციასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს სრულიად არ ამართლებს ერისათვის ამ ფორმაციის სახელის მიკუთვნებას. როგორც ცნობილია, მარქსი, ენგელსი, ლენინი კაპიტალიზმის ეპოქაში აღმოცენებულ ერებს უპირატესად თანამედროვე ერებს უწოდებდნენ და ძალზე იშვიათად, ისიც ეპოქის მინიშნების თვალსაზრისით ხმარობდნენ გამოთქმას კაპიტალისტური (ბურჟუაზიული) ერი.

როდესაც კაპიტალისტურ ფორმაციაზე ვლაპარაკობთ, აქ, ცხადია, წარმოების კაპიტალისტური წესი იგულისხმება. გაბატონებულია კაპიტალისტების კლასი, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებს და იყენებს მათ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციისათვის. საზოგადოების დანარჩენი კლასები (ძირითადი კლასი პროლეტარიატი და გლეხობა), რომლებიც რიცხობრივად მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ, მოკლებულნი არიან წარმოების

---

[1] П. М. Рогачев, М. А. Свердлин, О понятии «Буржуазная нация». ჟურ. «Вопросы философии», № 10, 1964 г. გვ. 179.

საშუალებებს, ისინი დაჩაგრული, ექსპლოატირებული, უუფლებო კლასებია. გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებს შორის შეურიგებელი კლასობრივი ანტაგონიზმია. ამასთან, ბურჟუაზიული კლასი, რომელიც თავის ბატონობას, საკუთრების კაპიტალისტურ ფორმებს იცავს, თავისი ბუნებით რეაქციულია, მის წინააღმდეგ მებრძოლი პროლეტარიატი კი — რევოლუციური.

ისტორიული მატერიალიზმის ეს ანბანური ჭეშმარიტება იმიტომ გავიხსენეთ, რომ იგი ერისათვის, როგორც ადამიანთა სოციალ-ეთნიკური ერთობისათვის, შეგვედარებინა. ერი ხომ ის ორგანიზმია, რომელიც ამ კლასებს აერთიანებს. დაპირისპირებული, ანტაგონისტური კლასების შეურიგებელი წინააღმდეგობის მიუხედავად, ერი მათს გარკვეულ ერთობას ემყარება. მარტო ბურჟუაზიის (კლასობრივი) მონაპოვარი როდია ისტორიულად ჩამოყალიბებული ის ერთობანი, რომლის კომპლექსს ერი წარმოადგენს. ბურჟუაზია ერის მხოლოდ ნაწილია, ნაწილი კი არ შეიძლება იყოს მთელის განსახიერება. ერის ყველა კომპონენტი საზოგადოების ყველა კლასის მონაწილეობით იქმნება. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეროვნული მოძრაობის წამყვან ძალად ბურჟუაზია მხოლოდ გარკვეულ მომენტამდე რჩება. შემდეგ კი იგი არა თუ იცავს, არამედ უპირისპირდება ერის ინტერესებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ტერმინი „ბურჟუაზიული“ ერის მიმართ არაა ზუსტი. ბურჟუაზიული შეიძლება იყოს კლასი და მისი ეკონომიკა, იდეოლოგია, ე. ი. ის, რაც ამ კლასის მდგომარეობის თუ ინტერესების გამოვლინებაა და არა ერი, რომელიც მაღლა დგას ბურჟუაზიაზე და რომელიც ბურჟუაზიასთან ერთად გულისხმობს საზოგადოების სხვა კლასებსაც, ამასთან, მათს გარკვეულ ერთობაში. ერი რომ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კლასი, ამიტომაც ერის კულტურა (ვთქვათ, ბურჟუაზიული საზოგადოების კულტურა) უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ბურჟუაზიული კლასის კულტურა.

ასევე არაზუსტი იქნებოდა გვეთქვა ფეოდალური ერი საერთოდ მისი არსებობის აღიარების შემთხვევაშიც კი.

კლასობრივი ნიშნის მიხედვით ისტორიულ ტიპებად ერის დიფერენციაციას (ფეოდალური საზოგადოება — ფეოდალური ერი, ბურჟუაზიული საზოგადოება — ბურჟუაზიული ერი) ერის ბურჟუაზიული თეორეტიკოსის ბაუერის სქემამდე მივყავართ. როგორც ცნობილია, ბაუერი ერის განსახიერებად მხოლოდ გაბატონებულ კლასებს თვლიდა. მაგალითად, შუა საუკუნეებში მას ერად მხოლოდ ფეოდალური რაინდობა მიაჩნდა, გლეხობას კი ერის ფონად აცხადებდა. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბაუერის აზრით კულტურა გააჩნია ბურჟუაზიას, როგორც გაბატონებულ კლასს, ერის კონსოლი-

დაციაც ამიტომ, ბურჟუაზიის ირგვლივ მიმდინარეობს. „მხოლოდ გაბატონებულ კლასებს ამჭიდროებს საერთო კულტურა ეროვნულ ერთობაში“ [1] — ასკვნიდა ბაუერი.

ბაუერის ამ თეორიას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს და მარქსიზმის კლასიკოსებმა ამ თეორიის იდეალისტური ბუნება დიდი ხანია გამოამზეურეს.

სწორად შენიშნავენ როგაჩოვი და სვერდლინი, რომ „გაბატონებული კლასის, ისე როგორც ბურჟუაზიული წყობილების ნიშნები ერს, როგორც ასეთს ყოველთვის როდი ახასიათებს. ამიტომაც ცნება „ბურჟუაზიული ერი“, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ჩვენს ლიტერატურაში, არ შეიძლება გავაბსოლუტოთ და ტიპამდე ავიყვანოთ. საზოგადოებრივი წყობილება შეიცავს დაწესებულებებს, რომელიც გაბატონებული კლასის სამსახურშია. თვით ეს კლასი კი მხოლოდ ნაწილია ერისა. ერის მეორე დიდ ნაწილს კი ხალხი, მშრომელი მასები შეადგენენ [2].

როგორც ვხედავთ, დასახელებულ ავტორებს სწორად აქვთ შენიშნული „ბურჟუაზიული ერის“ უზუსტობა, რასაც არა მარტო ტერმინოლოგიური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. სამაგიეროდ, როგაჩოვს და სვერდლინს სოციალიზმის პირობებში ერის დასახასიათებლად ტერმინი „სოციალისტური ერი“ არა მარტო გამართლებულად, არამედ აუცილებლად მიაჩნიათ [3].

ჩვენი აზრით „სოციალისტური ერი“, მიუხედავად იმისა, რომ იგი სოციალისტური საზოგადოების ყველა კლასის ერთობას კარგად გამოხატავს, თავისთავად მაინც არაზუსტი ტერმინია ერის ისტორიული ტიპის განსაზღვრისათვის. სოციალიზმი ხომ კომუნისტური ფორმაციის საფეხურია, გარდამავალი ეტაპია. რა საჭიროა ცალკე გამოვყოთ აწეთი გარდამავალი ეტაპი ერის განვითარებაში? კაპიტალიზმის ნამსხვრევებზე აღმოცენებას იწყებს ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია — კომუნიზმი, რომელიც ადამიანთა საზოგადოების განვითარების უმაღლესი ფაზაა. პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალიზმი ამ ფაზის დაბალი საფეხურებია. რა გამოვა თუ ამ საფეხურზე ერს ცალკე ისტორიულ ტიპებად გამოვყოფთ? ერი ისევ ფორმაციის. ან ფორმაციის შიდა საფეხურების ცნებამდე ჩამოქვეითდება.

ჩვენი აზრით, ყველა ამ უხერხულობიდან თავის დასაღწევად

---

[1] იხ. О. Бауер. Национальный вопрос и социал-демократия, გვ. 41.

[2] П. М. Рогачев, М. А. Свердлин, О понятии «нация», გვ. 45.

[3] Там же. О понятии «Буржуазная нация», გვ. 179.

უკეთესია საერთოდ გამოვეთხოვოთ „ერის ისტორიული ტიპების“ ცნებას. ერის განვითარების გარკვეული საფეხურის აღსანიშნავად კი უფრო გასაგები, მეცნიერულად ზუსტი და მოსახერხებელი იქნება ვიხმაროთ ბურჟუაზიული ერის ნაცვლად ერი კაპიტალიზმის (ბურჟუაზიის) ეპოქაში, სოციალისტური ერის ნაცვლად ერი სოციალიზმის ეპოქაში, კომუნისტური ერის ნაცვლად ერი კომუნიზმის ეპოქაში. ამ შემთხვევაში გამორიცხულია „ბურჟუაზიული“, „სოციალისტური“ და „კომუნისტური“ ერების დოგმატური დაპირისპირება. ერი, როგორც ადამიანთა სოციალ-ეთნიკური განვითარების უმაღლესი საფეხური, ერის მთლიან ცნებად წარმოგვიდგება, რომელსაც საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ფორმაციის შესაბამისად განსხვავებული ეტაპები გააჩნია.

ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ

ქართველი ერის ჩამოყალიბება ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ამასთან, მეტად საინტერესო და რთული პრობლემაა. მიუხედავად ამისა, იგი აქამდე სპეციალური მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ გამხდარა. ცოტა როდი იწერება XIX ს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, საერთოდ ეროვნულ საკითხზე, ბურჟუაზიულ და სოციალისტურ ერებზე, მაგრამ ამ ნაშრომებში მხოლოდ გაკვრითაა ლაპარაკი იმ ხანგრძლივ და რთულ პროცესზე, რომელშიც ქართველი ერის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა.

ქართველი ერის ჩამოყალიბების საკითხს ისტორიკოსები ზოგადად მაინც ეხებიან და გამოდიან ი. ბ. სტალინის იმ ცნობილი დებულებიდან, რომელიც ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" ჩამოაყალიბა. „საქართველო როგორც ერი, — ნათქვამია აქ, — მხოლოდ XIX ს. მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი" [1].

ი. სტალინის ეს დებულება ქართველ საბჭოთა ისტორიკოსთა შორის დავის საგანი არ გამხდარა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ი. სტალინის „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი" გამოქვეყნდა. ქართველ ისტორიკოსებს ეროვნული კონსოლიდაცია წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, რომელიც წარმატებით დასრულდა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის გამარჯვების ეპოქაში, ე. ი. XIX ს. მეორე ნახევარში. ამ თვალთახედვითაა გაშუქებული ქართველი ერის ჩამოყალიბება საქართველოს

---

[1] ი. სტალინი. თხზ., ტ. 2, გვ. 318.

ისტორიის სახელმძღვანელოებში [1] და ამ საკითხით დაინტერესებულ ცალკეულ ავტორთა ნაშრომებში [2].

1966 წელს პროფ. ი. კაჭარავამ გამოაქვეყნა ნარკვევი — „ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები“, სადაც მოცემულია „დასკვნები და განზოგადებანი“ ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესის შესახებ. სამწუხაროდ, ნარკვევი კონსპექტური ხასიათისაა და ფაქტიური მასალის ანალიზი მასში არაა მოცემული, მაგრამ ავტორის მიერ დაყენებული საკითხები იმდენად ერცელია და მრავალფეროვანი, რომ იგი საქართველოს ისტორიის ყველა პერიოდის მკვლევარის, განსაკუთრებით ეროვნული საკითხით დაინტერესებულის, ყურადღებას იქცევს. ავტორის დებულებებიდან ბევრი მართებულია და გასაზიარებელი, ზოგი კი საკამათოა და მიუღებელი.

ჯამჟამად ჩვენ პროფ. ი. კაჭარავას წიგნიდან ის დებულებები გვაინტერესებს, რომლებიც ე. წ. „ფეოდალური ერის“ ცნებას და ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესის ფეოდალურ ეტაპს შეეხებიან.

პროფ. ი. კაჭარავას, ერის წარმოშობასთან დაკავშირებით, მიაჩნია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმს მხედველობაში აქვს მხოლოდ ბურჟუაზიული ერი, რომ „დღემდე მეცნიერება აღიარებდა ერების ორ ტიპს — ბურჟუაზიულსა და სოციალისტურს“ [3], მაგრამ კაპიტალიზმამდე ერების არსებობა რიგ მეცნიერთა მიერ გაზიარებულია, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომები „იძლევიან იმის საფუძველს, რომ **აღიარებული იქნეს ერების მესამე ტიპიც — „ფეოდალური ერის“ სახით**“ [4] (ხაზი ავტორისაა).

ფეოდალური ერის შესახებ ამ ზოგადი დებულების შემდეგ, ავტორი ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპების განხილვაზე გადადის. იგი თვლის, რომ „ფეოდალური რევოლუციის“ გამარჯვების მომენტისათვის დამთავრდა ქართული ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბება. „ქართული ფეოდალური ეროვნება საუკუნეთა მანძილ-

---

[1] იხ. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბილისი, 1946 წ.; საქართველოს ისტორია, დამხმ. სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962; ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია (XIX საუკ.), თბილისი, 1951; მისივე — საქართველოს ისტორია (XIX — XX სს.), II, თბილისი. 1959.

[2] გ. ვ. ბრეგაძე, ქართველი სოციალისტური ერის ისტორიისათვის. თბილისი, 1959; ლ. ჩხიკვიშვილი, სოციალიზმი და ეროვნული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბილისი. 1964.

[3] ი. კაჭარავა, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები (დასკვნები და განზოგადებანი), თბილისი, 1966, გვ. 9.

[4] იქვე, გვ. 8 — 9.

ზე ვითარდება ქართულ ფეოდალურ ერად" [1]. ქართველმა ფეოდალურმა ერმა XIX ს. მეორე ნახევრამდე მოიტანა თავისი არსებობა და „ქართველი ფეოდალური ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ნიშნები ახალ ვითარებაში განვითარდნენ ბურჟუაზიული ერის ნიშნებად, რითაც დამთავრდა ქართველი ფეოდალური ერის ბურჟუაზიულ ერად („ნაციად") გარდაქმნა, ქართველი ბურჟუაზიული ერის „ნაციის" ჩამოყალიბება" [2].

პირველყოველისა გასარკვევია, მართლაც თვლიდნენ თუ არა შესაძლებლად მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები ერების ჩამოყალიბებას ფეოდალიზმის ეპოქაში? გვხვდება თუ არა მათ ნაშრომებში „ფეოდალური ერის" ცნება?

მარქსსა და ენგელსს ერები მხოლოდ აღმავალი კაპიტალიზმის პროდუქტად მიაჩნდათ. კომუნისტური პარტიის მანიფესტში ნათქვამია: „ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო სპობს წარმოების საშუალებების, ქონებისა და მოსახლეობის დაქუცმაცებას. მან შეამჭიდროვა მოსახლეობა, მოახდინა წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და საკუთრების კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში. ამის აუცილებელი შედეგი იყო პოლიტიკური ცენტრალიზაცია. დამოუკიდებელი, ლამის მხოლოდ დაკავშირებული პროვინციები, აღჭურვილნი სხვადასხვა ინტერესებით, კანონებით, მთავრობებით და ბაჟებით, შედუღებულ იქნენ ე რ თ ერად" [3].

მარქსი და ენგელსი თანამედროვე ევროპული ერების წარმოქმნაში გადამწყვეტ როლს ანიჭებდნენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ფეოდალური წესების მსხვრევა, ბურჟუაზიული ეკონომიური წყობის აღმოცენება, პოლიტიკური ცენტრალიზაცია: ეს პროცესები ევროპაში ზოგადად XV საუკუნიდან დაიწყო.) ინგლისისათვის ეროვნული კონსოლიდაციის დასასრულად მათ მიაჩნდათ ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქა (XVII საუკ.), საფრანგეთისათვის — XVIII საუკუნე, როცა ფრანგული აბსოლუტიზმის ნიადაგქვეშ ბურჟუაზიული რევოლუციის პირველი ბიძგები დაიწყო, გერმანიისა და იტალიისათვის XIX საუკუნე. ყველა ზემომითითებულ ქვეყანაშიქეროვნული კონსოლიდაციის განმსაზღვრელ ფაქტორად მარქსს და ენგელსს მიაჩნდათ ეკონომიური ცხოვრების მყარი ერთობის მომწიფება, რის უნარიც მხოლოდ კაპიტალისტურ ურთიერთობას აქვს.)

---

[1] ი. კაკარაია, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები (დასკვნები და განზოგადებანი), თბილისი, 1966, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 25.

[3] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1948, გვ. 50—51.

მარქსისა და ენგელსის შრომებში ერი ზოგჯერ მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციების შიმართაც იხმარება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ ერსა და ეროვნებას[1]. მარქსსა და ენგელსს, როცა ისინი წინაკაპიტალისტური ეპოქების „ერებზე“ ლაპარაკობდნენ. მხედველობაში ჰქონდათ **ერი, როგორც ეთნიკური ერთობა,** რაც, ცხადია, ერების ჩამოყალიბებამდე შეიქმნა. ხალხთა ეროვნული თავისებურებანი აღმოცენდებიან უფრო ადრე. ვიდრე ერები ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით.

< ერის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ენა და ტერიტორია. ენგელსი ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველიე საუკუნეებიდან აღმოცენებულად მიიჩნევდა. ენამ და ბუნებრიემა საზღვრებმა უძველესი დროიდან გათიშეს იტალია, გალია, ესპანეთი, აფრიკა დამოუკიდებელ ერთეულებად, მაგრამ არსად არ არსებულა ძალა, რომელსაც შეეძლებოდა ეს ელემენტები ერად შეეერთებინა[2]. ასეთ ძალად ენგელსს მიაჩნდა ეკონომიური ერთობა, რომელსაც საერთო ტერიტორიისა და ენის ხალხები, ფეოდალურ სამთავროებად დაჭუცმაცებულნი ერთ მთლიან ორგანიზმად უნდა შეეერთებინა. ეს ძალა ადრე აღმოცენდა იმ ქვეყნებში, სადაც ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული სახელმწიფო, სადაც მეფის ძალაუფლებამ მზარდ ბიურგეროზაზე დაყრდნობით ფეოდალური ოლქების გაერთიანება განახორციელა. ამ შემთხვევაშიც ძირითადი ფაქტორის როლს ასრულებდა ფული, კაპიტალი, რომელმაც ვიდრე ახალი ტიპის ქვემეხები რაინდული ციხე-კოშკების კედლებს დაანგრევდნენ, შესძლო მათი საძირკველის გამოთხრა. >

მარქსისა და ენგელსის ნაშრომებში ვერსად შეხვდებით საუბარს ერის, როგორც ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენის შესახებ, პირიქით, ერი მათ მხოლოდ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევა-მოსპობისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის გაძლიერება-გაბატონების ეპოქის პირმშოდ მიაჩნდათ. ტერმინი „ბურჟუაზიული ერი“ მათ ნაშრომებში იხმარება არა „ფეოდალური ერის“ საპირისპიროდ, არამედ იმ გაგებით, რომ ერის ცნება, მისი გაჩენა, მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის თანმხლები და დამახასიათებელი მოვლენაა.

<ერის, როგორც კაპიტალისტური ეპოქის პირმშოს შესახებ, არა-

[1] С. Т. Калтахчян. К вопросу о понятии нации. ჟურ. «Вопросы истории» № 6. 1966 წ. გვ. 40.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 21, стр. 147.

ერთგზის მითითებას ვხვდებით ვ. ი. ლენინის შრომებში. ცნობილია, რომ ფეოდალური ურთიერთობა რუსეთში ჯერ კიდევ კიევის რუსეთში იყო განვითარებული. ამასთან, კიევის რუსეთი ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო, რომელმაც მაღალი ეროვნული კულტურის არაერთი თვალსაჩინო ძეგლი შემოგვინახა. მაგრამ არც კიევის რუსეთი, არც მოსკოვის რუსეთი თათარ-მონღოლთა უღლის დამხობის შემდეგაც კი, გარკვეულ ეპოქამდე, ლენინს ერად არ მიაჩნდა, რადგან ფეოდალური ურთიერთობა თავისი კარჩაკეტილობით, შინაომებით, საბაჟოებით, გამორიცხავდა რუსი ხალხის მყარ ერთობას. რუსი ხალხის ერად ჩამოყალიბება ვ. ი. ლენინმა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში ახალ მოვლენას — რუსეთის ერთიანი ბაზრის გაჩენას დაუკავშირა. „ნამდვილად რუსეთის ისტორიის მხოლოდ ახალ პერიოდს (დაახლოებით XVII საუკუნიდან) ახასიათებს ფაქტიური შეერთება ყველა ოლქისა, მიწებისა და სამთავროებისა ერთ მთელად. ეს შეერთება... „გამოწვეული იყო არა გვაროვნული კავშირით და არა თუნდაც მისი განგრძობითა და განზოგადებით: ეს გამოწვეული იყო ოლქებს შორის გაცვლის გაძლიერებით, საქონლის თანდათან მზარდი მიმოქცევით, მცირე ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციით ერთ სრულიად რუსეთის ბაზრად. რადგან ამ პროცესის ხელმძღვანელნი და განმგებელნი კაპიტალისტ-ვაჭრები იყვნენ, ამ ნაციონალური კავშირის შექმნაც ბურჟუაზიული კავშირის შექმნა იყო და მეტი არაფერი“ [1]. >

<ერების გაჩენა ასევე ესმოდა ეროვნული საკითხის საუკეთესო მარქსისტ-თეორეტიკოსს ი. ბ. სტალინს. „ერების ბედი დაკავშირებულია კაპიტალიზმის ბედთან“ [2] და „ერები არ უოფილან და არც შეიძლება უოფილიუვნენ წინაკაპიტალისტურ პერიოდში, ვინაიდან ჯერ კიდევ არ უოფილა ნაციონალური ბაზრები, არ იყო არც ეკონომიური და არც კულტურული ნაციონალური ცენტრები, არ იყო მაშასადამე, ის ფაქტორები, რომლებიც სპობენ ამა თუ იმ ხალხის სამეურნეო დაქუცმაცებულობას და ერთ ეროვნულ მთელად აკავშირებენ ამ ხალხის მანამდე გათიშულ ნაწილებს“ [3]. >

აკრიტიკებდა რა რ. ლუქსემბურგს, ვ. ი. ლენინი ამტკიცებდა, რომ ეროვნული კონსოლიდაციის პროცესში ძირითადი იყო ეკონომიური ფაქტორი, რომ „სასაქონლო წარმოების სავსებით გასამარჯვებლად საჭიროა საშინაო ბაზრის დაპყრობა ბურჟუაზიის მიერ“ [4].

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 1, გვ. 170.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 375.

[3] იქვე, გვ. 372.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ, ტ. 20. გვ. 423.

ეროვნულ საკითხში რ. ლუქსემბურგის, ბაუერის, რენერის შეხედულებათა კრიტიკის დროს ვ. ი. ლენინი ხშირად იშველიებდა კაუცკის, რომელიც თავის ადრინდელ ნაშრომებში ერის შესახებ მარქსისტულ პოზიციებზე იდგა. კაუცკის ისტორიულ-ეკონომიური თეორია ერის შესახებ ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ბაუერის ფსიქოლოგიური თეორიის წინააღმდეგ მიმართულ იარაღად.

კ. კაუცკი თავის ადრინდელ ნაშრომებში („ჩვენი დროის ეროვნება", „ნაციონალური საკითხის შესახებ რუსეთში", „ეროვნებათა ბრძოლა და სახელმწიფოებრივი სამართალი ავსტრიაში" და სხვ.) არაერთხელ შეხებია ერის ცნებას. ერების წარმოშობის საკითხს. მას ერის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებად ენა, ტერიტორია. ეკონომიური ერთობა და ეროვნული სახელმწიფო მიაჩნდა. კაუცკი შეუძლებლად თვლიდა ერების ჩამოყალიბებას ფეოდალიზმის ეპოქაში. „საშუალო საუკუნეებში სახელმწიფო შედგებოდა მრავალი კანტონებისა და ოლქებისაგან... რომლებიც თავისთავს თვითონ მართავდნენ, ხოლო სამეურნეო ურთიერთობაში დამოუკიდებელნი იყვნენ და სახელმწიფო ხელისუფლებასთან მხოლოდ დამოკიდებულების სუსტი ძაფით იყვნენ დაკავშირებული" [1]. მხოლოდ „კაპიტალიზმი საჭიროებს ფართო შინაურ ბაზარს და სრულ შეუფერხებელ ურთიერთობას. იგი ამასთან საჭიროებს შედარებით უფრო თავისუფალ გასაქანს მსოფლიო ბაზარზე", მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესს შეადგენს ერთის მხრივ შეადუღოს ერის ყველა ნაწილი ერთ სახელმწიფოდ, მეორეს მხრივ, ყველა დანარჩენ ერებს სახელმწიფოში თავზე მოახვიოს თავისი საკუთარი ნაციონალური ენა" [2]. მიუთითებდა რა თვისობრივ განსხვავებაზე ტომსა და ერს შორის, კაუცკი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად აღმოცენდებაო.

/ამრიგად, მარქსი, ენგელსი, ლენინი არ სცნობდნენ ერს, როგორც ფეოდალური ფორმაციისათვის დამახასიათებელ ისტორიულ კატეგორიას. მათ მიაჩნდათ, რომ ერი, როგორც გარკვეული სოციალური ერთობა ხალხების ისტორიულ-ეთნიკური განვითარების ყველაზე მაღალი საფეხურია და მხოლოდ კაპიტალისტურ ეპოქას უკავშირდება./

ფეოდალურსა და ფეოდალიზმამდელ ეპოქაში ერების არსებობის თეორია ახალი არ არის. მას მარქსისტული ისტორიული მეცნიერების გაჩენამდე აღიარებდა და დღესაც აღიარებს ბურჟუაზიულ-

---

[1] К. Каутский, Национальность и международность. გვ. 51.
[2] К. Каутский, Кризис в Австрии გვ. 287—288.

იდეალისტური მიმართულების ბევრი მეცნიერი. შორს რომ არ წავიდეთ, ასეთი მიმართულების მკვლევარები საქართველოშიც მოიძებნებიან. მაგალითად, ა. ჯორჯაძე ერის ჩამოყალიბებას სახელმწიფოებრიობის გაჩენის დროიდან ვარაუდობდა („ერი შვა სახელმწიფომ") [1]. ერების იდეალისტური თეორიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი ოტტო ბაუერი ერების წარმოშობას გვაროვნულ საზოგადოებას მიაწერდა. იგი აღნიშნავდა, რომ გერმანელებს გვაროვნული წყობილების დროიდანვე ერად აერთიანებდა საერთო წარმოშობა [2].

საქართველოს ისტორიის გამოჩენილ მკვლევარებს ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილს არასოდეს არ უმტკიცებიათ ფეოდალიზმის ეპოქაში ქართველი ერის ჩამოყალიბება და მათ არც „ფეოდალური ერის" ცნება შემოუტანიათ, როგორც ამაში პროფ. ი. კაჭარავა გვარწმუნებს. 1944 წ. ს. ჯანაშიამ ქართველი ერის წარმოშობის პროცესი სტალინის მოძღვრების შუქზე განიხილა. ჯანაშიას დაინტერესება ამ საკითხით შეპირობებული იყო იმით, რომ ზოგიერთ მკვლევარს საქართველოში, და საერთოდ კავკასიაში ერის წარმოქმნის პროცესი მხოლოდ კაპიტალისტური ეპოქის პროცესად მიაჩნდა და მას XIX საუკუნის ფარგლებში ათავსებდა. მეცნიერმა მრავალი თვალსაჩინო ფაქტის მოშველიებით ნათელჰყო, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი მრავალსაუკუნოვანი იყო და XIX საუკ. მეორე ნახევარი ამ პროცესის დაგვირგვინებას წარმოადგენდა, რომ ქართველებს ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეების ეპოქაში ჰქონდათ ენის, ტერიტორიის, ეთნიკური კუთვნილების შეგნების, ეროვნულ-კულტურული ერთობის დამახასიათებელი ნიშნები, რომ არა მარტო XI—XII საუკუნეებში, როდესაც საქართველო ერთიანი და ძლიერი ფეოდალური ეროვნული სახელმწიფო იყო და ეროვნული კულტურა მაღალ დონეზე იდგა, არამედ უდიდესი ძნელბედობის ხანაშიც, როცა ჯერ მონღოლების, შემდეგ ირანისა და ოსმალეთის აგრესიამ ერთიანი საქართველოს პოლიტიკური სხეული დაანაწევრა და გააცალცალკევა, როცა „ქვეყანა დიდ სამეურნეო და პოლიტიკურ დაქვეითებას განიცდიდა", „ეროვნული ერთობის ეს შეგნება შენარჩუნებულ იქნა" [3].

ჩ აღნიშნავს რა საქართველოს ისტორიული ცხოვრების შორეულ წარსულში ერის ცალკეული ელემენტების გაჩენისა და ამ ელე-

---

[1] ა. ჯორჯაძე. თხზ., ტ. I, გვ. 34.

[2] О. Бауер. Национальный вопрос и социал-демократия. 1918, გვ. 27.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბილისი, 1946. გვ. 11.

შენტების გამძლეობის თვისებას დიდი ქარტეხილების ვითარებაშიც კი, ს. ჯანაშია განაგრძობს: „ქართველი ერის ჩამოყალიბების ეს მრავალსაუკუნოვანი პროცესი დაგვირგვინდა XIX ს. მეორე ნახევარში, როცა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ საქართველო მთლიან სამეურნეო ერთეულად შეაკავშირა. ასეთი გზა განვლო მსოფლიოს ყველა კულტურულმა ხალხმა. იგივე უნდა ითქვას სხვა ერებზედაც, რომელთაც ფეოდალიზმის სტადია გაიარეს და თავიანთ ქვეყნებში კაპიტალიზმი განავითარეს, ამბობს ამხანაგი სტალინი“ [1]. >

როგორც ვხედავთ, ს. ჯანაშია არ ცნობს ერის არავითარ მესამე ტიპს — „ფეოდალურ ერს“, ხალხების ერებად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი დასრულებულად მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში მიაჩნია.

1949 წ. უნივერსიტეტის ლექტორიუმში აკად. ნ. ბერძენიშვილმა წაიკითხა მოხსენება „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში“ [2] (ნაშრომი გამოქვეყნდა იმავე წელს), სადაც წამოჭრა ფრიადმნიშვნელოვანი საკითხები — „რაობა სამშობლოისა, ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს ა (ხაზგასმა ჩემია, ა. ს.), პატრიოტიზმისა, საკითხისა მათი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს შესახებ“ [3].

განსვენებული მეცნიერი, არკვევს რა ქართველთა ეროვნული ნიშნების თანდათანობით ჩამოყალიბება-განმტკიცებას, შენიშვნაში ასკვნის, რომ XI საუკუნის პირველი მესამედისათვის „ფეოდალურმა საქართველომ თავი მოიყარა, ფეოდალურ ეროვნულად გაერთიანდა, რაც თანმხლები პროცესი იყო მათი ფეოდ.[ალური] ეროვნული ჩამოყალიბების პროცესისა“ [4]. პროფ. ი. კაჭარავას მიაჩნია, რომ ნ. ბერძენიშვილმა აქ მკვლევართა ყურადღება თითქოს ერების მესამე ტიპზე — „ფეოდალურ ერზე“ გაამახვილა. პატივცემულ ი. კაჭარავას უნდა შევნიშნოთ, რომ მისი ვარაუდი ამ შემთხვევაში ნებისმიერია და არავითარ არგუმენტს არ ემყარება. ვინც ნ. ბერძენიშვილის ამ ნაშრომს ყურადღებით წაიკითხავს, უსათუოდ დარწმუნდება, რომ „ფეოდალური ერის“ ცნება აქ არაფერ შუაშია და ნ. ბერძენიშვილს აზრადაც არ ჰქონია ასეთი რამის დამტკიცე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბილისი, 1946, გვ. 11.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბილისი, 1965.

[3] იქვე, გვ. 6.

[4] იქვე, გვ. 24 — 25.

ბა. იგი ლაპარაკობდა მხოლოდ ქართველთა ეროვნულ ნიშნებზე, რომლებიც ამავე დროს ქართული ბურჟუაზიული ერის ელემენტებს. მის პოტენციას განასახიერებდნენ მხოლოდ. XI—XII საუკუნეების საქართველოში, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, მართლაც ძლიერი ტენდენციაა ქართველი ერის ნიშნების მომწიფებისა და ეროვნული ერთობის ხარისხში გადასვლისა და ამ შემთხვევაში დამაჩქარებელ ფაქტორს დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების (გიორგი III, თამარი) მიერ განმტკიცებული ცენტრალიზებული, ფეოდალურ-ეროვნული სახელმწიფო განასახიერებს. მაგრამ ეს ტენდენციაა მაინც და არა განხორციელებული ფაქტი. ფეოდალურ-ეროვნული სახელმწიფოს არსებობის ფაქტი კი სრულიადაც არაა იდენტური ერის არსებობის ფაქტისა, რადგან, ცნობილია, რომ ერის ცალკეული ელემენტი ჩნდება გაცილებით ადრე, ვიდრე დასრულდებოდეს ერის ჩამოყალიბების პროცესი.

ქართიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდან დაიწყო, როცა საქართველოში სახელმწიფო აღმოცენდა. ადრეულ შუა საუკუნეებში თამამად შეგვიძლია ქართველთა ტერიტორიის, ენის, ხასიათის ერთობაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ეროვნების ნიშნებია, ერის კომპონენტებს მხოლოდ პოტენციაში შეიცავს. ერის („ნათესავის") დასრულებულ კომპონენტებად ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიას მიაჩნდა მხოლოდ [1].

ლეონტი მროველი — ამბობს ნ. ბერძენიშვილი — ისეთ ნიშნებს, როგორიცაა ერთიანი ტერიტორია, ენა, რელიგია და სხვ. ჯერ კიდევ ფარნავაზის დროინდელ საქართველოში ხედავს. „ლეონტის მოწმობით — აღნიშნავს მეცნიერი — ფარნავაზის დროს და ფარნავაზის მეოხებით შეიქმნა ქართველთა სახელმწიფო, ქართული ტერიტორიით, ქართული ენით, ქართული წესწყობილებით (თუმცა ნასესხებით), ქართული სარწმუნოებით, ქართული მწიგნობრობით და ქართველი მეფით (ბაზი ავტორისაა). ლეონტის მიხედვით ეს ნიშნები საკმაო და აუცილებელია კულტურული „ნათესავის" ინდივიდუალობისათვის.

ამრიგად, აქ შუა საუკუნეების ქართველთა „ნათესავის" ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციაა მოცემული" [2].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, მით. ნაშრომი, გვ. 8.

[2] იქვე.

თუ ლ. მროველის კონცეფციას გავიზიარებთ, მითითებული ნიშნებით საქართველო ერად შეიძლება ფარნავაზის ეპოქაშიც კი წარმოვიდგინოთ. მაგრამ მარქსისტულ-ლენინური თვალთახედვა ერში გაცილებით უფრო მაღალ კატეგორიას გულისხმობს, ვიდრე ეს შუასაუკუნეებში ესმოდათ.

პროფ. ი. კაჭარავა ფეოდალური ერის კონსტანტირებით ძალაუნებურად ლ. მროველის კონცეფციისაკენ გვეწევა. „ფეოდალური ერის“ არსებობის დასამტკიცებლად არაფერს გვეუბნება ტერმინი „ეროვნულ-ფეოდალური“, „ეროვნულ-კულტურული“. რომელსაც ფეოდალური ეპოქისათვის ხშირად ხმარობდნენ განსვენებული მეცნიერები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი. ამ ტერმინში ისინი სულ სხვა შინაარსს დებდნენ. ამის ნათელყოფა როდია ძნელი. „ხალიბ-ხალდებს ანტიკურ ხანაში ჯერ კიდევ მოსდგამთ ისეთი ე რ ო ვ ნ უ ლ-კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი თ ვ ი ს ე ბ ა ნ ი, რომელნიც უაღრესად მჭიდროდ ანათესავებენ მათ ურარტუსთან — წერდა აკად. ს. ჯანაშია. ხომ არ ვიგულისხმებთ, რომ ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება იმ ეპოქაშიც დასრულებული იყო?

1966 წლის აპრილში, ი. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე პროფ. ა. აფაქიძემ წაიკითხა საინტერესო მოხსენება თემაზე: „ნათესავით ქართველი“. განმარტა რომ ტერმინი „ნათესავი“, როდესაც ეთნიკურ სახელს თან სდევდა, ეროვნების (ერის) ცნების გამომხატველი იყო და „ნათესავით ქართველი“ გამოხატავდა ქართველთა ეროვნებას (ქართველ ერს), ქართველობას [1].

„ეს ცნება — ა. აფაქიძის აზრით — წარმოიქმნა ისეთ ვითარებაში, როდესაც „ქართველთა ნათესავს“ უკვე ჰქონდა ისტორიულად მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ჩამოყალიბებული ერთობა ენისა, ტერიტორიისა, სამეურნეო ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობისა“. ყველა ამ ნიშანთა არსებობა (ამა თუ იმ ნიშნის მეტნაკლები სრულყოფილობის მიუხედავად) ავტორს აფიქრებინებს ქართველი ერის ჩამოყალიბება XII საუკუნისათვის ფაქტად აღიაროს და დაასკვნას, რომ „ერების წარმოქმნა მხოლოდ და მხოლოდ (ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე) კაპიტალისტური ურთიერთობის პროდუქტი არ არის“ [2].

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია (ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი), სამეცნიერო სესია მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი (თეზისები, თბ. 1966, გვ. 10 — 11).

[2] იქვე, გვ. 12.

როგორც ვხედავთ, პროფ. აფაქიძემ ქართველი ერის ჩამოყალიბების საინტერესო, ორიგინალური თვალსაზრისი განავითარა. ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესი XII ს. საქართველოში უკვე დასრულებულად მიიჩნია. ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რაში ცდება აქ პროფ. ა. აფაქიძე, თუმცა ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ა. აფაქიძეს XII საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებული ქართველი ერი არ მიუჩნევია „ფეოდალურ ერად", რომელსაც „კაპიტალისტური ერისაგან" განსხვავებული თვისება უნდა ახასიათებდეს.

ა. აფაქიძემ ქართველი ერის ჩამოყალიბების დასასრული (XIX ს. მეორე ნახევარი) შვიდი საუკუნით უკან გადასწია *.

ერის წარმოშობის შესახებ ეს საკმაოდ ვრცელი ექსკურსი ნათელჰყოფს, რომ ვერც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში, ვერც ქართველ გამოჩენილ ისტორიკოსთა ნარკვევებში ვერ შეხვდებით „ფეოდალური ერის" ცნებას და რომ ერის „მესამე ტიპის" არსებობის აღიარება პროფ. ი. კაჭარავას ორიგინალური კონცეპციაა, რომელსაც, სამწუხაროდ, საფუძველი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით ვერ დაუმკვიდრდება.

ერების მესამე ტიპის — „ფეოდალური ერის" არსებობა რომ აღიარა, პროფ. ი. კაჭარავას ამ ცნების განსაზღვრაც უნდა მოეცა, მაგრამ ასეთი მის ნაშრომში არ შეგხვედრია. სამაგიეროდ, პროფ. ი. კაჭარავას მინიშნებული აქვს „ფეოდალური ერის" შემადგენელი კომპონენტები, რომელიც სხვა არაფერი ყოფილა თუ არა „ბურჟუაზიული ერის ელემენტები". პროფ. ი. კაჭარავა წერს: „ქართველი ფეოდალური ერის ნიშნები ან ბურჟუაზიული ერის ელემენტები ბოლომდე ვერ განვითარდნენ ბურჟუაზიული ერის ნიშნებად ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში, ქვეყნად მაშინ არსებული სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლეოდა" [1]. სხვა ადგილას ი. კაჭარავა იმეორებს იგივეს, როცა წერს,

---

* ა. აფაქიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში პროფ. შ. მესხიამ გამოთქვა „ფეოდალური ერის" არსებობის ვარაუდი. მაგრამ პროფ. მესხიას ეს თვალსაზრისი არც მაშინ,არც შემდეგ არ დაუსაბუთებია. პროფ. ი. კაჭარავა იმოწმებს შ. მესხიას თვალსაზრისს „ფეოდალური ერის" შესახებ. ჩვენ შ. მესხიასთან კამათისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გაგვაჩნია. ისე კი, თუ პატივცემული პროფესორი, მართლაც დაბეჯითებით დგას ამ თვალსაზრისზე, ი. კაჭარავას მიმართ გამოთქმული ჩვენი შენიშვნები, ცხადია, მასაც ეხება.

[1] ი. კაჭარავა, მით. ნაშრომი, გვ. 23.

რომ „ქართველი ფეოდალური ერის ნიშნები ერთიანი, ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის პირველ ხანებშივე გარკვეულად ამჟღავნებდნენ ბურჟუაზიული ერის ნიშნებად განვითარების ტენდენციას და ზოგი მათგანი არა მარტო ამჟღავნებდა ამ ტენდენციას, არამედ პირველსა და გადამწყვეტ ნაბიჯებსაც დგამდა აღნიშნული მიმართულებით [1].

ამონაწერები ცხადყოფს, რომ „ფეოდალურ ერს“ ჰქონია იგივე ნიშან-თვისებანი, რაც ბურჟუაზიულ ერს, მაგრამ მათ შორის განსხვავება ყოფილა მხოლოდ ის, რომ პირველის („ფეოდალური ერის“) ნიშნები უფრო განუვითარებელი და მოუმწიფებელი ყოფილა, ვიდრე მეორესი (ბურჟუაზიული ერისა). საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში მომხდარ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებათა გამო (საქართველოს რუსეთთან შეერთება, ბატონყმობის გაუქმება, კაპიტალიზმის განვითარება), ფეოდალური ერის ნიშნები, მკვლევარის აზრით, კაპიტალისტური ერის ნიშნებად განვითარებულან. „ქართული ფეოდალური ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ნიშნები — წერს ი. კაჭარავა — ახალ ვითარებაში განვითარდნენ ბურჟუაზიული ერის ნიშნებად, რითაც დამთავრდა ქართული ფეოდალური ერის ბურჟუაზიულ ერად (ნაციად) გარდაქმნა, ქართული ბურჟუაზიული ერის, „ნაციის“ ჩამოყალიბება“ [2].

მაშასადამე, პროფ. ი. კაჭარავა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ერებს შორის ნიშან-თვისებათა სხვაობას არ ხედავს. ამ ორი ტიპის ერს შორის განსხვავება, მისი აზრით, მათი საერთო დამახასიათებელი ნიშნების განვითარების დონით განისაზღვრება. მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპზე ფეოდალური ერი ბურჟუაზიულად გარდაიქმნება.

პროფ. ი. კაჭარავას სქემით ქართველები პირველად ფეოდალურ ეროვნებად ჩამოყალიბებულან. ეროვნებად ჩამოყალიბების პროცესი „ფეოდალური რევოლუციის“ ეპოქაში დამთავრებულა. ამ რევოლუციის შედეგად ქართველთა ეროვნება ქართულ ფეოდალურ ერში გადაზრდილა. ამასთან, ეროვნებისა და ერის ნიშნები ი. კაჭარავას აზრით საერთოა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მეორის (ე. ი. ბურჟ. ერის) ნიშნები უფრო განვითარებულ-დასრულებულ ფორმაში გვევლინებიან. „ქართული ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბების რთული და ხანგრძლივი პროცესი დამთავრებული ჩანს სა-

---

[1] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, მით. ნაშრომი, გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 25.

ქართველოში „ფეოდალური რევოლუციის“ გამარჯვების მომენტისათვის“ და რომ „ქართული ფეოდალური ეროვნება საუკუნეთა მანძილზე ვითარდება ქართულ ფეოდალურ ერად“ [1].

ქართველი ფეოდალური ერის ძირითად ნიშან-პირობად პროფ. ი. კაჭარავას მიაჩნია: „ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბება-განვითარება“; „ქრისტიანული რელიგიის ფართოდ გავრცელება და ქართული მართლმადიდებლური ეკლესია“; „ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება და მისი გამოყენების სფეროს თანდათანობითი გაფართოება“; „ქართველურ ტომთა მიწა-წყლის სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება შემომტკიცებითა და სამეურნეო ეკონომიური ათვისებით X საუკუნისათვის ჩამოყალიბებული ტერიტორიული ერთობა“; „საქართველოს მიწა-წყალზე ძირითადად IX—X საუკუნეებში შექმნილი სოციალ-პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიური მდგომარეობა“. ჩამოთვლის რა ამ ნიშნებს, ავტორი იქვე იშველიებს ნ. ბერძენიშვილს და ასკვნის, რომ ამით ძირითადად მოცემულია „შუა საუკუნეების ქართველთა ნათესავის ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია“. მაგრამ ჩვენ ზევით უკვე ვნახეთ, რომ ნ. ბერძენიშვილი ამ ამონაწერში ლეონტი მროველის თვალსაზრისს შიფრავს მხოლოდ და ამ პირველი ქართველი ისტორიკოსის კონცეფციას აყალიბებს. თუ პროფ. ი. კაჭარავა ერის ცნების განსაზღვრაში ლ. მროველის პოზიციაზე დგას, ჯობდა უშუალოდ პირველწყაროზე — ლეონტი მროველზე მიეთითებინა.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ პროფ. ი. კაჭარავას კონცეფციით ქართველი ერის კონსოლიდაციის პრობლემა ხელოვნურად გართულებული და დამძიმებულია მრავალი ზედმეტი საფეხურით, ის ნიშან-პირობები კი, რომლებსაც იგი „ფეოდალური ერის“ კუთვნილებად მიიჩნევს, სხვა არაფერია, თუ არა ცალკე ელემენტები, ან მხოლოდ პოტენციური შესაძლებლობანი ბურჟუაზიული ერისა, რომლის ჩამოყალიბების პროცესი საუკუნეთა მანძილზე ვიმდინარეობს და მხოლოდ XIX ს. მეორე ნახევარში აღწევს დასასრულს.

XI—XII საუკუნეებში — განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში — ეს ნიშან-პირობები მართლაც ამჟღავნებდნენ ქართველთა ერად ჩამოყალიბების ძლიერ ტენდენციებს, მაგრამ ერად ჩამოყალიბების პროცესი ვერ დასრულდა მაინც. ამის მიზეზი იყო ჯერ-ერთი ის, რომ XIII ს. დასაწყისიდან საქართველოს შინაგანი განვითარების ინტენსიური პროცესი თათარ-მონღოლთა შემოსევამ ძლიერ

[1] ი. კაჭარავა, მით. ნაშრომი, გვ. 11.

შეაფერხა. მეორეც ის, რომ, თვით ქვეყნის შიგნით ერის შემადგენელ კომპონენტებს მყარი საფუძველი არ ჰქონიათ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერი, უპირველეს ყოვლისა მის შემადგენელ ცალკეულ ნიშანთა მყარი ერთობაა. ნიშნები, როგორც აღვნიშნეთ, არსებობდნენ, ვითარდებოდნენ, მაგრამ მათ სწორედ ის სიმყარე აკლდათ, რაც მხოლოდ კაპიტალისტურ ეპოქაშია შესაძლებელი.

თუ ერს ზემოთმითითებულ ნიშანთა უბრალო ჯამამდე დავიყვანთ, მაშინ რატომ არ შეიძლება ერის არსებობა ანტიკურ საზოგადოებაშიც ვივარაუდოთ. განა რომის იმპერიაში არ იყო ერთიანი ენა, რომელზედაც მაშინ არა მარტო იტალიელები, არამედ მსოფლიოს ხალხებიც ლაპარაკობდნენ? განა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე წარმატებით არ დასრულდა რომის გარშემო იტალიის პროვინციების გაერთიანება? განა იტალიური კულტურა თავისი შინაარსითა და ეროვნული ფორმით საკაცობრიო ცივილიზაციის უდიდეს საგანძურს არ წარმოადგენს? იტალიის სამეურნეო ცხოვრება რომის იმპერიის ეპოქაში როდი იყო ნაკლებ ცენტრალიზებული და ეკონომიკა-მრეწველობაც ნაკლებ განვითარებული (ცხადია, მაშინდელი ტექნიკის შესაბამისად), ვიდრე საშუალო საუკუნეების ნებისმიერ ქვეყანაში?

საკითხს თუ ასე მივუდგებით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ მონათმფლობელური ერი, ფეოდალური ერი და ერები გავყოთ იმდენ კატეგორიად, რამდენი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციაც არსებობს (ზოგი მეცნიერი ერს გვაროვნულ საზოგადოებაშიც კი ხედავს). რა გამოვა აქედან? ერი როგორც განსაკუთრებული და მაღალი საფეხური ხალხების სოციალ-ეთნიკურ განვითარებაში, გაქრება, იგი შინაარსიდან დაიცლება, დაგვრჩება საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის დანამატი რაღაც მოუხელთებელი კატეგორია, რომელსაც თავისი გამოკვეთილი სახე ვეღარ მოენახება. ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სათავეს კლასებისა და სახელმწიფოს აღმოცენებიდან იღებს და შემდეგ საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ ვითარდება და სრულდება. ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის ასეთი ხანგრძლივი ხასიათი გვაძლევს იმის უფლებას, რომ ამა თუ იმ ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესის წინაკაპიტალისტურ (ფეოდალურ, წინაფეოდალურ ან მონათმფლობელურ) პერიოდზე ვილაპარაკოთ. არ იქნება შეცდომა, მაგალითად, თუ ვიტყოდით „ქართველი ერი“ ფეოდალიზმის სტადიაში. ამ გამოთქმაში ვიგულისხმებდით ქართველი ერის კონსოლიდაციის იმ ეტაპს, რომელიც ჩვენს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციასთანაა და-

კავშირებული. მაგრამ სხვაა ქართველი ერი ფეოდალიზმის პერიოდში და სხვაა ქართველი „ფეოდალური ერი“. რადგან ეს მეორე გულისხმობს ფეოდალურ ეპოქაში ეროვნული კონსოლიდაციის უკვე დასრულებულ პროცესს და ხალხის განვითარებაში ცალკე გამოკვეთილ სოციალ-ეთნიკურ ერთობას, რომელიც მისი წინა და მომდევნო ეთნიკური საფეხურებისაგან თვისობრივად განსხვავებულ კატეგორიას უნდა წარმოადგენდეს.

არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ერი ხალხის ეთნიკურ განვითარებაში არა მარტო ყველაზე მაღალი, არამედ თვისობრივად განსხვავებული სოციალ-ეთნიკური ერთობაა. რომ ერის დამახასიათებელი ნიშნების (ენა, ტერიტორია, ეროვნული კულტურა, სახელმწიფოებრიობა და სხვ.) განვითარება კაპიტალიზმის ეპოქაში, ეკონომიური კავშირების გაცხოველების ბაზაზე ახალ თვისობრიობაში გადადის. ამრიგად, ერების ჩამოყალიბების პროცესი არაა მხოლოდ ერის ნიშანთა რაოდენობრივი ზრდის პროცესი, მხოლოდ ევოლუციური პროცესი. იგი რევოლუციური პროცესია, და ხორციელდება დიალექტიკის საყოველთაოდ აღიარებული კანონის (რაოდენობის თვისობრიობაში გადაზრდა) თანახმად.

ამრიგად, მკვლევარი, რომელიც ერის ცნების დღეისათვის აღიარებულ განსაზღვრას ეყრდნობა („ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“), ვერ დაუშვებს „ფეოდალური ერის“ არსებობას, რადგან იგი პრინციპში ეწინააღმდეგება ამ დებულების მთელ შინაარსს და არღვევს მის განმსაზღვრელ პრინციპებს.

ერის ცნების რაობაზე დღეს ისტორიკოსთა შორის დისკუსიაა გაჩაღებული. მკვლევარები მიისწრაფვიან რომ ეროვნულ საკითხში დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე უფრო დახვეწონ და სრულყონ აქამდე აღიარებული განსაზღვრა. მკვლევარები მიუთითებენ რიგ დამატებით ნიშნებზე, რომლებიც ერის ცნებაში უნდა იქნას შეტანილი. მაგრამ დისკუსიის არც ერთ მონაწილეს არ დაუყენებია ერების, როგორც ფეოდალური საზოგადოების კატეგორიის საკითხი. ის, ვისაც ერის არსებობა ფეოდალურ ფორმაციაში გადააქვს, ვალდებულია პირველ რიგში დაასაბუთოს ერის აღიარებული ცნების უვარგისობა და ახალი, მისი კონცეფციის შესატყვისი დებულება ჩამოაყალიბოს, ამასთან იგი თეორიულად, სათანადო ფაქტიური მასალის გაანალიზებით დაასაბუთოს.

• • •

გავარკვიოთ, თუ ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესის რომელ სტადიასთან გვაქვს საქმე X—XII საუკუნეებში და რატომაა შეუძლებელი ამ ეპოქისათვის ერის ჩამოყალიბება დასრულებულად მივიჩნიოთ.

კამათს არ იწვევს, რომ დავით IV-ის და განსაკუთრებით თამარის ეპოქაში საქართველო ცხოვრების ყველა დარგში მაღალგანვითარებული ქვეყანაა და ჩვენს წარსულში მას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

XII საუკუნეში საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა მთელ ახლო აღმოსავლეთში. ამ დროს არა მარტო დასრულდა ბრძოლა ქართული მიწა-წყლის გასაერთიანებლად, არამედ საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძალაუფლება ვრცელდება ახლო აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებზედაც. თამარის ისტორიკოსის მოწმობით, თამარმა — „იპყრნა ზღჳთ პონტოსით ზღუადმე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკჳთთამდის“ [1]. ერთიანი, მტკიცედ ცენტრალიზებული მონარქიის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებულ ქართველ ტომებს ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების პირობებში გამომუშავებული აქვთ ეთნიკური კუთვნილების შეგნება. ეროვნული გრძნობა. ქართული ტრადიციების, ენის, სარწმუნოების პატივისცემა-დაფასება. შემთხვევითი არაა, რომ ამ დროის ისტორიოგრაფიაში „წინა პლანზეა წამოწეული პატრიოტული სულისკვეთების ამსახველი მომენტები: ქართველი ხალხის ბრძოლა და პატრიოტების თავდადება საკუთარი ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის (კონსტანტინე კახის, გობრონის მარტვილობა...), ქართველ ქრისტიან მოღვაწეთა პატივისცემა. დაფასება (სერაპიონ ზარზმელი. გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი), ქართული კულტურის დაფასება (ქართული ენის ქება... [2]. ამრიგად, ამ დროისათვის შეგვიძლია საქართველოს არა მარტო ტერიტორიული ერთობის, არამედ ამ ერთობის შეგნების, ე. ი. ქართველური შეგნების არსებობის შესახებ ვილაპარაკოთ.

XI—XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერება, მისი ასეთი ძლიერი გავლენა მთელ ახლო აღმოსავლურ სამყაროზე სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების იმ ეპოქისათვის

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 79, 80.

[2] შ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ. 1963, გვ. 262.

მაღალი დონით იყო შეპირობებული. საქართველო ამ დროს მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა პროგრესს განიცდის (გუთანი), მიმდინარეობს ტყეების გაჩეხვა, ოდესღაც თურქთაგან გავერანებული სოფლების მოშენება-დასახლება[1], იზრდება სახნავ-სათესი ფართობები ურწყავი ადგილების განოყიერების, ყამირის ათვისების ხარჯზე. მარტო თამარის დროს დიდი საირიგაციო მშენებლობის მეოხებით ათვისებულ იქნა ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა. სოფლის მეურნეობა მრავალი დარგითაა წარმოდგენილი. მემინდვრეობის გვერდით დაწინაურებული ჩანს მებაღეობა-მეხილეობა. განსაკუთრებით განვითარებულია მევენახეობა, მესაქონლეობა, ინტენსიური კულტურები (მეაბრეშუმეობა-მებამბეობა). საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის შეიმჩნევა საკმაოდ მჭიდრო ეკონომიური კავშირ-ურთიერთობა. რომელიც საქართველოს „ერთიან ეკონომიურ ორგანიზმად" აკავშირებს[2].

მოსახლეობის ეკონომიური ღონიერება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაჩაღების პირობაა ყოველთვის. ეჭვი არაა, რომ ფეოდალ-დიდებულები სასაქონლო პროდუქციასაც აწარმოებენ, რომელთა გატანა-გაყიდვა იმ დროისათვის მომრავლებულ ქალაქებში და სოფლის ცენტრებში მოწყობილ ბაზრობებზე მიმდინარეობს. დაწინაურებულია ვაჭრობა-ხელოსნობა. სასაქონლო მიმოქცევის გაადვილებისათვის ცენტრალური ხელისუფლება ეფექტურ ღონისძიებებს იღებს. მიმდინარეობს სავაჭრო გზების კეთილმოწყობა, ხიდების მშენებლობა. „რაოდენნ ჰიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა „აღაშენა", რაოდენი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ჰყენაო"[3] — წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცენტრალური ხელისუფლება საგანგებოდ პატრონობს სავაჭრო გზებს, მის მოვლასა და დაცვას მეკობრეთაგან.

საშინაო ვაჭრობასთან ერთად მაღალ დონეზეა საგარეო ვაჭრობა. საქართველოს სავაჭრო კავშირი აქვს არა მარტო ახლო აღმოსავლეთთან, არამედ, ევროპისა და აზიის უშორეს ქვეყნებთანაც.

---

[1] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნ. 27, 1949 წ. გვ. 61 — 62.

[2] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი კულტურულ-სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის შესახებ. საქ სსრ აკადემია. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, სამეცნიერო სესია. მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი (თეზისები).

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353.

ამის დამადასტურებელია თუნდაც ამ ეპოქის ნუმიზმატური მასალა [1]. საქართველოში სავაჭრო ქარავნებს შემოაქვთ მრავალნაირი საქონელი, რომელსაც აქ, ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ვითარებაში, ხელსაყრელი ბაზარი ელოდება. ვაჭრობას, ცხადია, არა აქვს ცალმხრივი ხასიათი. თავის მხრივ ქართველი ვაჭრები დატვირთული ქარავნებით, შორეულ ბაზრებზე მიემგზავრებიან. „დიდვაჭარ-ფინანსისტები“ საქართველოში სამეფო კარზეც დიდი გავლენით სარგებლობენ.

ვაჭრობა-ხელოსნობის ინტენსიური ხასიათი საქალაქო ცხოვრების აღმავლობას იწვევს. წინაურდება და ხალხმრავალი ხდება საქართველოს მრავალი ქალაქი. ჩნდება ახალი საქალაქო ცენტრებიც. „განსაკუთრებით აღსანიშნავია, წერს პროფ. შ. მესხია, რომ XI ს. მიწურულს და XII ს. დამდეგს ზოგიერთმა ქალაქმა — თბილისმა, დმანისმა — მოიპოვა არა მარტო თვითმმართველობა, არამედ დამოუკიდებლობაც და კომუნის ტიპის მმართველობაც“ [2]. პროფ. შ. მესხიას ამ დროისათვის დასაშვებად მიაჩნია საქართველოში „მესამე წოდების“ არსებობაც. „მესამე წოდების“ წარმომადგენელთა გაძლიერება, აღნიშნავს პროფ. შ. მესხია, მათი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ახლებურ შინაარსს აძლევდა XII საუკუნის საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ მოძრაობას“ [3].

XII საუკუნის საქართველოს დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიური ბაზისის ზედნაშენია მაღალი სულიერი კულტურა, რომელიც გამოკვეთილ ეროვნულ ფორმაში გვევლინება. განსაკუთრებულ განვითარებას ამ ეპოქისათვის ქართული ლიტერატურული ენა აღწევს. ჯერ კიდევ „VIII—X საუკუნეებში — წერს აკად. ს. ჯანაშია. — ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. უკვე IX საუკუნეში როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში. კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთის სამეფოში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა... ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დედაენის დიდი ღირებულებისა და ღირსების შეგნება. X საუკუნის მწერალმა იოანე-ზოსიმემ აღტაცებული შესხმა, ოდა უძღვნა ქართულ ენას — „ქება და დიდება ქარ-

---

[1] თ. ლომოური, ფული რუსთაველის ეპოქაში. „რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები“.

[2] შოთა მესხია, შოთა რუსთაველის ეპოქა, თსუ საიუბილეო კრებული, 1966. გვ. 20—32.

[3] იქვე.

თული ენისა". ამ ჰიმნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს ენათა შორის" [1]. ინტენსიურად მიმდინარეობს ქართული ლიტერატურის აყვავება. VII—IX საუკუნეები, აკად. კ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის „ეროვნული ხანა ჩვენი მწერლობისა" [2]. მომდევნო XI — XII საუკუნეებში ეროვნული ლიტერატურა ახალ მწვერვალებს იპყრობს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, სჯმარისია დავასახელოთ შ. რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსანი", რომელსაც, როგორც აღიარებულია, მსოფლიო პოეზიაში ბადალი არ მოეპოვება. განვითარების მაღალი დონე და გამოკვეთილი ეროვნული ფორმა ახასიათებს ამ ეპოქის ქართულ ხელოვნებას — არქიტექტურას, კედლის მხატვრობას, ოქრომჭედლობას, ქანდაკებას, ხელოსნურ ნაკეთობებს [3].

ეროვნულ-პატრიოტული მოტივი წამყვანია არა მარტო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების, არამედ ქართული ისტორიოგრაფიის ქმნილებებში. ამ დროს ქართულ ისტორიოგრაფიას „საზოგადოებრივი საკითხები ახვევია თავს, რომელსაც თავისი დანიშნულება აქტიურად შეგნებული აქვს, რომელიც ამ საზოგადოებრივი ინტერესების აშკარა ქადაგებით გამოდის. სულერთია თუ როგორი ფორმით და რა სახით იქნება წარმოდგენილი ის ინტერესები, ქრისტიანობისათვის ბრძოლა, ქრისტიანულ-ეროვნული ბრძოლა, არაბთა და სპარსელთა წინააღმდეგ (ევსტათე, იოანე საბანისძე), უთანხმოება მეზობელ სომხებთან—იგივე ეროვნული მომენტი (არსენ კათალიკოსი), სამონასტრო მშენებლობა — ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის (მერჩულე), ბრძოლა ქართული დამოუკიდებელი კულტურის (ქრისტიანულის) დადგინებისათვის (გიორგი მთაწმინდელი და ილარიონის ცხოვრების ავტორი), ქართული სახელმწიფო წყობილების საკითხი (გიორგი ხუცეს-მონაზონი, ლეონტი მროველი, დავითის ისტორიკოსი, თამარის პირველი ისტორიკოსი), — ესაა ის ცოცხალი საზოგადოებრივი საკითხები, აღმავალ ფეოდალურ საზოგადოებას რომ აინტერესებს" [4].

XI—XII საუკუნის საქართველოს სამეურნეო-ეკონომიური და სულიერ-იდეოლოგიური ცხოვრების ამ მოკლე, ზოგადი მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ ფეოდალური საქართველო განვითარე-

---

[1] საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 148—149.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I. თბ., 1960. გვ. 51.

[3] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961. გვ. 151—224.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, გვ. 45—46.

ბის მეტად მაღალ საფეხურზე დგას. ქართული ეროვნული სხეული ზრდადამთავრებულია და მოწინავე საზოგადოებრივი ძალების იდეოლოგიაც ეროვნული თვითშეგნებითაა განმსჭვალული. ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, რაც საქართველოში ჯერ კიდევ სახელმწიფოებრიობის გაჩენიდან დაიწყო, დიდგზაგამოვლილია და იმ ზღურბლთანაა, როცა თვისობრივად ახალ, მაღალ სოციალურ-ეთნიკურ ერთობაში, ე. ი. ერად უნდა გადაიზარდოს. აქ თავს იჩენს ძლიერი ტენდენცია ეროვნული კონსოლიდაციის დასრულებისა, თავს იჩენს განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მთავრდება საქართველოს გაერთიანება, „ყველაფერი მომავალში საქართველოს უფრო მეტ გაძლიერებასა და დაწინაურებას უქადდა“ [1]. საქართველოს საგარეო ვითარება რომ არ შეცვლილიყო და სახელმწიფოს მოთავეობა დავით აღმაშენებლის ნიჭისა და ნებისყოფის ადამიანებს რომ გაეგრძელებინათ, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი საბოლოოდ წარმატებით დამთავრდებოდა.

მაგრამ იყო თუ არა მყარი ქართველთა ტერიტორიული ერთობა, ჰქონდა თუ არა მას ისეთი მკვიდრი საძირკველი, რომ ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების, ან რაიმე საგარეო გართულების ვითარებაშიც მას არსებობის შენარჩუნება შეძლებოდა?

ამ კითხვაზე დადებითად ვერ ვუპასუხებთ.

ქვეყნის ცენტრალიზაციის მიუხედავად, ქართველ ფეოდალ-დიდებულთა შორის განდგომისაკენ სწრაფვა სრულებით არ ჩამკვდარა. დავით IV-ის მიერ პარტიკულარიზმის მოტრფიალე ფეოდალთა ალაგმვის მიუხედავად, ამ ტენდენციამ მაშინვე იჩინა თავი. როდესაც სახელმწიფოს დავითის მტკიცე ხელი მოაკლდა. გავიხსენოთ 1177 წლიდან საქართველოში ატეხილი შინაური შფოთი. განა იგი ხელისუფლების დაპყრობის ტენდენციებთან ერთად ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ქართველ დიდებულ-ფეოდალთა ისევ განკერძოების სულისკვეთებით არ იყო შთაგონებული? ამ აჯანყების პროცესში „ლორს მჯდომი დეშნა-ორბელნი „ღონედ უძლურებისა თჳსისა“ მოიწვევენ შაჰიარმენს და ელდიგუზისძეს (ათაბაგს), ხოლო ჰერეთის ერისთავს მეფის ლაშქრის წინააღმდეგ გამოჰყავს სრული „ლეკი და კავკასი“ [2]. რა მყარ ეროვ-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წიგნი მესამე, 1949, გვ. 318.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II, გვ. 37.

ნულ ერთობაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როცა მეფეს თავისი ძალაუფლების დაცვისათვის, ერთიანი საქართველოს შენარჩუნებისათვის ასევე უცხო ძალა" (ყივჩაყები) ჰყავდა ღონედ უძლურებისა თჳსისა" [1]. გავიხსენოთ თუნდაც თამარის ეპოქა, როდესაც თამარის მიერ გაშვებული და საქართველოში ხელმეორედ მობრუნებული გიორგი რუსის დამხმარედ გამოვიდნენ დიდგვარიანი ქართველი ფეოდალები, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური პრივილეგიების აღდგენისათვის სურდათ თამარის ქმარყოფილი სათამაშო ბურთად გადაექციათ. მათ ხომ ისიც კი მოახერხეს, რომ დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთს ჩამოაცილეს და იქ გიორგი მეფედაც კი გამოაცხადეს. მართალია, თამარის მიერ დამარცხებულმა მეამბოხეებმა პატიება ითხოვეს და მეფის მორჩილება აღუთქვეს, მაგრამ გულწრფელი იყო მათი მორჩილება? ყველა დიდებული მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდიდა, რომ „თავისი" მიწა-წყალი განეცალკევებინა, თავისი პოლიტიკური უფლებები გაეფართოებინა, მეზობლის — ისევ ქართველი დიდებულის მიწა-წყალი მიეტაცებინა და ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ხელისუფალი გამხდარიყო. განუწყვეტელი ქიშპობა და შინაომები ხომ ფეოდალური ფორმაციის ორგანული თვისებაა. ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ვითარებაშიც დიდებულები ყოველთვის ყმადნაფიცობისაკენ მიისწრაფოდნენ და „ამ მიმართულებით წარმატებაც ელოდათ: ქვეყანაში სოციალურად გაბატონებული დიდებულები, ბუნებრივია, არ დაეყოვნებენ და მეფის კარზე პოლიტიკურ გამარჯვებას სათანადოდ გამოიყენებენ, რათა ყმადნაფიცის მდგომარეობას მიაღწიონ (ხოლო აქედან სრულს გახელმწიფებამდე არცთუ შორსაა...). მოკლედ, ქართველი დიდებულები შუაზედ იდგნენ დავითის ერისთავსა (მოხელე-მოსაკარგავე) და ყმადნაფიცს (ვთქვათ, რომელიმე შირვანშაჰი) შორის" [2].

თამარის მეფობა დასრულდა და არ გაუვლია ნახევარ საუკუნესაც კი, რომ ქართველთა ტერიტორიული ერთობა დაიშალა. ქართველმა დიდებულებმა, როგორც კი მონარჩიული ძალაუფლების შესუსტება იგრძნეს, დაინაწევრეს საქართველოს მთლიანი პოლიტიკური სხეული. XIII—XIV საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა ქვეყნის გამაერთიანებელ და დამრღვევ ძალთა ჭიდილი. უპირატესობა დამრღვევმა ძალებმა მოიპოვეს. „ერთგულებასა ზედა თეის-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, გვ. 37.

[2] იქვე, გვ. 42.

თა რჩეულთა მეფეთა“ დადგნენ ფეოდალები და ლიხთ-იმერეთის მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ისევე შემოიფარგლა ლიხთ-იქითით, როგორც ქართლის მეფეთა ან კიდევ კახთ ბატონთა პოლიტიკა სათანადო კუთხეებით“ [1]. ერთიანი საქართველოს ნაცვლად პოლიტიკურად დამოუკიდებელი სამეფო-სათავადოები გაჩნდნენ, რომლებიც პირველობისათვის ჭიშპობაში ქართველობას, ეთნიკური ერთობის შეგნების ცნებას ადვილად ღალატობდნენ და საქართველოს დაუძინებელი მტრების ძალებსაც კი იყენებდნენ მეზობელი ქართული სამთავროების დაპყრობისათვის ბრძოლაში.

ამრიგად, XIII საუკუნიდან ერთიანი საქართველო აღარ არსებობდა. „ქართველთა ტერიტორიული ერთობა დაშლას განიცდიდა“ [2]. მართალია, ამ ძნელბედობის ეპოქაშიც, ერთიანი საქართველოს, ქართველთა ეთნიკური კუთვნილების შეგნების გრძნობა ისევ ცოცხლობდა პროგრესულ მოღვაწეთა შეგნებაში, მაგრამ ასეთ შეგნებას იმ დროს მაინც არ შეეძლო შეეჩერებინა ქვეყნის ეკონომიური დაცემით გამოწვეული დაშლა-დანაწევრების პროცესი.

სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. დ. გურიტიშვილი, რომ მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის „1. ქვეყნის დეცენტრალურმა ძალებმა სძლიეს ცენტრალურს, 2. ქვეყანა დაიშალა სამეფო-სამთავროებად, 3. საკარგავ ინსტიტუტზე საბოლოოდ გაიმარჯვა ფეოდალურმა იმუნიტეტმა, შეუვალობამ. ცენტრალური ხელისუფლება უკიდურესად შესუსტებულია, საქვეყნოდ მომრიგე მოხელეები ახლა უკვე თავიანთ საგანმგებლოს მემკვიდრეებად გადაქცეულან, მათი შეცვლა ცენტრს აღარ შეუძლია“ [3]. XV ს. 60-იან — 80-იანი წლებისათვის კახეთი ცალკე სახელმწიფოდ წარმოიქმნა, ქართლი და იმერეთიც ერთმანეთს საბოლოოდ დაშორდნენ. დამოუკიდებელ სამთავროებად ჩამოყალიბდნენ სამცხე-საათაბაგო, გურია-სამევრელო, აფხაზეთი [4].

რაღა მოუვიდა იმ ეკონომიურ ერთობას, რომელსაც XI—XII საუკუნეებში ზრდისა და განმტკიცების ტენდენცია გააჩნდა?

მონღოლთა ბატონობის პირობებში ფეოდალური საქართველოს სამეურნეო განვითარება ფერხდება, დაეცა სოფლის მეურნეობა და აღებ-მიცემობა. მცირდება და უკაცრიელდება მცხვილი ფეოდა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი II, გვ. 137.

[2] ი. კაკაბაძე, მით. ნაშრომი, გვ. 19.

[3] დავით გურიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV—XVII სს.), II, თბ., 1965, გვ. 136.

[4] იქვე, გვ. 138.

ლური ქალაქები. გარბიან ხელოსნები, მედუქნეები და ბოლოს ქალაქის ბერებიც. სრულიად ქრება მრავალი დაბაქალაქი. ისინი ისევ სოფლდებიან... უდაბურდება დიდი გზა-შარისპირები.

მოსახლეობა ერთიანად გარბის გზისპირა სოფლებიდან... [1]. ეცემა საგარეო ვაჭრობა. იკეტება შორეულ ქვეყნებთან დამაკავშირებელი სავაჭრო გზები. თემურ-ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობანი მძიმე ჭრილობას აყენებენ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრებას. XV საუკუნიდან მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ საქართველო ოსმალურ-ირანული აგრესიის გარემოცვაში ექცევა და მისი ფიზიკური გაჩრობის რეალური საშიშროება დგება. პოლიტიკურად დაქუცმაცებული ქვეყნის ნაწილები იკეტებიან თავიანთ ნაგუშში. სათავადოების აღმოცენებით წყდება ეკონომიური ერთობის ძაფები. მუდმივი თავდასხმები, ფეოდალური შინაომები, მრავალრიცხოვანი საბაჟოები, და რაც მთავარია, მოშლილი სამეურნეო ცხოვრება გამორიცხავს ხელოსნობის, ვაჭრობა-აღებმიცემობის, სასაქონლო-ფულადი მიმოქცევის განვითარებას და ქვეყანას დაღმავლობის გზაზე მიაქანებს. „ფეოდალური განვითარების უდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე მდგარი სახელმწიფოებით გარემოცვას არ შეიძლებოდა არ გაეპირობებინა საქართველოს შემდგომი ეკონომიური დაქვეითება, შედარებით უფრო მაღალი ფეოდალური მეურნეობის გადაგვარება, ქალაქების და ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემა, მწარმოებელი მოსახლეობის კატასტროფიული შემცირება“ [2] — აღნიშნავს პროფ. ვ. გაბაშვილი XV—XVII ს. საქართველოს შესახებ.

რა მოუვიდა ე. წ. „მესამე წოდებას“, რომლის არსებობას XII საუკუნის საქართველოში უთუოს ხდიან ჩვენი მკვლევარები? „მესამე წოდება“ XII ს. საქალაქო ცხოვრების აღმავლობა-განმტკიცების ვითარებაში შესაძლოა იწყებდა ფორმირებას, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სუსტ და მხოლოდ პოტენციურ ძალად ჩანდა, რომელსაც ფეოდალური ძალაუფლებისადმი დაპირისპირების უნარი არ შესწევდა. ცნობილია, რომ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში „მესამე წოდება“ X—XI საუკუნიდან ყალიბდება როგორც სოციალური ერთეული, მაგრამ პოლიტიკურ ასპარეზზე მისი გამოსვლა მხოლოდ ფეოდალური ურთიერთობის ინტენსიური რღვევისა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 58.

[2] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 71.

და კაპიტალიზმის გაძლიერების ეპოქაში ხდება. „მესამე წოდების“ პოლიტიკური მრწამსი განმანათლებლობა და დემოკრატიზმია, და იგი ფეოდალიზმის ბურჯებზე შეტევის წამყვანი ძალაა. XII ს. საქართველოში „მესამე წოდების“ პოლიტიკურ ფიზიონომიაზე ლაპარაკი, ჩვენი აზრით, ნაადრევია. მას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ სუსტსა და ფორმირებადს, აკლდა საამისო ძალა. XIII საუკუნიდან კი საქალაქო ცხოვრების დაქვეითების, ვაჭრობა-აღებმიცემობის დაცემის, ნატურალური კარჩაკეტილობის გაბატონების გამო „მესამე წოდება“ სავსებით გაქრა ასპარეზიდან როგორც სოციალური ძალაც.

ამრიგად, ქართველი ერის ნიშან-პირობები, რომელთაც XII საუკუნეში მყარი საფუძვლები ჯერ კიდევ არ გააჩნდათ, XIII საუკუნიდან კიდევ უფრო დასუსტდა, დაჩიავდა, რითაც ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ხანგრძლივი დროით შეფერხდა. ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცება ცალკეულ სამეფო-სათავადოებად და ირან-ოსმალეთის მტრული გარემოცვა საქართველოსათვის მეტად მძიმე ალმოჩნდა, რამაც ხანგრძლივი დროით შეაფერხა მისი საწარმოო ძალების განვითარება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქვეყნის ცხოვრებაში ყოველგვარი პროგრესული ნაკადი დაიშრიტა და განვითარების ყველა გზა დაიხშო.

ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია უცხოელ დამპყრობთა ბატონობას, იგი ყოველთვის ცდილობდა მტრული რკალის გარღვევას და კულტურულ დასავლეთთან დაკავშირებას. ქვეყნის პროგრესული ძალები, შეამჩნევდნენ თუ არა ხელსაყრელ ვითარებას, მაშინვე სათავეში ჩაუდგებოდნენ ირანულ-თურქული აგრესიის აღკვეთისათვის ბრძოლას და ხშირად წარმატებასაც აღწევდნენ. ქართველი ხალხის ღრმა პატრიოტული შეგნების, მისი გმირობისა და მამაცობის, ყიზილბაშურ-ოსმალური ცხოვრების წესებთან და რელიგიასთან სრული შეურიგებლობის გამოხატულება იყო ის განუწყვეტელი შეუპოვარი ბრძოლები, რომელსაც მთელი XVII—XVIII ს. მანძილზე ეწეოდნენ ქართველები ქვეყნის გამოხსნა-აღდგომისათვის. ამ ბრძოლებში წარმატება ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს ისევ აძლევდა ბიძგს და ერთიანი საქართველოს აღდგენის პერსპექტივებს შლიდა. შემთხვევითი არაა, რომ XVII საუკუნის ქართული იდეოლოგია ეროვნული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და იგი მიმართული იყო მთლიანი და განუყოფელი, თამარისდროინდელი საქართველოს აღდგენისაკენ. ერის ელემენტებისათვის — ენის, ტერიტორიის, ეროვნული კულტურის ერთიანობისათვის ბრძოლა ასულდგმულებდა არჩილის პოეზიას, რომელიც შეუ-

პოვრად იბრძოდა ირან-ოსმალეთის წამლეკავი გავლენის წინააღმდეგ. არჩილის მოღვაწეობამ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ეროვნულ-პატრიოტულ მიმართულებას საზოგადოებრივ აზროვნებასა და პოეზიაში. არჩილი დაუნდობლად ამხელდა ზოგიერთი მეფისა და თავადის უგუნურ პოლიტიკას, რაც ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას და ჩამორჩენილობას უწყობდა ხელს და ორიენტაციას იღებდა გლეხობაზე, რომლის ნორმალურ ცხოვრებას შეეძლო ქვეყნის გადარჩენა („თუ ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“). XVII ს. ეროვნული იდეალები მემკვიდრეობით მიიღო, შეისისხლხორცა და პრაქტიკული საქმიანობის დროშად გაიხადა XVIII ს. პირველი ნახევრის ქართულმა პროგრესულმა ჯგუფმა, რომელსაც ამ შვენებენ სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, ვახუშტი ბაგრატიონის, თეიმურაზ მეორის, დავით გურამიშვილის და სხვ. სახელები.

ამ ჯგუფის დაუცხრომელი მოღვაწეობა („სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენა, ვახუშტი ბაგრატიონის საქმიანობა საისტორიო და გეოგრაფიულ მეცნიერებაში, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა და ლიტერატურული შემოქმედება, ვახტანგ VI-ის დაუცხრომელი იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანელობა მთელი ამ დასისადმი, მის მიერ 1709 წელს პირველი ქართული სტამბის დაარსება და საკანონმდებლო მუშაობა და მრავალი სხვ.) შთაგონებული იყო ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივების, საქართველოს ადრინდელი ერთიანობა-ძლიერების აღდგენის, მისი ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად შეკვრის, ირან-ოსმალური მტრული გარემოცვის გარღვევის (სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა დას. ევროპაში), ძლიერი მოკავშირის გამონახვის (ვახტანგ VI და პეტრე პირველის შეთანხმება 1722 წ.) სულისკვეთებითა და მისწრაფებით.

ამავე იდეებით სულდგმულობდა ქართული ლიტერატურა. დიდ ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს გულს უკლავდა თავისი ქვეყნის დაცემა-აოხრება, სამშობლოს უბედურებას — ქართლის ჰერს ფიზიკური ტკივილით განიცდიდა და თავის შესანიშნავ პოემაში აღწერა საქართველოს ტრაღიკული ისტორიის ამბები, რომ თანამედროვეთა გულებში აღეძრა ქართლის ბედისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, ქვეყნის რეაქციული ძალების დათრგუნვისა და დამპყრობლების წინააღმდეგ ერთსულოვანი ბრძოლის სულისკვეთება.

მეფე-პოეტი თეიმურაზ მეორე, აგრძელებდა რა მეფე-პოეტ არჩილის ტრადიციებს, თავის ნაწერებში გვიხატავდა მშობლიური ერის ცხოვრებას, მის გმირულ ისტორიას, მის ტრადიციებს, მისი ხალხის

პატრიოტიზმს, რომ თანამემამულეთა გულში გაეღვიძებინა ეროვნული გრძნობა და ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილი.

XVIII ს. საქართველოში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის დამამთავრებელი პროცესი გაცხოველდა.

ქართველი ხალხის თავდაცებული ბრძოლის შედეგად უცხოელ დამპყრობთა მოძალება შეჩერებულ იქნა, მშვიდობიანმა ცხოვრებამ ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა დაწინაურდა, საქალაქო ცხოვრებას აღორძინება დაეტყო, აღებ-მიცემობა გაცხოველდა, გაიხსნა წინათ ჩაკეტილი დიდი სავაჭრო გზები. გაჩაღდა სამთამადნო წარმოება, გაჩნდნენ მსხვილი სარეწაო-საწარმოები, ჩაისახა მანუფაქტურული მრეწველობა; ერთი სიტყვით ეკონომიური ერთობის ძალები მოღონიერდნენ. ამასთან, ახალ ვითარებაში უფრო ძლიერად იჩინა თავი ფეოდალურ-ბატონყმურ სამეურნეო-ეკონომიურ სისტემაზე შეტევის ტენდენციამ.

XIII ს. მეორე ნახევარშივე გადაიდგა ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიული ერთობის აღდგენისათვის. ნიჭიერმა მეფემ. ქართული პროგრესული დასის იდეურმა მესვეურმა ერეკლე მეორემ აღმოსავლეთ საქართველო ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად შეჰკრა და უკვე რეალურ ნაბიჯებს დგამდა საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის. დასავლეთ საქართველოში სოლომონ პირველმა შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა გამთიშველ ფეოდალებს და იმერეთის სამეფო პოლიტიკურად აღადგინა. 1790 წელს დიდ ივერიელ მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ხელშეკრულება, საქართველოს სრული გაერთიანების პირველი ნაბიჯი იყო. ერეკლე მეორე დაუცხრომლად ზრუნავდა ქვეყნის რეაქციულ-გამთიშველური ძალების დათრგუნვისათვის, იკრებდა და აქეზებდა საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლ ძალებს, ცდილობდა სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარებას, კავკასიის ქრისტიან ხალხთა ანტიმუსლიმანური კოალიციის შექმნას, მტრული გარემოცვის გარღვევას და რუსეთთან მტკიცე კავშირ-ურთიერთობაში საქართველოს ევროპული ცხოვრების ასპარეზზე გაყვანას ამზადებდა. „ერეკლე მეორეს — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი — კარგად ესმოდა მომენტის მნიშვნელობა, ხედავდა რომ საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ დრო დამდგარიყო და ეს შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწე ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა

იმისათვის, რათა თავისი ქვეყანა დამოუკიდებელი განვითარების პოლიტიკურ სამშვიდობოზე გამოეყვანა“ [1].

XVIII ს. ქართული ეროვნული კულტურა აგრძელებდა თავის ძირითად იდეურ ხაზს და ქვეყნის აღდგენა-გამოხსნის კეთილშობილურ საქმეებს ემსახურებოდა. ამისათვის იღვწოდნენ არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მისი ფარგლებიდან გადახვეწილი მოღვაწენი, კერძოდ, პეტერბურგის ქართული კოლონია. ქართულ იდეურ ცხოვრებას ამ დროს ახასიათებდა აზრთა ჰიდრილი, მიმდინარეობათა დაპირისპირებულობა და ბრძოლა, ევროპის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი იდეები უკვე აქაც პოვებდა გამოძახილს, იფურჩქნებოდა ქართული განმანათლებლობა. ერთი სიტყვით, ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში და იდეოლოგიაში ჩანდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ხრწნა-დაშლის წიაღში ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვისა და ზრდის პირველი ნიშნები.

ყველა ეს პროცესი ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესის გაინტენსიურებას, მისი კონსოლიდაციის დასასრულის მოახლოებას მოასწავებდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, X—XII ს. შემდეგ შეიქმნა ყველაზე ხელსაყრელი ვითარება ქართველი ერის საბოლოო ჩამოყალიბებისა, ერის ყველა კომპონენტის მყარი საფუძვლების შექმნისათვის. რუსეთთან თანაცხოვრება (1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე) ჰქმნიდა საქართველოს მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრებაში ჩართვის პერსპექტივას, მისი პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას. იდეური მოძრაობა ეროვნულობის ნიშნით მიმდინარეობდა და რაც მთავარია, ცხოვრების სიღრმეში გაჩენილი კაპიტალისტური წყობის ნიშნები იწყებდა აღმოცენებას.

მაგრამ XVIII საუკუნის დასასრულმა ერთბაშად დაამსხვრია და გააქარწყლა ეს ძალები და იმედები. საქართველო 1795 წელს სასტიკად ააოხრა აღა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც ცეცხლსა და მახვილს მისცა ყოველივე. გარდაიცვალა ერეკლე მეორე და ქვეყნის ბედი სელში ჩაუვარდა მის უნიჭო და ეგოისტ მემკვიდრეებს, რომლებმაც ერთი ხელის დაკვრით მოშალეს ერეკლეს ყველა სასარგებლო წამოწყება და ტახტისათვის ურთიერთშორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს.

„იშვიათად განუცდია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ასეთი ხანა: თითქოს მთელი მსოფლიო მტრად აუტყდა სუსტ ქვეყანას. სა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 247

გარეო მტრები შინაურ მტრებს, რეაქციონერ თავადებს დაუკავშირდნენ და ამ ძლიერმა კავშირმა ქართველი საზოგადოების მოწინავე ძალები დროებით დაამარცხა“ [1].

1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის შემდგომი მოვლენები საქართველოსათვის არახელსაყრელად წარიმართა. ცარიზმმა ისარგებლა კავკასიაში შექმნილი ვითარებით და აღმოსავლეთ საქართველოში ჯარები შეიყვანა. ქართველ უფლისწულთა ბრძოლა ტრაქტატის მუხლების დაცვისათვის უშედეგო აღმოჩნდა. ცარიზმმა გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, გააბატონა აქ რუსი მოხელეები, ხალხს კისრად დაადო ეროვნული ჩაგვრის უღელი. ცარიზმი ბატონყმური სისტემის უერთგულესი დამცველი გახდა. იგი სიახლეში ახმობდა მასების აღშფოთების ყოველგვარ გამოხატულებას. ამავე დროს, სდევნიდა, აბუჩად იგდებდა ყოველივე ეროვნულს, ქართველური ტრადიციების ამოძირკვას, ერის ასიმილაციას ახორციელებდა. ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი ამიერიდან ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით, მისი კოლონიური პოლიტიკის აღკვეთისათვის დაუცხრომელი ბრძოლით უნდა წარმართულიყო. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველ ხალხს ხელი აეღო რუსეთთან ორიენტაციაზე, რომელმაც პრაქტიკულად გაამართლა მიზან-დასახულება. „ქართველი ხალხის „გამოხსნისა და აღდგომისათვის“ ბრძოლის გზა ამის შემდეგაც რუსეთზე გადიოდა: ყველა სხვა გზა უარესი იყო და უპერსპექტივო. ქართველი ხალხის ბრძოლა ამიერიდან კიდევ უფრო რთულდებოდა, მაგრამ ეს ბრძოლა გამარჯვების იმედიანი იყო: საქართველო თავის „გამოხსნასა“ და „აღდგომას“, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ამ გზით მიაღწევდა“ [2].

ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმება, ქართული ენის სახელმწიფო ცხოვრებიდან გამოდევნა, ქართული ტრადიციების აბუჩად აგდება, ქვეყნის რუსიფიკაციისკენ მისწრაფება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავე ძალთა დევნა-რეპრესიები. — ყველაფერი ეს ცარიზმის ის რეაქციული ღონისძიებანი იყო, რომლებიც უსათუოდ აფერხებდა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პროცესის დასრულებას. ცარიზმი მიისწრაფოდა, რომ საქართველო სიბნელესა და უმეცრებაში ჰყოლოდა. შეეფერხებინა მისი პროგრესულ-დემოკრატიული ძალების საქმიანობა. იგი არ თაკი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 243.
[2] იქვე.

ლობდა არა მარტო ამიერკავკასიელი ხალხების წაკიდება-წასისიანებას, არამედ საკუთრივ ქართველი ხალხის კონსოლიდირების შეფერხებას და ამით ერთიანი ეროვნული ფრონტის შესუსტებას ვარაუდობდა. ცნობილია, რომ XIX ს. 80-იან წლებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი აღმავლობის პერიოდში, ცარიზმმა გააფთრებული იერიშები მიიტანა ქართულ ეროვნულ ენაზე და მისი სწავლებიდან საერთოდ ამოღება მოითხოვა. ვერაგული იყო იანოვსკის განზრახვა, ვითომდა პედაგოგიური მოსაზრებით, სამეგრელოს სკოლებში ქართულის ნაცვლად მეგრული ენის სწავლების შემოღებისა, აფხაზურისა — აფხაზურ სკოლებში, სვანურისა — სვანეთში და სხვ. ეს ღონისძიება ქართველი ერის დანაწევრება-დაჭლისაკენ და მისი კონსოლიდაციის შეფერხებისაკენ იყო მიმართული.

ამრიგად, ცარიზმი ქართველი ერის კონსოლიდაციის შემაფერხებელ როლს ასრულებდა. მისი სუბიექტური მიზანდასახულება ეროვნული კონსოლიდაციის საპირისპიროდ ხორციელდებოდა, მაგრამ სხვა იყო ცარიზმის სუბიექტური მიზანდასახულობა და ის ობიექტური შედეგები, რომელიც რუსი და ქართველი ხალხის თანაცხოვრებას ახლდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურად პროგრესული პროცესები, ამ ორი ხალხის თანაცხოვრების შედეგად რომ აღმოცენდა და თვით ცარიზმის ინტერესების მიღმა და საპირისპიროდ ხორციელდებოდა, ჩრდილავდა და ჯაბნიდა ცარიზმის სუბიექტურ მიზანდასახულობას და აჩქარებდა ქართველების ერად ჩამოყალიბების პროცესს, ამ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის წარმატებით დაგვირგვინებას.

XIX საუკუნეში არა მარტო აღსდგა ქართველი ხალხის ტერიტორიული ერთობა, არამედ მას მყარი საფუძვლები შეექმნა. რუსეთის ცარიზმის ომებმა თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ. რომელიც თავისთავად დაპყრობითი, რეაქციული მიზნებით იყო გაპირობებული, ობიექტურად ქართველი ხალხისათვის დიდი პროგრესული როლი ითამაშა მისი ისტორიული საზღვრების აღდგენის საქმეში. საქართველოს ეროვნულ სხეულს ისევ შეესისხლხორცა თურქი აგრესორების მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთის პროვინციები (ახალქალაქი-ახალციხე, ფოთი, აჭარა-ქობულეთი). ქვეყნის მტკიცე ცენტრალიზაციის ვითარებაში საბოლოოდ გაქრნენ პოლიტიკური განკერძოებულობისაკენ მსწრაფი ძალები. სათავადოების მოშლა-გაქრობა ტერიტორიული ერთობის განმტკიცების მხრივ დიდი პროგრესული ღონისძიება იყო. ირან-ოსმალური აგრესიის საშიშროების აღკვეთა და საქართველოს მტკიცე ცენტრალიზაცია,

რომელსაც ახალ ვითარებაში ეკონომიური აღმავლობაც აპირობებდა, იმის თავდები შეიქნა, რომ საქართველოს ტერიტორიულ ერთობას კონიუნქტურის შეცვლის ვითარებაშიც საფრთხე აღარ მოელოდა.

XIX საუკუნის 30-იან—40-იანი წლებიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცარიზმმა კავკასიის შემომტკიცებისათვის გაჩაღებული ომები წარმატებით დაასრულა, ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო სწრაფი სამეურნეო-ეკონომიური აღმავლობა. ქვეყანა მტკიცედ დაუკავშირდა ერთის მხრივ დასავლეთს (ოციანი წლებიდან შეღავათიანი ტრანზიტი), მეორეს მხრივ რუსეთის ბაზარს. გაჩაღდა ვაჭრობა-აღებმიცემობა, გაცხოველდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, 30-იანი წლებიდანვე აღმოცენდა პირველი სამრეწველო კერები. ამგვარად, საქართველო კაპიტალისტური განვითარების აღმავლობის გზას დაადგა, თანდათან რუსეთის ერთიანი ეროვნული ბაზრის ორბიტში მოექცა. საქართველოს ცალკეული კუთხეები ეკონომიურად მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ბატონყმობის გაუქმებამ კი საბოლოოდ დაამსხვრია ქვეყნის ცალკეული კუთხეების სამეურნეო კარჩაკეტილობა. რკინიგზის გაყვანამ, შეიძლება ითქვას, საქართველო მთლიან ეკონომიურ ორგანიზმად შეკრა. ამრიგად, ქართველი ხალხის ეკონომიური ერთობა, ისე, როგორც ტერიტორიული ერთობა, მკვიდრ საძირკველზე დადგა და მომავალში მოსალოდნელი იყო მისი არა შესუსტება, არამედ განმტკიცება.

XIX საუკუნის 30-იან—40-იან წლებში, სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის გაჩაღების, ხელოსნური წარმოების გაფართოების, პირველი სამრეწველო კერების აღმოცენების ვითარებაში საქართველოში ისევ გაჩნდა „მესამე წოდებაც“, არა მარტო როგორც სოციალური, არამედ როგორც პოლიტიკური ძალა, რომელმაც ქართველი ერის კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კი, როცა კაპიტალისტური წარმოების სწრაფი აღმავლობა დაიწყო, საქართველოში . თანდათან ჩამოყალიბდა მუშათა კლასი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ეროვნული კონსოლიდაციის დამთავრების საქმეში.

XIX საუკუნე ძირძველი ქართული ეროვნული კულტურის აღმავლობით აღინიშნა. ქართული კულტურის ყველა დარგმა, რომელიც XIII—XVII საუკუნეებში ერთგვარად დეგრადაციას განიცდიდა და მხარს ვეღარ უსწორებდა რუსთაველის ბრწყინვალე ეპოქას, XIX საუკუნეში აღმავალი გზით იწყო სვლა. ეროვნული კულტურის ჩახშობისათვის ცარიზმის რეაქციულ ღონისძიებათა მიუხედა-

ვად, ქართული კულტურა ამ დროიდან გამოვიდა არახელსაყრელი გარემოცვიდან, ფართო ასპარეზზე გავიდა, რუსეთის მოწინავე კულტურის საშუალებით დასავლეთის მდიდარ კულტურას ეზიარა. XIX საუკუნემ მოგვცა ქართველ ოცდაათიანელთა და სამოციანელთა ბრწყინვალე თაობები (ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ.), რომლებმაც ქართული ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს. სწორედ სამოც-სამოცდაათიან წლებში ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გაიშალა დიდი მოძრაობა ქართული სალიტერატურო ენის გადემოკრატიულება-სრულყოფისათვის, რაც ქართული ენის ერთიანობის მტკიცე საძირკველი იყო.

60-იანი წლებიდან ინტენსიურად წარიმართა ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერება. თერგდალეულებმა თავიანთ ეროვნულ პროგრამაში წამოაყენეს და სამოღვაწეო დროშას წააწერეს ერის მატერიალური და სულიერი ძალების კონსოლიდაცია, ქართველი მამულიშვილობის კეთილშობილური ცნების აღდგენა და კოლონიური უღლისაგან საქართველოს განთავისუფლება.

„სამოციან წლებში — წერდა ი. ჭავჭავაძე — ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელი თავისი გულთმიმზიდველი და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც კი რაიმე ნიშან-წყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებული მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქოს ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციანი წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი ვითარცა მზემ და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას....

აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა. „ვინა ვართ და რანი ვართ“ ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა, გვერდ ამაუდგა სხვადასხვა მხრიდამ და ერთიანის ძალღონით ფეხზე წამოაყენა გონების თვალის გულ-ღვიძლამდე გასაბნევად“ [1].

ილია ჭავჭავაძეს და მის თანამედროვეებს ერის მატერიალური და სულიერი ძალების კონსოლიდაციისათვის პირველ ყოვლისა, საჭიროდ მიაჩნდათ გარკვევა იმისა, თუ „ვინა ვართ და რანი ვართ“.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, 1953. გვ. 75—76.

ე. ი. ქართველობის, მამულიშვილობის ცნების გარკვევა, ხალხში ეამთა სიავის ვითარებაში მიძინებული პატრიოტული სულის გაღვიძება, ერის მთლიანობისათვის მებრძოლი ძალების დარაზმვა. „სამწუხარო გათიშულობის“ მოსპობა, ერთი აზრითა და მისწრაფებით ყველა კუთხის და ყველა წოდების გაერთიანება. ამ დიდ საქმეს უქვემდებარდებოდა თერგდალეულთა ბრძოლა ქართული ენის გახალხურებისათვის, ქართული ბეჭდვითი სიტყვისა და თეატრისათვის, ქართული მუსიკის განვითარებისათვის. ამ მოტივებით იყო განმსჭვალული მათი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწერები. პატრიოტიზმის გაღვიძების გრძნობით იყო ნაკარნახევი ქართული ისტორიული ცხოვრებით დაინტერესება, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის საქართველოს იდეალად გამოცხადება, ეროვნული გმირების დამსახურებათა პროპაგანდა, რაც ასე დამახასიათებელია ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის, ალ. ყაზბეგის და სხვათა შემოქმედებისათვის.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთ შესანიშნავად ესმოდათ ენის მნიშვნელობა. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველი ნიშანი ერის ვინაობისა არის ენა. ამიტომ მთავარი მიზანი იყო ენის გადემოკრატიულება.

ერების კონსოლიდაციის პროცესის დამამთავრებელი ეტაპი ყველა ქვეყანაში და ჩვენშიც დემოკრატიზმის ლოზუნგით, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციის ლოზუნგით მიმდინარეობდა. მრავალ ქვეყანაში დემოკრატიის ძალებმა ეროვნული სახელმწიფოების შექმნის შემდეგ, მართალია ვერ მოახერხეს ძალაუფლების მოპოვება, მაგრამ დემოკრატია, ხელისუფლების სახელმწიფოებრივი ფორმის მიუხედავად, ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო ეროვნულ მოძრაობაში. დემოკრატიის პოლიტიკური მოძრაობა კი მხოლოდ აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო. ასე იყო ჩვენშიაც. საქართველოში, როგორც აგრარულ ქვეყანაში, დემოკრატიის ამ ძალებს გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და ფორმირების პროცესში მყოფი მუშათა კლასი ქმნიდა, რომელიც თავის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ წარმართავდა. 60-იანი წლების ქართული ინტელიგენცია ძირითადად ამ დემოკრატიული მოძრაობის მესიტყვედ გამოდიოდა. ამ მოძრაობას ქართველი ერის ჩამოყალიბების დამამთავრებელ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამრიგად, ქართველი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დასრულდა.

ქართველი ხალხი დადგა მტკიცე სოციალ-ეთნიკური ერთობის იმ მაღალ საფეხურზე, რომელსაც მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით ერი ეწოდება. დაახლოებით ასეთივე ვითარებაში მოხდა ერების ჩამოყალიბება რუსეთის იმპერიის კოლონიურ განაპირა ქვეყნებში — უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში.

ერი არაა მის შემადგენელ ნიშანთა მექანიკური ნაერთი. იგი არც ამ ნიშანთა ევოლუციური განვითარების შედეგად წარმოიქმნება. ერის ცალკეული ნიშნები, როგორც აღვნიშნეთ, საუკუნეთა მანძილზე არსებობდა როგორც პოტენცია და ქვეყნის ხელსაყრელ სა-შინაო და საგარეო ვითარებაში ამ ნიშანთა განვითარება ახალ თვისობრიობაში გადაკვლის ძლიერ ტენდენციას ამეღავნებდა. მაგრამ ეს მხოლოდ XIX საუკუნეში, უფრო კონკრეტულად მის მეორე ნახევარში გახდა შესაძლებელი და პირველი პირობა ამ შესაძლებლობისა, ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება გახდა. ახალ ვითარებაში ერის ყველა იმ ნიშნებმა, რომლებიც მაშინ პოტენციის სახით არსებობდა, ახალი თვისობრიობა შეიძინა. ამრიგად. ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება მის სოციალ-ეთნიკურ განვითარებაში რევოლუციური ნახტომი იყო.

მაგრამ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის პირობებში ქართველ ხალხს არ შეეძლო ჰქონოდა და არც ჰქონია მისი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა მხარის გამოვლინებისა და განვითარების სრული შესაძლებლობა. იგი კოლონიური, ეროვნულად დაჩაგრული ქვეყანა იყო, რაც გარკვეულ დალს ასვამდა მის ეროვნულ სახეს. ეს მდგომარეობა განასხვავებდა ქართველ ერს (და რუსეთის ან ავსტრიის მრავალეროვანი იმპერიის ფარგლებში ფორმირებულ ყველა ერს) ეროვნული სუვერენობის ვითარებაში ჩამოყალიბებული ერებისაგან. კოლონიურ ერებს ფორმირების პროცესში აკლდათ ეროვნული სახელმწიფოს ნიშანი. სამაგიეროდ ყველა ამ ქვეყნის ცხოვრების ძირითადი დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეს მოძრაობა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისაკენ იყო მიმართული. ცალკეული ერების რთულ. ცვალებად, სპეციფიკურ ცხოვრებაზე დაკვირვებამ მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ყველა ნიშანი ერისა ყველა ეტაპზე თანაბარი ძალით წარმოდგენილი არ არის. ცალკეულ ერს. გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში, მისი ცხოვრების სპეციფიკურობის გამო, შეიძლება ესა თუ ის ნიშანი აკლდეს, მაგრამ იგი როგორც ერი არ წყვეტს არსებობას. ერის ზრდის გარდამტეხ მომენტში წინა პლანზე წამოიწევს ხან ერთი, ხან მეორე ნიშანი. ასევე შეიძლება ვთქვათ ეროვნული სახელმწიფოს შესახებაც, რომელიც

ერებად ჩაბოყალიბების პროცესში აკლდა მრავალ ქვეყანას, რომელიც მრავალეროვან ცენტრალიზებულ იმპერიათა შემადგენლობაში იმყოფებოდა. „ეროვნული სახელმწიფო არის კაპიტალიზმის წესი და „ნორმა“, ეროვნულად აჩრელებული სახელმწიფო კი ჩაბორჩენილობა ან გამონაკლისი“ [1]. ვ. ი. ლენინის ეს მითითება იძლევა რუსეთის ან ავსტრიის მრავალეროვან ქვეყნებში ერების ფორმირების სპეციფიკის ახსნის საშუალებას.

ამრიგად, ეროვნული სახელმწიფოს მოპოვებისათვის გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გარკვეულ მოხაზვეთში იყო ის სპეციფიკური ნიშან-თვისება ქართველი ერისა, რომელიც აქ ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ნიშნის, შემცველ და თანაბარ როლს ასრულებდა. ამ ბრძოლის პირველი შედეგი იყო ერის სწრაფი სულიერი გამოღვიძება და დარაზმულობა, მისი თვითშეგნების ამაღლება და კონსოლიდირება. ამას საბოლოოდ კოლონიური ჩაგვრის ლიკვიდაცია და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა უნდა მოეტანა.

XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი გამოუვალი კრიზისის წინაშე იდგა და რევოლუციურ-დემოკრატიულ ბანაკს მძლავრი იერიშები მიჰქონდა თვითმპყრობელობის ბურჯებზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღებული იყო მთელ იმპერიაში. ამ დროს რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ილია მოხევის პირით გამოთქვამდა ქართველი ხალხის გულისნადებს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“. ეს 60—70-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ლოზუნგი იყო. ეს სრულიადაც არ იყო სეპარატიზმი იმ გაგებით, როგორადაც შემდეგ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებმა გაიაზრეს. ეს იყო თვითმპყრობელობის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების იდეა, თვითმპყრობელობისა, რომელიც არარუს ხალხებთან ერთად რუს ხალხსაც ჩაგრავდა, ბატონყმობას ებღაუჭებოდა, ყოველგვარ პროგრესს ებრძოდა და ასამარებდა. ეს მისწრაფება სავსებით ესიტყვებოდა რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობას, აფართოებდა მის მასშტაბებს.

ეს ლოზუნგი არ იყო ახალი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპზე, — 30-იანი წლების დასაწყისში ამ ლოზუნგის ქვეშ მომწიფდა რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 488.

პირველი გამოსვლა. მაგრამ პირველ ეტაპზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იდეა სოციალური კონსერვატიზმით იყო შებოჭილი. აზნაურ სეპარატისტებს ბატონყმური ურთიერთობის ხელშეუხებლად სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მათი მარცხის შემაპირობებელი სწორედ ეს კლასობრივი შეზღუდულობა იყო.

60-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა. რევოლუციური სიტუაციის მომწიფება რუსეთში, პოლონეთის მძლავრი გამოსვლა, განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა მთელ ევროპაში, ცარიზმზე პირველი საყოველთაო იერიშების მომზადების მომასწავებელი იყო. ახალ პირობებში ლოზუნგმა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ახალი სოციალური შინაარსი შეიძინა, მან დაამსხვრია მემამულურ-ბატონყმური ნაჯუჯი და ფართო სახალხო სარბიელზე გამოვიდა. ახალ ვითარებაში ეს ლოზუნგი ნიშნავდა დემოკრატიული რუსეთის მფლობელობაში ხალხების ეროვნულ სრულუფლებიანობას, მის შინაგან დამოუკიდებლობას, ყოველივე ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან, ან როგორც თერგდალეულნი იტყოდნენ, ახალ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობასა და თანამეგობრობაში. ქართველი ხალხის შეუპოვარი ბრძოლის მიუხედავად, XIX საუკუნეში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-მოპოვება ვერ მოხერხდა. იმპერიალიზმის ეპოქაში მებრძოლ ხალხთა განლაგება შეიცვალა. ასპარეზზე პროლეტარიატი გამოვიდა, რომელმაც ხელში აიტაცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა და ცარიზმისა და კაპიტალიზმის გაერთიანებული პროლეტარული ძალებით დამსხვრევა პირველი რიგის ამოცანად და ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მთავარ პირობად გამოცხადდა. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა წარმატებით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ დააგვირგვინა, რომელმაც რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ერებს მოუპოვა სოციალური და ეროვნული განთავისუფლება.

აი, ის ნიშან-პირობები (ცხადია, ზოგადი დახასიათებით), რომლებიც ერთად აღებულნი, ქართველი ერის ჩამოყალიბებას აპირობებდა. ეს ნიშან-პირობები, როგორც ვნახეთ, უსაძირკვლო და სუსტნი იყვნენ ფეოდალურ ეპოქაში, თვით მაღალგანვითარებულ XII საუკუნეშიც კი, ამ ნიშან-პირობებს მყარი საფუძველი კაპიტალიზმის ეპოქამ შეუქმნა და ბუნებრივია, ეს ეპოქა უნდა ჩაითვალოს ქართველი ერის ჩამოყალიბების დასასრულად.

დასასრულ, მოკლედ ტერმინების „ერისა“ და „ნაციის“ შესახებ. პროფ. ი. კაჭარავა აღნიშნავს, რომ პროფ. ს. ჯანაშია „ნაციის“ ცნებას იყენებდა „ბურჟუაზიული ერის“ აღსანიშნავად, ხოლო „ერის“ ცნებას უფრო ხნიერი საზოგადოებრივი ორგანიზმის აღსანიშნავად [1].

ადამიანთა საზოგადოების ისტორია იცნობს ეთნიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურებს. ესაა: გვარი, ტომი, ეროვნება, ერი. გვარი ადამიანთა საზოგადოების პირველი საზოგადოებრივი ორგანიზმია, პირველი ეთნიკურ-სოციალური ერთობაა. საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე სისხლით მონათესავე გვარების შეერთებით თანდათან ყალიბდება ტომობრივი ერთობა. საზოგადოების შემდგომი განვითარების, კერძოდ კლასობრივი საზოგადოების, სახელმწიფოს გაჩენის შედეგად ხდება ცალკეული ტომების გაერთიანება-შერწყმა ერთ ხალხად. ასე წარმოიქმნება ეროვნება, როგორც ტომობრივ ერთობასთან შედარებით მაღალი ეთნიკური საფეხური.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, კერძოდ კაპიტალიზმის ფორმირების ეპოქაში ეროვნებანი ყალიბდებიან ერებად, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ადამიანთა სოციალ-ეთნიკური ერთობის უმაღლესი ფორმაა. ყველა ამ ისტორიულ-ეთნიკურ ერთობას თავისი ნიშან-თვისება გააჩნია. გარეგნულად ეს ნიშნები ყველა საფეხურისათვის ერთიდაიგივეა, მაგრამ მათში თვისობრივი განსხვავებაა და ხალხის ერთი სოციალ-ეთნიკური საფეხურიდან მეორეში გადასვლა თავისებური რევოლუციური ნახტომია.

ერის, როგორც ადამიანთა სოციალურ-ეთნიკური ერთობის უმაღლესი საფეხურის ნიშნები — „ენა, ტერიტორია, კულტურული ერთობა და სხვ. — ციდან კი არ ჩამოცვენილან, არამედ იქმნებოდნენ თანდათანობით, ჯერ კიდევ წინაკაპიტალისტურ პერიოდში“ [2]. მაგრამ ყველა ამ ნიშანთა ერთობა მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში იძლევა ხალხის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში იმ თვისობრივად მაღალ საფეხურს, რომელსაც ერი ეწოდება. რადგანაც გვარი, ტომი, ეროვნება, ერი ხალხის ეთნიკური განვითარების სხვადასხვა

---

[1] ი. კაჭარავა, მით. ნაშრომი, გვ. 8.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 372.

საფეხურია, ცნება „ხალხის“ ხმარება, რა თქმა უნდა, ყველა ამ საფეხურისათვისაა შესაძლებელი. მაგრამ მეცნიერული გაგებით ხალხი სხვაა. იგი უფრო ფართო ცნებაა და ეთნიკური საფეხურების ჩარჩოებში ვერ მოთავსდება.

„ნაცია“, რომელსაც ი. კაჭარავა „ბურჟუაზიული ერის“ ცნების სანაცვლოდ გვთავაზობს, როგორც ცნობილია, ლათინური წარმოშობის ტერმინია (natio—ტომი, ხალხი,) რომლის თანამედროვე მეცნიერული შინაარსი ადამიანთა საზოგადოების ეთნიკური განვითარების უმაღლეს საფეხურს (ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრების, კულტურის და სხვ. ნიშნების მყარ ერთობას) გულისხმობს. „ნაციის“ შესატყვისად ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში დიდიხანია დამკვიდრდა და უფლებამოსილია „ერი“, რომელიც, მართალია, ზოგჯერ „ხალხის“ მნიშვნელობითაც იხმარება, მაგრამ მეცნიერული გაგებით ისევე, როგორც „ნაცია“ ადამიანთა საზოგადოების ეთნიკური განვითარების უმაღლეს საფეხურს ასახავს.

ერის ცნება ჩვენში ხშირად ქართველობის ცნებასთანაა დაკავშირებული. ვამბობთ მაგალითად, ქართველი ერის ისტორიას და ვგულისხმობთ არა ერად ჩამოყალიბებული ქართველების (რაც XIX ს. შემდგომი ხანაა) ისტორიას, არამედ ისტორიას ჩვენი ხალხისა, უძველესი პერიოდიდან დღემდე. აქ, როგორც ვხედავთ, ერი და ხალხი იდენტურ ცნებებად გვევლინება. რუსი მაგალითად, როცა ამბობს „История Русского Народа“—რუსი ხალხის მთელ ისტორიულ ცხოვრებას გულისხმობს. ერის, როგორც სოციალ-ეთნიკური ერთობის გამომსახველად რუსულში „ნაციაა“ დაკანონებული. როდესაც რუსი ამობს — „История Русской нации“ — ცხადია, აქ გულისხმობს არა საერთოდ რუსი ხალხის, არამედ რუსი ე რ ი ს ჩამოყალიბებას, მის ისტორიას.

ქართველობის და ერის ცნების ეს იდენტურობა მართლაც იწვევს ერთგვარ აღრევას ტერმინებში. ამგვარად, ეთნიკური ცნებების გამომხატველ ტერმინებს დაზუსტება-დადგენა ესაჭიროება. მაგრამ შინაარსი ამით ხომ არ იცვლება!

თუ ჩვენ ერის, როგორც ცნების, მარქსისტულ-ლენინური გაგებას ვეყრდნობით და ვაღიარებთ იმას, რომ ერი მხოლოდ კაპიტალიზმის პროდუქტია, მაშინ „ფეოდალური ერის“ ცნება უნდა მოიხსნას, მისთვის განსხვავებული ტერმინის ძებნაც აღარაა საჭირო. რომელი ჯობს — ქართული წარმომავლობის ტერმინი „ერი“ თუ უცხოური წარმომავლობის სიტყვა „ნაცია“ იმ ცნების გამოსახატავად, რასაც ჩვენ ადამიანთა საზოგადოების უმაღლესი ეთნიკური ეტაპის

გაგებას ვუყენებთ, ამის გადაწყვეტა ენათმეცნიერებს მივანდოთ. აქვე შევნიშნავთ, რომ „ერის“, „ეროვნების“ და „ნაციის“ სხვადასხვაგვარ გაგებაზე ქართულ სოციოლოგიურ ლიტერატურაში ადრეც იყო დავა*, მაგრამ თვით ცხოვრებამ „ნაციის“ ნაცვლად „ერი“ დაამკვიდრა.

---

* ნ. ჯორდანია 900-იან წლებში ეროვნულ საკითხებზე ა. ჯორჯაძესთან კამათის დროს ერისა და ეროვნების ცნებასაც ეხებოდა და ასეთ განმარტებას იძლეოდა: „ეროვნება და ერი ერთი და იგივე მცნების გამოხატულება არ არის. პირველი ეხება უფრო შეგნებას, პსიხიურ მოვლენას. მეორე კი რასიულს, ობიექტურს. ხალხი ერთ ენაზე მოლაპარაკე. ერთ ტერიტორიაზე მოსახლე. ერთნაირი ზნე-ჩვეულებით, კულტურით და სხვ. წარმოადგენს ერთ ერს ანუ ერთ გვარტომობას. ის სხვადასხვა ისტორიულ ხანაში სხვადასხვა სახეს ღებულობს. მარა მისი ძირითადი თვისება. როგორც მაგ. ენა, უცვლელი რჩება. მაგ. ერი ფეოდალურ ხანაში დიდად განირჩევა კაპიტალისტური ერისაგან... ეროვნება ეწოდება ამ ერის ისეთ მდგომარეობას, როცა ის გრძნობს თავისთავს როგორც ერთ მთელს, ერთი ჭირით და ლხინით გარემოცულს, ერთი მიზნისათვის ამოძრავებულს“ (იხ. ნ. ჯორდანია, ეროვნული კითხვა. თბილისი. 1922. გვ. 84). როგორც ვხედავთ, ნ. ჯორდანია ერის ცნებაში დებს „გვაროვნულ-ტომობრივ ერთობას“ და მიაჩნია, რომ იგი არსებობს ფეოდალიზმის პერიოდშიც. ეროვნულობა კი მისი აზრით კაპიტალიზმის დროიდან ჩნდება, როცა ერი „ერთნაირის გრძნობით“ იმსჭვალება. ამგვარად, ნ. ჯორდანია ერის არსებობას აღიარებს ფეოდალურ ეპოქაში. მაგრამ ერის მისეულ გაგებას არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან. ა. ჯორჯაძე ერის ცნების ნაცვლად ხმარობს ეროვნებას, ამასთან აღიარებს მის არსებობას უველა კლასობრივ საზოგადოებაში იმ დროიდან, როცა სახელმწიფო ჩნდება. „ეროვნება ისახება და ჩნდება სწორედ იმ ხანაში. როცა საზოგადოება საგვარეულო წესს თავს აღწევს და როდესაც მყარდება და მკვიდრდება სახელმწიფო“ (ა. ჯორჯაძე. თხზ., ტ. I, თბ., 1911, გვ. 2) ამასთან ნ. ჯორდანიაც და ა. ჯორჯაძეც ეროვნების ნაცვლად ნაციას, როგორც მის იდენტურ ცნებას, ხშირად ხმარობენ.

ადრე „ნაცია“, „ნაციონალ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, „ნაციონალური საკითხი“ ხშირად იხმარებოდა. მაგრამ თანდათანობით იგივე შინაარსის გამოსახატავად დადგინდა „ერი“. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, „ეროვნული საკითხი“. „ნაცია — ლათ. Natio ჩვენთან შემოვიდა რუსული ენის მეშვეობით და იგივეა. რაც ერი“ — ნათქვამია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (იხ. ტ. V. გვ. 1419). ტერმინოლოგიის დახვეწა-დაზუსტება შორავლის საქმეა, მაგრამ ცნების შინაარსი იგივე რჩება.

XIX ს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაობისა და პერიოდიზაციის საკითხისათვის

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა საქართველომ დაჰკარგა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და რუსეთის თვითმპყრობელური იმპერიის შემადგენლობაში მოექცა როგორც კოლონია, ეროვნული საკითხი მისი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად და წამყვან საკითხად გადაიქცა. 1801 წლიდან 1921 წლამდე — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქართველოს ისტორიაში ძნელია მოინახოს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოძრაობა, სახალხო მასობრივი იქნება იგი თუ იდეური, გამოიყოს რომელიმე დასი და მიმართულება, რომ მასში ეროვნული საკითხი სოციალურთან ერთად წინა პლანზე არ იყოს წამოწეული. განათლებული ქართველის გონება მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოველთვის დასტრიალებდა მისი ერის ფიზიკური ვინაობის შენარჩუნების, ბედუკუღმართობით შევიწროებული ისტორიული საზღვრების აღდგენას, ერის სულიერი გამოღვიძება-აღორძინების, მისი დარაზმვისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლების კეთილშობილურ საქმეს.

მაგრამ ეროვნული საკითხი ქართველ მოღვაწეთა წინაშე, ცხადია, არ იდგა როგორც თავისთავადი, თვითკმარი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული და შემდეგ უცვლელ მდგომარეობაში მყოფი დოქტრინა. საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან ერთად ისიც ცვლილებას განიცდიდა და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვაგვარი შინაარსითა და ფორმით იყო წარმოდგენილი. თითოეული საზოგადოებრივი კლასი ეროვნულ საკითხს თავისი კლასობრივი საზომით ზომავდა და თავისი ინტერესების სასარგებლოდ ჭრიდა. ამიტომ იყო, რომ რევოლუციამდელ საქართველოში ერთმანეთის მონა-

ცვლელობით და ერთმანეთის გვერდით მუდამ არსებობდა თავად-აზნაურობის ეროვნული საკითხი, ბურჟუაზიის ეროვნული საკითხი, პროლეტარიატის ეროვნული საკითხი. არც ისაა შემთხვევითი, რომ სხვადასხვა დროს ზოგიერთი მიმართულების დროშაზე პირველ პლანზე ეროვნული საკითხი იყო და სოციალური მას ექვემდებარებოდა, ზოგიერთი მიმართულება კი მას მეორე პლანზე აყენებდა. ცხადია ეროვნული საკითხისადმი თითოეული ამ მიმართულების მიდგომა კლასობრივი ინტერესებით იყო შეპირობებული.

ქართველი ერის ცხოვრებაში ეროვნული საკითხის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასეთი განმსაზღვრელი მნიშვნელობის მიუხედავად, სამწუხაროდ, ქართული ისტორიოგრაფია ღარიბად გამოიყურება სწორედ ამ პრობლემის გაშუქების თვალსაზრისით. აქამდე არ დაწერილა მონოგრაფიული გამოკვლევა ეროვნულ საკითხსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპებზე, სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა არც ქართული ფეოდალური ნაციონალიზმის, არც ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, არც პროლეტარიატის ნაციონალური საკითხის აღმოცენების კლასობრივი შინაარსის, განმსაზღვრელ ეტაპზე მათი დადებითი თუ უარყოფითი როლის, მათ მიერ საზოგადოებრივ მოძრაობაზე დაჩნეული კვალის მეტად რთული საკითხები. მკვლევარები, რომლებიც XIX—XX ს. რევოლუციამდელ საქართველოს ისტორიაზე მუშაობენ, გაკვრით ეხებიან ამ საკითხებს, და უპირატესად გვაწვდიან დებულებებს, რომლებიც სათანადო ფაქტობრივი მასალითა და თეორიული ანალიზით არაა გამაგრებული. ნაწილობრივ ამით აიხსნება ეროვნულ საკითხზე შეხედულებათა ნაირფერობაც.

ჩვენი ნარკვევის მიზანია გააშუქოს ეროვნული საკითხის დაყენება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართულება XIX საუკუნის საქართველოში. საქართველოს ისტორიის ამ ეპოქის სპეციალისტებისათვის ადვილი გასაგებია, თუ რა რთულ სიტუაციასთან, ზღვა მასალასთან და ერთმანეთის საპირისპირო შეხედულებებთან აქვს საქმე მკვლევარს ამ შემთხვევაში. მაგრამ პრობლემასთან დაკავშირებით დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, ყველა მოვლენის ახსნა-გაანალიზება ერთ ნაშრომში შეუძლებელია. ჩვენ ამ შემთხვევაში თავს ვიკავებთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის გაბმული თხრობისაგან, ყურადღებას ვამახვილებთ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ მოძრაობებში ეროვნული პროფილის განსაზღვრა-შეფასებაზე. მივყვებით იმ მაგისტრალურ ხაზს, რომლითაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიდიოდა და ვცდილობთ დავადგინოთ ამ გზაზე

მნიშვნელოვანი მოსახვევების, არსებითი ცვლილებების ცალკეული პერიოდები.

რა არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთოდ და როგორია მისი განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში?

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, იმ ერის მოძრაობაა, რომელიც ეროვნულ თავისუფლებას მოკლებულია და მისი მოპოვებისათვის იბრძვის. ამ მოძრაობას გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებანი, რაც მას სხვა ხასიათის მოძრაობათაგან განასხვავებს.

როგორც ცნობილია, კოლონიური ჩაგვრა კლასობრივი საზოგადოების გაჩენიდან, ხალხების სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების დროიდან იწყება. კოლონიების მფლობელი ქვეყნები იყვნენ თავის დროს ფინიკია და ეგვიპტე, ანტიკური საბერძნეთი და რომი. მათ მიერ დაპყრობილი ხალხები შეუპოვარ განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდნენ, მაგრამ ეს ბრძოლა თავისი ხასიათით არ ყოფილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი. ქართველი ხალხი თავისი ვრცელი და მღელვარე ისტორიული ცხოვრების მანძილზე თავგამოდებით და მამაცურად ებრძოდა რომაელ, არაბ, თურქ-სელჯუკ, მონღოლ, ირანელ და თურქ დამპყრობლებს, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოს თავს ესხმოდნენ და ზოგჯერ იპყრობდნენ კიდეც. მაგრამ ეს ბრძოლა არ ყოფილა ეროვნულ-განმათავისუფლებელი. რუსი ხალხი მედგარ ბრძოლას ეწეოდა ყივჩაყების, გერმანელი კოლონიზატორების, მონღოლების, პოლონელი და შვედი დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ არც ამ ბრძოლებს ჰქონია მაშინ ეროვნულ-განმათავისუფლებელი შინაარსი. ბალკანეთის ხალხები საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ თურქ დამპყრობლებს, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათი ამ ბრძოლამ მხოლოდ XIX საუკუნეში, ბერძენი და სლავი ხალხების განვითარების გარკვეულ ეტაპზე მიიღო.

დამპყრობთა წინააღმდეგ დაპყრობილი ხალხების ყველა ზემოთჩამოთვლილი ბრძოლები, რომლებიც კაპიტალიზმამდელ ეპოქებში მიმდინარეობდა, სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლები იყო. ამ ბრძოლების ძირითად მიზანდასახულებას დამპყრობთა განდევნა და საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების სუვერენულ უფლებებში აღდგენა შეადგენდა. ამ მოძრაობებს არ ჰქონიათ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდაქმნის დანიშნულება. უცხოელი დამპყრობლის განდევნისა და ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ ცხოვრება მიდიოდა ჩვეულებრივი გზით, გაბა-

ტონებული კლასი თავის სოციალურ პრივილეგიებს კვლავ ინარჩუნებდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხების ერებად კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის დამამთავრებელ ეტაპზე წარმოიშვა. ეს იყო ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლპობისა და რღვევის. მის წიაღში შობილი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების პერიოდი. ევროპის ხალხთა ცხოვრებაში ეს პროცესი, როგორც ცნობილია, XVII საუკუნეში დაიწყო და XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე გაძლიერდა. ფეოდალიზმის დამხობისა და კაპიტალისტური ურთიერთობის გაბატონების ეპოქამ წარმოშვა ის დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი, რომელიც ევროპის მაშინდელმა დაპყრობილმა ხალხებმა — გერმანელებმა, იტალიელებმა, ირლანდიელებმა, პოლონელებმა და სხვ. გააჩაღეს.

ვ. ი. ლენინი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კაპიტალისტური ეპოქისდროინდელ მოვლენად მიიჩნევდა, მას ბურჟუაზიის მოღონიერებას, საზოგადოებრივ ასპარეზზე დამოუკიდებელ კლასად გამოსვლას, მის პრეტენზიებს უკავშირებდა. „დასავლეთ, კონტინენტალურ ევროპაში, — წერს ვ. ი. ლენინი — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების ეპოქა მოიცავს საკმაოდ განსაზღვრულ ხანას, დაახლოებით 1789 წლიდან 1871 წლამდე. სწორედ ეს ეპოქა იყო ეროვნულ მოძრაობათა და ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის ეპოქა. ამ ეპოქის დასრულების შემდეგ დასავლეთ ევროპა გადაიქცა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა, ამასთან, როგორც საერთო წესი, ეროვნულად ერთიან სახელმწიფოთა ჩამოყალიბებულ სისტემად“ [1]. ვ. ი. ლენინი არა მარტო უკავშირებს ეროვნულ მოძრაობებს კაპიტალიზმის ეპოქას, არამედ ამ მოძრაობის ეკონომიური საფუძვლის ახსნასაც იძლევა. „მთელ მსოფლიოში ეპოქა კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვებისა ფეოდალიზმზე ეროვნულ მოძრაობებთან იყო დაკავშირებული. ამ მოძრაობათა ეკონომიური საფუძველი ის არის, რომ სასაქონლო წარმოების სავსებით გასამარჯვებლად საჭიროა საშინაო ბაზრის დაპყრობა ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებულ ტერიტორიათა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ისე რომ ამასთან ამ ენის განვითარებას და ლიტერატურაში მის განმტკიცებას არავითარი დაბრკოლება აღარ გადაეღობოს“ [2]. კაპიტალიზმის ეპოქაში ხალხთა ეროვ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 495.

[2] იქვე, გვ. 483.

ნული კონსოლიდაციის გაინტენსივება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივება, არა მარტო დასავლეთში, არამედ აღმოსავლეთშიც მოხდა. „... კაპიტალიზმმა, გააღვიძა რა აზია, იქაც ყველგან ეროვნული მოძრაობანი გამოიწვია“ — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ტენდენცია ყველა ქვეყანაში ეროვნული სახელმწიფოების შექმნა-ჩამოყალიბება იყო. სწორედ კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში ჩამოყალიბდა ეროვნულ სახელმწიფოებად ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და სხვ. ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ძირითადი მისწრაფება იყო იტალიელი და გერმანელი ერებისა, როცა პირველი თავგამოდებით იბრძოდა ნაპოლეონ პირველის, მეორე კი ავსტრია-უნგრეთის უღლისაგან განთავისუფლებისათვის. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლები იტალიასა და გერმანიაში წარმატებით დაგვირგვინდა XIX ს. 60-იანი წლების მიწურულში. ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ტენდენცია განსაზღვრავდა რუსეთის და ავსტრიის მრავალეროვან სახელმწიფოებში გაერთიანებული, კოლონიურ მდგომარეობაში მყოფი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას (პოლონეთი, უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასია), ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის ნიშნით მიმდინარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართული ერთის მხრივ თურქეთის, მეორეს მხრივ ავსტრია-უნგრეთის ძალადობის წინააღმდეგ. ეკამათებოდა რა რ. ლუქსემბურგს ეროვნულ სახელმწიფოთა მნიშვნელობის შეფასებაში, ვ. ი. ლენინი ასკვნიდა: „მაშასადამე, მთელი მოწინავე ცივილიზებული კაცობრიობის მაგალითიც, ბალკანეთის მაგალითიც, აზიის მაგალითიც... ამტკიცებს: ეროვნული სახელმწიფო არის კაპიტალიზმის წესი და „ნორმა“, ეროვნულად აჩრელებული სახელმწიფო კი ჩამორჩენილობა ან გაგამონაკლისია. ეროვნულ ურთიერთობათა თვალსაზრისით კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს, უეჭველია, ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“ [1].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მის პირველ ეტაპზე ბურჟუაზიული მოძრაობაა. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ამ ეტაპზე მისი მედროშე არის ბურჟუაზია. „ბურჟუაზია, — ამბობს ვ. ი.ლენინი. — რომელიც ყოველი ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ბუნებრივად მის ჰეგემონად (ხელმძღვანელად) გამოდის, პრაქ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ.. ტ. 20, გვ. 488.

ტიკულ საქმეს უწოდებს ყველა ეროვნული მისწრაფებისათვის მხარისდაჭერას“ [1]. ბურჟუაზიისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რასაც გამარჯვების შემთხვევაში ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება უნდა მოჰყვეს, პრაქტიკულ-ეკონომიური საკითხია იმიტომ, რომ ერთიანი სახელმწიფო, ერთიანი ენით და ტერიტორიით უმნიშვნელოვანესი პირობაა „თანამედროვე კაპიტალიზმის შესაფერი საეკრო ბრუნვისა. მოსახლეობის თავისუფლად და ფართოდ დაჯგუფებისა ყველა ცალკე კლასად, — ბოლოს — იგი პირობას წარმოადგენს ბაზრის მჭიდრო კავშირისათვის ყოველ და თვითეულ მსხვილ თუ წვრილ მეპატრონესთან. გამყიდველსა და მყიდველთან“ [2].

საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა, რომ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიამ გაიყოლია საზოგადოების ყველა დაჩაგრული ფენები. იგი მეთაურობდა ჯერ კიდევ კლასობრივად მკვეთრად გაუმიჯნავ მესამე წოდებას, ებრძოდა არა მარტო ფეოდალურ რეაქციას, არა მარტო მის ნაშთებს ეკონომიკაში, პოლიტიკაში და იდეოლოგიაში, არამედ მეთაურობდა პროგრესულ ბრძოლას ნაციონალური სახელმწიფოთა შექმნისათვის. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა და გამაერთიანებელმა ომებმა XIX ს. ევროპაში შექმნეს მსხვილი ეროვნული სახელმწიფოები. ბურჟუაზიას ამ დროს ხელთ ეპყრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა. იგი ერის ავანგარდი იყო წინსვლის გზაზე. მაშინდელ ვითარებაში იგი იყო ხელმძღვანელი, დამრაზმავი, პროგრესული ძალა საზოგადოების დაზავსებული, დრომოჭმული ძალების წინააღმდეგ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კაპიტალიზმამდელ სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობათაგან განსხვავებით, სოციალური მოძრაობაცაა. ამ მოძრაობის მესვეურები თავისი ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისათვის რომ იბრძვიან, დიამეტრალურად უპირისპირდებიან ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის დამცველ ძალებს, ებრძვიან ქვეყნისათვის თავსმოხვეულ იმ უცხოურ რეჟიმს, რომელიც ძველ, დრომოჭმულ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას უჭერს მხარს და აკონსერვებს. იტალიის, გერმანიის, ბალკანეთის ქვეყნების, რუსეთის იმპერიის განაპირა-ეროვნული რაიონების, თუნდაც აღმოსავლეთის ხალხების XIX—XX სს. ისტორიისათვის ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ თითოეულ ამ ქვეყანაში მჩაგვრელი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 20. გვ. 500.

[2] იქვე. გვ. 483.

ძალის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა ეროვნულთან ერთად სოციალური შინაარსის შემცველი იყო, რომ ამ ხალხების ეროვნული კონსოლიდაცია და ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური განცალკევებულობის, ეკონომიური კარჩაკეტილობის, რუტინული მეურნეობის დამყაყებულ ბაზაზე. ავიღოთ საქართველოს მაგალითი. ცარიზმი თავისი კოლონიური ბატონობის განსამტკიცებლად ქართველ თავადაზნაურობას ეყრდნობოდა, მის სოციალურ პრივილეგიებს განამტკიცებდა, ამასთან აფერხებდა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას და მის ეკონომიურ შესაძლებლობას მთლიანად მეტროპოლიის ბურჟუაზიის ინტერესების შესაბამისად წარმართავდა და იყენებდა. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც XIX ს. 30—40-იან წლებში ჩაისახა და 60—70-იან წლებში განმტკიცდა, ეროვნულთან ერთად სოციალური შინაარსისაც იყო და ითვალისწინებდა არა მარტო ცარიზმის კოლონიური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლებას, არამედ თავადაზნაურულ-ფეოდალური ბატონობის მოსპობას, მისი სოციალური პრივილეგიების ლიკვიდაციას. ამ ორ ფრონტზე, როგორც ცნობილია, ერთნაირი შეუპოვრობით იბრძოდნენ სახელგანთქმული ქართველი სამოციანელები.

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშან-თვისებაა, თავისი შინაარსით დემოკრატიულია და ცხადია, პროგრესული. „პროგრესულია მასები გაღვიძება ფეოდალური მძინარობისაგან, მათი ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხის სუვერენობისათვის, ერის სუვერენობისათვის“ [1] — მიუთითებს ვ. ი. ლენინი.

ცნობილია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფართოდ იყო გაჩაღებული მარქსის და ენგელსის მოღვაწეობის პერიოდში. არა მარტო დასავლეთი (გერმანია, იტალია, ირლანდია, პოლონეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები), არამედ კოლონიური აღმოსავლეთიც იწყებდა გამოფხიზლებას. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები ღრმა ინტერესით ადევნებდნენ თვალს ამ მოძრაობას, ევროპის პოლიტიკური ცხოვრების უდიდეს მოვლენად და პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის საერთო ბრძოლის ბიძგად მიაჩნდათ იგი. მარქსი და ენგელსი ღრმა თანაგრძნობით იყვნენ გამსჭვალული ეროვნულად დაჩაგრული ხალხების მიმართ და მათი გან-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 24.

თავისუფლება, მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრიცი მოწყობა სამართლიანობის განხორციელებისა და პროგრესის საქმედ მიაჩნდათ [1], მაგრამ მარქსს და ენგელსს ღრმად სწამდათ, რომ ეროვნული ჩაგვრის სრული ლიკვიდაცია შეუძლებელია კაპიტალიზმის არსებობის პირობებში, რომ ეროვნულ ჩაგვრაა მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში მოეღება ბოლო, ამიტომ ისინი ეროვნულ საკითხს კაპიტალის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის გრანდიოზულ და უპირველეს ამოცანას უქვემდებარებდნენ. მარქსი და ენგელსი უდიდესი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ირლანდიელი ხალხის ბრძოლას ინგლისის ჩაგვრის წინააღმდეგ, მხარს უჭერდნენ ირლანდიის ინგლისისაგან გამოყოფას და მის ეროვნულ მოწყობას [2]. ირლანდიის განთავისუფლება მარქსს და ენგელსს მიაჩნდათ არა მარტო ირლანდიელი ხალხის, არამედ ინგლისელი ხალხის, მისი მშრომელი მასების საბრძოლო ამოცანად, [3], რადგან „უბედურებაა ხალხისათვის, თუ მან სხვა ხალხი დაიმონა", რადგან „ვერ განთავისუფლდება მუშათა კლასი ინგლისში, სანამ არ განთავისუფლდება ირლანდია ინგლისის უღლისაგან" [4].

ცნობილია ის მხურვალე თანაგრძნობა და მხარდაჭერა, რასაც მარქსი და ენგელსი რუსეთის ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი პოლონელი ხალხისადმი იჩენდნენ. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ „...კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს მთელი დასავლეთ ევროპის დემოკრატიისა და მით უმეტეს სოციალ-დემოკრატიისათვის უეჭველად სავალდებულოდ მიაჩნდათ პოლონეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის აქტიური მხარდაჭერა. წარსული საუკუნის 40-იანი და 60-იანი წლების ეპოქისათვის, ავსტრიისა და გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქისათვის, რუსეთში „გლეხთა რეფორმის" ეპოქისათვის, ეს თვალსაზრისი სრულიად სწორი და ერთადერთი თანმიმდევრულ-დემოკრატიული და პროლეტარული თვალსაზრისი იყო [5].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პოლიტიკური მოძრაობაა და ისე, როგორც ყველა პოლიტიკური მოძრაობა, განსაზღვრული პროგრამით მიმდინარეობს. ძირითადი პროგრამა, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ისახავს, უცხო ძალის

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XXIII, გვ. 413—414.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XXIV, 1931, გვ. 113, 240—241, 233.

[3] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1947, გვ. 230—231.

[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 531.

[5] იქვე.

ბატონობისაგან ერის განთავისუფლება და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებაა. მაგრამ ყველა კლასი და პარტია, რომელიც ჩაბმულია ერის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მას თავის კლასობრივ ინტერესს უქვემდებარებს და გამარჯვების შემთხვევაშიც, ცხადია, ძალაუფლებას თავისი კლასის ინტერესების დასაცავად იყენებს. კაპიტალისტური ურთიერთობის აღმოცენების და განმტკიცების ეპოქაში, ეროვნული მოძრაობის თავისთავად ბურჟუაზიული შინაარსის მიუხედავად, მრავალჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამყვან ძალად თავადაზნაურულ-მემამულური კლასის წარმომადგენლები გამოსულან (ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალების მოუმწიფებლობის გამო) და ისეთი პროგრამა დაუსახავთ, რომელიც მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენას გულისხმობდა და ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას უცვლელად ტოვებდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს ცალმხრივი ხასიათი, მისი სოციალური კონსერვატიზმი ბშირად გამხდარა ამ მოძრაობის მარცხის მიზეზი. რადგან მოძრაობის სათავეში მოქცეული ძალების კლასობრივ ანგარებას გაუნელებია ეროვნული მოძრაობის ძირითადი ძალის — გლეხობის ინტერესი და აქტივობა ამ მოძრაობაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია პოლონეთის 1830 — 1831 წლების აჯანყება. როგორც ცნობილია, ამ რევოლუციური გამოსვლის სათავეში მოქცეულმა ნაციონალისტურმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ, რომელიც მტრული თვალით უყურებდა ხალხთა მასების მონაწილეობას რევოლუციაში და არავითარ დათმობას ყმა გლეხებისადმი არ ითვალისწინებდა, ფრთები შეუკვეცა პოლონელი ხალხის ბრძოლის მასობრიობას და ცარიზმს გაუადვილა მისი დამარცხება. ფრ. ენგელსი პოლონეთის ამ აჯანყებას კონსერვატულს უწოდებდა იმიტომ, რომ იგი სოციალური მხრივ პოლონეთში რაიმე არსებით ცვლილებას არ ითვალისწინებდა.

დემოკრატიული და თავადაზნაურულ-ლიბერალური ბანაკების შეურიგებელი წინააღმდეგობა და ანტაგონისტური დაპირისპირებულობა წითელი ზოლივით გასდევს აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელ, გამაერთიანებელ მოძრაობას იტალიასა და გერმანიაში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ისე როგორც კლასობრივ საზოგადოებას და კლასობრივ ბრძოლას თავისი განვითარების საფეხურები, თავისი ეტაპები გააჩნია. „განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი — მიუთითებს ვ. ი. ლენინი — იცნობს ორ ისტორიულ ტენდენციას ნაციონალურ საკითხში: პირველი, ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ

ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე, ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გაზვიადება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ჭარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მოწიფებულ და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს“ [1]. სხვა ადგილას ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ კაპიტალიზმს აქვს ეროვნულ მოძრაობათა თვალსაზრისით განსხვავებული ორი ეპოქა. ერთი მხრივ, ესაა ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის კრახის ეპოქა, მეორე მხრივ კაპიტალიზმის კრახის წინადღის ეპოქა, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის უკიდურესი ანტაგონიზმის ეპოქა. „პირველი ეპოქისათვის — მიუთითებს ვ. ი. ლენინი — ტიპიურია ეროვნულ მოძრაობათა გამოღვიძება, მათში გლეხობის ჩაბმა, როგორც მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე „ძნელად ასამოძრავებელი“ ფენისა, იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოებს პოლიტიკური თავისუფლებისათვის საერთოდ და ეროვნების უფლებებისათვის კერძოდ. მეორე ეპოქისათვის ტიპიურია მასობრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობათა არარსებობა, როცა განვითარებული კაპიტალიზმი, უფრო და უფრო აახლოებს და ერთმანეთში ურევს რა სავაჭრო ბრუნვაში უკვე საესებით ჩაბმულ ერებს, პირველ რიგში აყენებს ინტერნაციონალურად შედუღებული კაპიტალის ანტაგონიზმს ინტერნაციონალურ მუშათა მოძრაობასთან“ [2].

ერი კაპიტალიზმის მონოპოლისტურამდელ სტადიაში განსხვავდება მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქის ერისაგან, განსხვავდება თავისი სოციალურ-კლასობრივი აღნაგობით და პოლიტიკური მიზანდასახულობით. პირველ სტადიაზე ერის კლასობრივ ძალთა ანტაგონიზმი არაა ძლიერად გამოკვეთილი, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების კოალიცია მიმართულია ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ. ნაციონალურ მისწრაფებათა გამოღვიძებაგათვითცნობიერება წინა პლანზეა წამოწეული, მებრძოლი ძალები კომპაქტურნი არიან და მათ ეროვნული თვითმყოფობის საერთო ლოზუნგი აკავშირებს. მართალია, კლასობრივი წინააღმდეგობანი სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში და იდეოლოგიაში ამ ეტაპზეც

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ 20, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 489 — 490.

ამჟღავნებს თავისთავს, მაგრამ იგი მაინც უკანა პლანზეა გადაწეული საერთო ეროვნული პროგრამის ინტერესების გამო. ვ. ი. ლენინი ეროვნული მოძრაობის პირველ ეტაპს ახასიათებდა სწორედ, როცა წერდა, რომ მაშინ „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ“ [1].

კაპიტალიზმის მონოპოლისტურ, ანუ იმპერიალისტურ, ლპობად სტადიაში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირობების მომწიფების სტადიაში ერების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც შესამჩნევი ცვლილება ხდება. იმპერიალიზმის სტადიაზე საერთაშორისო მიმოსვლის საშუალებათა განვითარება, მსოფლიო ბაზრის გაფართოება, კაპიტალის გატანა შორეულ ქვეყნებში აძლიერებს შრომის საერთაშორისო დანაწილებას, იწვევს მსოფლიოს ხალხთა დაახლოებას. საწარმოო ძალთა გიგანტური განვითარების პირობებში იქმნება რა მსოფლიო ბაზარი, მსოფლიო მეურნეობა, თანდათანობით მიმდინარეობს ეროვნული კარჩაკეტილობის ლიკვიდაცია. კაპიტალიზმის ეს ტენდენცია „ეროვნული ტიხრების დარღვევისა, ეროვნულ განსხვავებათა მოსპობისა, ერების ასიმილაციისა“ [2] უდიდესი პროგრესის შემცველი ტენდენციაა, კაცობრიობის სოციალიზმად გადაქცევის [3] ერთ-ერთი უდიდესი მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ კაპიტალიზმის იმპერიალისტურ სტადიაზე მიმდინარე ობიექტურად ეს პროგრესული პროცესები ეროვნული ჩაგვრის გაძლიერების, სუსტი და მცირე ერების დამონების, ეროვნული საკითხის უკიდურესობამდე გამწვავების, კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების ექსპლოატაცია-გაძარცვის გაძლიერების გზით მიმდინარეობს. იმპერიალიზმის ეპოქაში ერის შიგნით კლასების მკვეთრი გამიჯვნა ხდება. პროლეტარიატი ყალიბდება კლასად თავისთვის და იწყებს რა ბრძოლას ექსპლოატატორული რეჟიმის დასამხობად, ბუნებრივი კლასობრივი მოკავშირე და ავანგარდული ძალა ხდება აგრარული მოძრაობისა. ამრიგად, ერის ცხრა მეათედი თავის განმათავისუფლებელ მოძრაობაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება ბურჟუაზიას, რომელსაც ხელთ უპყრია პოლიტიკური მმართველობის სადაველები და ცდილობს მტკიცედ შეინარჩუნოს იგი. ხოლო ამ ბრძოლაში მოკავშირესა და მფარველს ხშირად დამპყრობელი

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 128.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 15.

[3] იქვე.

სახელმწიფოს მმართველ ძალებში პოულობს. ბურჟუაზია ამ დროს თავისი კლასობრივი ბატონობის უზრუნველსაყოფად ეროვნულ გათიშვას ქადაგებს, „ეროვნული კულტურის“ ლოზუნგს ებღაუჭება. ერის სხვადასხვა კლასებს შორის საერთო ნიადაგის, საერთო ინტერესის პროპაგანდას ეწევა, რომ ამით კლასობრივი ჩაგვრისაგან პროლეტარიატის ინტერნაციონალურ დარაზმულობაში ბზარი შეიტანოს, გათიშოს და დააჩიაოს იგი. პროლეტარიატს კი, საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად უდიდესი მოკავშირე უჩნდება სხვა, მეზობელი ერების პროლეტარიატის სახით, „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — აი ორი, ურთიერთისადმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში“ [1].

იმპერიალიზმის ეპოქაში, ამასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა როლებიც იცვლება. იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი ჩამოყალიბებულია როგორც საზოგადოებრივი ძალა. იგი ეროვნული მოძრაობის მედროშე ხდება. მოძრაობის ძირითადი ძალა კვლავ გლეხობაა, რომლისთვისაც ეროვნული განთავისუფლება ფეოდალური კაბალისაგან განთავისუფლებაც არის.

როგორც ცნობილია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამჟამად თავის განვითარების მესამე პერიოდში იმყოფება. ეს პერიოდი დაიწყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მომწიფების დროიდან, მისი პირველი გამოხატულება იყო მსოფლიო იმპერიალისტური ომი და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ოქტომბრის რევოლუციის უდიდეს გამარევოლუციურებელ გავლენას მთელ მსოფლიოზე, ოქტომბრის დიადი იდეების, საბჭოთა ხალხების რევოლუციური მაგალითების უდიდეს ზემოქმედებას შედეგად მოჰყვა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისის დაწყება, აღმოსავლეთის დამოკიდებულ და კოლონიურ ხალხთა საოცრად სწრაფი გამოღვიძება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთდროული აზვირთება და საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური ბანაკის აქტიური მხარდაჭერის პირობებში ეროვნული თავისუფლების მოპოვება აზიისა და აფრიკის მრავალ ქვეყანაში. რაც დრო გადის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მეტი სიმძლავრით ჩაღდება, კოლონიური ბორკილები ზედიზედ იმსხვრევა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 13.

ჩვენი ეპოქა ხალხთა ეროვნული თავისუფლების მოპოვების დიადი ეპოქაა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო ნიშან-თვისებათა ეს ძალზე მოკლე და ზოგადი გადმოცემა, ამ მოძრაობის პერიოდების ასევე მოკლე ანალიზი საშუალებას მოგვცემს ავხსნათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი XIX ს. საქართველოში, რომელსაც მრავალი სპეციფიურობის მიუხედავად. ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი მეტნაკლები ზომით ახასიათებს. ასევე შესაძლებლობა გვეძლევა დავახასიათოთ მისი განვითარების ეტაპებიც.

ვინაიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხების ერებად კონსოლიდაციის პროცესის დამამთავრებელ ეტაპზე წარმოიშობა და კაპიტალისტური ეპოქის მოვლენაა, ვინაიდან მისი ტენდენცია ეროვნული სახელმწიფოს შექმნაა, იგი ბურჟუაზიული მოძრაობაა და მის წამყვან ძალად საწყის ეტაპზე, ჩვეულებრივ, ბურჟუაზია გამოდის.. ვინაიდან იგი სოციალური მოძრაობაა, ქვეყნის სოციალურ ურთიერთობაში არსებით ცვლილებებს ითვალისწინებს და ყოველივე ამასთან ერთად, როგორც პოლიტიკური მოძრაობა, განსაკუთრებული პროგრამით მიმდინარეობს. ცხადია, ყოველგვარ მოძრაობას, რომელსაც მე-19 საუკუნის საქართველოში ჰქონდა ადგილი, ჩვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად ვერ მივიჩნევთ. რუსეთთან შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით პირველ ოცწლეულში საქართველოში მასობრივი მოძრაობის რამდენიმე დიდ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. როგორც ცნობილია, 1804 წელს აღსდგა მთიულეთი, 1812 წელს მოხდა გლეხთა გრანდიოზული აჯანყება კახეთში, 1819 წელს დიდ გამოსვლას ჰქონდა ადგილი იმერეთში. ამ მოძრაობათა ხასიათის შესახებ მრავალი აზრია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ზოგ მკვლევარს ეს აჯანყებანი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად მიაჩნია. ჩვენი აზრით ამ მოძრაობებში არ მოიძებნება ის ნიშან-თვისებანი, რითაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხასიათდება საერთოდ. ყველა ეს მოძრაობა ანტირეჟიმული ხასიათისაა. ამ მოძრაობის მესვეურ და მამოძრავებელ ძალებს მიზნად ჰქონდათ რუსეთის კოლონიურ-მძარცველური რეჟიმის აღკვეთა ან შემსუბუქება. ეს კეთილშობილური მისწრაფება განსაზღვრავდა ამ მოძრაობათა პროგრესულ ხასიათს. მაგრამ ეს მოძრაობანი არ ამაღლებულან იმ ეტაპზე, საიდანაც ეროვნული მოძრაობა იწყება. მათ არ დაუსახავთ ის მიზნები, რასაც ეროვნული მოძრაობა ისახავს.

ცხადია, ყველა ეს მოძრაობა, კოლონიური ხალხის დაუცხრომე-

ლი მისწრაფება უცხო მჩაგვრელი ძალის განდევნისა, ამზადებდა ნიადაგს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმოცენებისათვის. ეს მოძრაობა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პირობებში უნდა დაწყებულიყო. მისი პროგრამის შემზადებისათვის მაღალი ინტელექტუალური სამყარო, ქვეყნის „გამოხსნა-აღდგომის“ სულიერი ძალების დარაზმვა იყო საჭირო. ამის პირველმა ნიშნებმა საქართველოს სინამდვილეში XIX ს. 20—30-იან წლებში იჩინეს თავი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი დიდი აქტი 1832 წლის შეთქმულება აღმოჩნდა. ამიტომ მართებული იქნებოდა, ჩვენი აზრით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX ს. მეორე მეოთხედიდან დაგვეწყო.

• • •

რა ეტაპები განვლო ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში მისი აღმოცენებიდან სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე?

ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ სტატიაში „გერცენის ხსოვნას“, იძლევა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის პერიოდიზაციას, რომელიც ამასთან რუსეთის იმპერიის კოლონიურ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციის გასაღებს წარმოადგენს. „...ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებენ — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან, მაგრამ მათ საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოვეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა-რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას“ გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს, „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები“, ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის

მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს. შემდეგი შეტევა ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას“ [1].

როგორც ვხედავთ, ლენინი რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას 3 ძირითად პერიოდად ჰყოფს და თითოეული პერიოდის ქრონოლოგიურ ჩარჩოებსაც იძლევა: თავადაზნაურული (1825—1861); ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ანუ რაზნოჩინცული (1861—1895) და პროლეტარული (1895—1917).

ფაქტია, რომ რუსეთის იმპერიის განაპირა რაიონების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ცარიზმის და მისი უმკაცრესი კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, იდეურად უკავშირდებოდა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას და არა მარტო უკავშირდებოდა. არამედ მნიშვნელოვნად იდეურად სწორედ ამ მოძრაობით საზრდოობდა. განაპირა მხარეების ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გარდატეხანი ძირითადად იმპერიის ცენტრალური რაიონის გარდამტებ ეტაპებს ემთხვეოდა (მცირედი დაგვიანებით). ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის მსხვრევა, ბურჟუაზიის მომძლავრება, კაპიტალისტური განვითარება. მუშათა კლასის გაჩენა იმპერიის ცენტრსა და მის განაპირა ნაციონალურ რაიონებში ხომ თითქმის ერთდროულად მოხდა. სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებასა და კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ეს ცვლილებანი, როგორც ცნობილია, იდეოლოგიური ბრძოლის მიმართულებაშიც ცვლილებებს იწვევდა. თუმცა განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ლოზუნგად ბატონყმობის, თვითმპყრობელობის ლიკვიდაცია და ქვეყნის დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელება რჩებოდა. ძველი, ცხოვრებისეული სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური დაწესებულებების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის დემოკრატიული ძალების ერთგულ მოკავშირედ ყოველთვის განაპირა ეროვნული რაიონების დემოკრატია გამოდიოდა, რომელიც ცარიზმს, — როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრის დამკანონებელ ამ ძალას, — შეუპოვრად ებრძოდა. იმ დიდი განმათავისუფლებელი იდეალებისათვის, რომელიც რუსეთის რევოლუციურ წიაღში იბადებოდნენ, განაპირა ნაციონალურ რაიონებში ყოველთვის არსებობდა ნაყოფიერი ნიადაგი. მაგრამ ნაციონალურ განაპირა რაიონებში ცარიზმის უღლისაგან განთავისუფლების იდეები ეროვნულ პრიზმაში გადატყდებოდა. ამიტომ იყო ყოველთვის ქართველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთათვის მახლობელი და მშობლიური დეკაბრისტებიც და გერცენიც,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 18, გვ. 18—19.

რუსი სამოციანელებიც და ნაროდნაია ვოლიას გმირებიც. თავის მხრივ რუსეთის განაპირა ეროვნულ რაიონებში აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეალები რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მდინარეს ერთვოდა როგორც ცალკე შენაკადები და მას წყალუხვად ხდიდა. ეროვნულ მოძრაობათა მედროშენი უკრაინაში და ბელორუსიაში, ბალტიისპირეთსა და ამიერკავკასიაში რუსეთის დემოკრატიული ბანაკის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდნენ, რუსეთის რევოლუციონერთა ხელმძღვანელი ბირთვი მათ პერიფერიებში დასაყრდენ ძალად აღიარებდა. განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარულ ეპოქაში კი იმპერიის განაპირა რაიონების პროლეტარიატი რუსეთის პროლეტარიატის მბარდამხარ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერიშო ცეცხლის ხაზზე დადგა. რევოლუციურმა მოძრაობამ რუსეთის პროლეტარიატი და ყველა კუთხის მშრომელები ერთ დიდ საბრძოლო რაზმად გააერთიანა. განაპირა რაიონების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მედროშე და ხელმძღვანელი ძალა იმპერიალიზმის ეპოქაში მხოლოდ პროლეტარიატი შეიძლებოდა ყოფილიყო. სისხლხორცეულად დაუკავშირდა რუსეთის მუშათა და გლეხთა ბრძოლას და მისი საფლანგო პოზიციები დაიკავა.

ამრიგად, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა და იმპერიის განაპირა რაიონების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთმანეთთან განუყოფელ კავშირ-ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ერთმანეთს აპირობებდნენ, ერთმანეთს ასებებდნენ. ამდიდრებდნენ და ერთ მიზანში ურტყამდნენ, ერთ ფრონტს განასახიერებდნენ.

რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელი კავშირ-ურთიერთობა გვიადვილებს მოვხაზოთ ამ მოძრაობის აღმოცენებისა და მისი განვითარების ჩარჩოები. თუ ვაღიარებთ რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენში რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის კვალდაკვალ აღმოცენდა და ძირითადად განვითარების იგივე ეტაპები განვლო, მაშინ გამოიკვეთება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთმანეთისგან კლასობრივად გამიჯნული სამი პერიოდი: 1. თავადაზნაურული, რომელიც XIX საუკ. 30—50-იან წლებში თავსდება, 2. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ანუ რაზნოჩინცული, რომელიც 60—90-იან წლებში მიმდინარეობს და 3. პროლეტარული, რომელიც კაპიტალიზმის ლპობისა

და სოციალისტური რევოლუციის მომწიფება-გამარჯვების ეპოქას (XIX ს. 90-იანი წლებიდან 1921 წლამდე) მოიცავს*.

რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება ეროვნული მოძრაობის პირველი პერიოდი?

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას XIX ს. მეორე მეოთხედიდან საქართველოს საშინაო და საგარეო მოვლენები განაპირობებდნენ. 30-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში ძირითადად დასრულდა ის ომები, რომელსაც ცარიზმი ამ მხარის შემომტკიცებისათვის ეწეოდა და რომლის ცენტრი საქართველო იყო. ქვეყანა შედარებით მშვიდი ცხოვრების კალაპოტში ჩადგა, სამეურნეო აღმავლობა დაიწყო, ვაჭრობა-აღებმიცემობა გაცხოველდა, სამრეწველო წარმოების პირველი კერებიც შეიქმნა — ერთი სიტყვით, ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ ახალ ვითარებაში უფრო სწრაფად იწყო აღმოცენება.

XIX ს. 30-იანი წლებიდან გამოკვეთილად გამოჩნდა ამიერკავკასიისადმი ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიმართულებაც, გაჭრა ყოველგვარი ილუზია ქართველი სეპარატისტებისა ქვეყნის საშინაო დამოუკიდებლობის მიმართულებით. რუსეთის ცარიზმი ქართლ-კახეთს რუსეთის ჩვეულებრივი საგუბერნიო კანონებით მართავდა და იმპერიასთან მის სრულ შერწყმას ამზადებდა.

30-იანი წლები საერთოდ ევროპისა და რუსეთის ცხოვრებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით აღინიშნა. იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ევროპის რიგ სხვა ქვეყნებში დემოკრატიული ძალები გაბედულად უტევდნენ ფეოდალურ-რეაქციულ რეჟიმს, საღვთო კავშირს და ეროვნულ-დემოკრატიულ სახელმწიფოთა მოპოვების ლოზუნგით გამოდიოდნენ. რუსეთის ცარიზმს ამ დროს საკუთარ სახლშიც ხანძარი გაუჩნდა. 30-იანი წლების დასაწყისში პოლონეთში აზვირთდა დიდი ეროვნული რევოლუცია. ეროვნული მოძრაობის პირველმა ნიშნებმა იჩინეს თავი უკრაინასა და ბალტიისპირეთშიც.

სენატის მოედანზე დეკაბრისტთა გმირული გამოსვლის ექო გადაწვდა მთელ იმპერიას. საქართველო, რომელიც ცარიზმმა დეკაბრისტთა ერთი ჯგუფის გადასახლების ადგილად აირჩია, პეტერბურგში დატრიალებული მოვლენის კურსში აღმოჩნდა.

---

* რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირის, მათი ქრონოლოგიური ჩარჩოების იდენტურობის შესახებ გაკვრით მითითებული აქვთ მკვლევარებს ლ. გორგილაძეს, დ. გამეზარდაშვილს, პრ. რატიანს, ი. კაჭარავას, ა. თოფურიას და სხვ. მაგრამ ეს თვალსაზრისი სპეციალური განხილვისა და დასაბუთების საგანი დღემდე არ გამხდარა.

XIX ს. 30-იანი წლებისათვის საქართველოში წამოიზარდა ფართოდ განათლებული, უაღრესად ნიჭიერი, პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული თაობა ინტელიგენციისა, რომლის მოღვაწეობა ძირითადად ეროვნულ საკითხს დაექვემდებარა. ქართველ სახელოვან ოცდაათიანელ-ორმოციანელთა (ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, დ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი, ს. რაზმაძე და სხვ.) მთელი პრაქტიკული მოღვაწეობა, ლიტერატურული შემოქმედება მშობლიური ერის გამოღვიძება-გათვითცნობიერების, მისი „აღდგომა-გამოხსნის“, მისი დარაზმვის, მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის კეთილშობილურ საქმეს დასტრიალებდა.

ოცდაათიანელთა დაუცხრომელ საქმიანობას მოჰყვა ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლება. ქართულ აზროვნებაში წამყვანი პოზიცია სამშობლოს და ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლამ დაიკავა. მოწინავე პოზიციებზე იდგა პეტერბურგში მოღვაწე ქართველი მეცნიერები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერული აზრის განვითარებაში (იოანე ბაგრატიონი, მისი ძმა დავით ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი, ს. დოდაშვილი). გამოცოცხლება დაეტყო ქართულ ისტორიულ მეცნიერებას (პ.იოსელიანის, ს. ბარათაშვილის, მ. ბარათაშვილის მოღვაწეობა). რომელმაც მიზნად დაისახა ქართველი ხალხისათვის გაეცნო და შეეყვარებინა თავისი ქვეყნის გმირული წარსული, უცხო ქვეყნებში აღეძრა დიდი ისტორიული და კულტურული ტრადიციების მქონე ქართველი ხალხისადმი სიმპათია და მხარდაჭერა.

აღორძინება დაეტყო საქართველოში ძველთაგანვე ცნობილ თეატრალურ ხელოვნებას. სცენისმოყვარე ახალგაზრდობამ ქართული ეროვნული თეატრის შექმნისათვის დაუცხრომელი საქმიანობა გააჩაღა. რაც მთავარია, ამ პერიოდს უკავშირდება ქართული გაზეთისა და ჟურნალის წარმოშობა. პირველი ქართული ჟურნალი, რომელსაც სათავეში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩენილი წარმომადგენელი ს. დოდაშვილი ედგა, გამოკვეთილად აყალიბებს ოცდაათიანელთა ეროვნულ პროგრამას. შემთხვევითი არაა, რომ გაზეთში წამოყენებულ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემათა შორის, წამყვანი ადგილი ეროვნულ პრობლემას უკავია.

ქართველ ოცდაათიანელთა ეროვნული მოღვაწეობის გვირგვინი, ოცდაათიანი წლების ეროვნული ცხოვრების უდიდესი ისტორიული აქტი 1832 წლის შეთქმულება იყო.

1832 წლის შეთქმულება ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მიერ შეფასებულია როგორც რეაქციული გამოსვლა. მკვლევარები ასეთი

შეფასებისას ეყრდნობოდნენ ი. სტალინის ცნობილ ფორმულას „თავადაზნაურული ნაციონალიზმის“ [1] შესახებ. 1832 წლის შეთქმულების გამოცხადება რეაქციულ მოვლენად, რომელსაც თითქოს საქართველოს ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება ეწადა, ძირშივე მცდარია და მის ამგვარ გაგებას არც ი. ბ. სტალინის დებულება იძლევა.

შეთქმულების მთავარი მიზანი იყო ცარიზმის კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია და 1783 წლის ტრაქტატის აღდგენა, ე. ი. რუსეთთან თანაცხოვრების ვითარებაში საქართველოს შინაგანი დამოუკიდებლობის მოპოვება, მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა.

მართალია, შეთქმულება იდეურად მთლიანი არ ყოფილა და საქართველოს მომავალი ცხოვრება სხვადასხვა დასს სხვადასხვაგვარად ესახებოდა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: საქართველოს დაბრუნება XVIII ს. მიწურულის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისაკენ, ბაგრატიონთა დინასტიის ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ი ბატონობის აღდგენა, ე. ი. საქართველოს ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალება არც ერთ დასს არც ეწადა და არც შეეძლო. შეთქმულების მონაწილე ბატონიშვილებიც კი, ქართულ მონარქიაში, ახალ ვითარებასთან შესაბამის ახალ შინაარსს დებდნენ. შეთქმულების მონაწილეთა უმრავლესობა, მისი ლიბერალურ-პროგრესული ფრთა ცარიზმის კოლონიური უღლისაგან თავისუფალ საქართველოს ბურჟუაზიულ საწყისებზე შექმნილ, კონსტიტუციურ მონარქიად წარმოიდგენდა. შეთქმულთა რადიკალური ნაწილი რესპუბლიკის იდეას აყენებდა.

მაგრამ შეთქმულების მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა იმის გამო, რომ თავადაზნაურული კლასის წარმომადგენლები იყვნენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალურ მხარეს უყურადღებოდ ტოვებდნენ. მათ პროგრამაში არ შედიოდა არსებითი ცვლილება ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის შემონახვისაკენ მისწრაფება განსაზღვრავდა ამ შეთქმულების სოციალურად კონსერვატულ ხასიათს. ამიტომ ისინი „შორს იყვნენ ხალხისაგან“ და განწირული აღმოჩნდნენ დამარცხებისათვის.

1832 წლის შეთქმულების დამარცხების მიუხედავად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ჩამკვდარა, ეროვნული საკითხი ქართული საზოგადოებრივი აზრის წამყვან პრობლემად დარჩა (ნ. ბარათაშვილი, მიხ. თუმანიშვილი, გ. რჩეულიშვილი), 40-იანი

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32—33.

წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დემოკრატიული პოზიცია თანდათან მომძლავრდა (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი, დ. ჭონქაძე), სოციალური საკითხი წინა პლანზე წამოიწია, ეროვნულ საკითხს მჭიდროდ გადაეხლართა.

ასე მომზადდა ნიადაგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე პერიოდისათვის, რომელიც XIX ს. 60-იანი წლებიდან იწყება და რომელსაც თავისი სპეციფიკური ნიშანთვისებანი ახასიათებს.

XIX საუკუნის 60—70-იანი წლების რუსეთი ხასიათდება არა მარტო რევოლუციური დემოკრატიზმის აღმავლობით, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი გაცხოველებითაც, რა თქმა უნდა, ეს გაცხოველება რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის უშუალო ზეგავლენით მიმდინარეობს, აფართოებს და აღრმავებს მისი მოქმედების მასშტაბებს. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ განაპირა კოლონიური მხარეების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და რუსეთის გლეხობის ანტიბატონყმური რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა პროგრესული მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან ორივე რუსეთის რევოლუციური გარდაქმნის საქმეს ემსახურება. შემთხვევითი როდია რომ მეფის რეაქციული მოხელეები „ნიჰილიზმს“ (ე. ი. რევოლუციურ ბრძოლას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ) და „სეპარატიზმს“ (ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას) ერთ სიბრტყეზე აყენებს, ერთნაირად საშიშად თვლის თვითმპყრობელური იმპერიისათვის და ერთნაირი გააფთრებით ებრძვის, როგორც პირველს, ისე მეორეს.

ახალ ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის განაპირა მხარეებში შემდეგი წყაროები ასაზრდოებენ:

1. ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის გამძაფრება.

2. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი ნაციონალურ რაიონებში. კაპიტალიზმის განვითარება და ეკონომიური კონსოლიდაციის ინტენსიური პროცესი.

3. რევოლუციური სიტუაცია რუსეთის იმპერიაში. რევოლუციურ-დემოკრატიული ბანაკის მძლავრი შეტევა ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ.

4. ფეოდალური ურთიერთობის კრიზისი და რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის საერთო აღმავლობის დროს განაპირა მხარეების ეროვნული დემოკრატიული ინტელიგენციის გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

5. რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა დასავლეთ ევროპაში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში კაპიტალისტური ურთიერთობა გზას იკაფავს რუსეთის განაპირა მხარეებშიც. რუსეთის ნაციონალისტური ბაზარი თავის ორბიტში აქცევს აქამდე განცალკევებულ, პატრიარქალურ-ნატურალურ ნაჭუჭში ჩაკეტილ ეკონომიკას. თვით ნაციონალურ მხარეებში ისპობა ფეოდალური პარტიკულარიზმი, სამეურნეო კარჩაკეტილობა და მიმდინარეობს მათი გაერთიანება მთლიან სამეურნეო ერთეულებად. ეს ეკონომიური კონსოლიდაცია დამაჩქარებელია ხალხების ერებად ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესისა. სამეურნეო-ეკონომიური აღმავლობის პროცესი განსაკუთრებით ცხოველდება 60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების შემდგომ ხანაში. ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთებით დამძიმებულ რუსეთის კაპიტალიზმს ფართო ასპარეზი აქვს გაშლილი ყველა მიმართულებით, განსაკუთრებით კავკასიასა და ახლადშემოერთებულ შუა და შორეულ აღმოსავლეთში.

განაპირა კოლონიური მხარეების ეკონომიური კონსოლიდაციის ეს კაპიტალისტური პროცესი თავის ასახვას პოულობს იდეოლოგიაში. ახალ შოვლენას სამეურნეო ცხოვრებაში თან ახლავს ახალი აზრები, ახალი მიმართულებანი. მოწინავე საზოგადოებრივი აზრი გაბედულად იმაღლებს ხმას, ერთის მხრივ, ცხოვრების წინსვლის შემაფერხებელი დაბრკოლებების — დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ურთიერთობის დამცველი და დამკანონებელი რეჟიმის წინააღმდეგ. პირველ პლანზეა ეროვნული ენების დემოკრატიზაციის, ეროვნული ტრადიციების დაცვის, ეროვნული შემოქმედებითი ძალების გამოღვიძებისა და დარაზმვის მტკივნეული საკითხები.

განაპირა ნაციონალური მხარეების სოციალ-ეკონომიურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაში მიმდინარე ეს მოვლენები სისხლხორცეულადაა დაკავშირებული რუსეთის 50-იანი წლების მიწურულისა და 60-იანი წლების დასაწყისის მღელვარე ისტორიულ მოვლენებთან. ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის უკიდურესი კრიზისის, ზედაფენებში მოდებული შიშისა და პანიკის, დემოკრატიული რევოლუციის მოზღვავების გამოძახილი იმპერიის კიდით-კიდემდე გაისმის და ფეხზე აყენებს დაპირისპირებულ კლასებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს. კოლონიურ-დაჩაგრული ხალხების რევოლუციურ გრძნობებსა და მისწრაფებებზე უდიდეს კეთილისმყოფელ ზემოქმედებას ახდენს რევოლუციურ-დემოკრატიული ბანაკის მძლავრი შეტევები თვითმპყრობელურ-ბატონყმურ ბანაკზე. 60-იანი წლების რევოლუციონერთა ბრძოლა თვითმპყრობელობის და ბატონყმობის წინააღმდეგ, ბრძოლა რუსეთის დემოკრატიული გადახალისებისათვის

ამავე დროს ნიშნავდა ბრძოლას იმ უმკაცრესი კოლონიური რეჟიმის დასამხობად, რასაც ცარიზმი ახორციელებდა. ამიტომაა, რომ განაპირა ნაციონალური მხარეების პროგრესულ-დემოკრატიული ძალები 60-იანელთა იერიშების გულმხურვალე თანამგრძნობებად გამოდიან და მოელიან მათ გამარჯვებას. პოლონეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთსა და ამიერკავკასიაში ამ დროს განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამენ გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის სახელებს, ეწაფებიან მათ აზრებს და მოვალეობად მიაჩნიათ სამსახური იმ დიდი იდეალებისადმი, რომლებიც ამ მოღვაწეთა საბრძოლო დროშაზეა წარწერილი.

„იმ პერიოდში, როცა განაპირა მხარეების მუშათა კლასი არაა მომწიფებული, როგორც დამოუკიდებლად მებრძოლი, პოლიტიკურად გათვითცნობიერებული ძალა და ბურჟუაზიაც სუსტია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში ეროვნული დემოკრატიული ინტელიგენცია დგას. ის ემსახურება მასების ეროვნული თვითშეგნების ამაღლების პროგრესულ საქმეს და იდეურად ასაზრდოებს მასების ჯერ კიდევ კლასობრივად დაუხვეწელ ანტირეჟიმულ მოძრაობას, საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოაქვს ერის ყველაზე მტკივნეული საკითხები.“

განაპირა კოლონიური მხარეების ეროვნული ინტელიგენციის ის წარმომადგენელნი, რომელნიც 60—70-იან წლებში ეწევიან საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ძირითადად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ, რადგან კოლონიური მხარეების უმრავლესობას არ ჰქონია თავისი უმაღლესი სასწავლებლები. ეს ახალგაზრდობა აქტიურად იყო ჩაბმული რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დემოკრატიულ მოძრაობაში. თვითმპყრობელურ-ბატონყმური რეჟიმისადმი მკაცრი პროტესტი, განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება, ძველისა და დახავსებულობის წინააღმდეგ შეურიგებლობის გრძნობა მათ გაჰყვა პრაქტიკული მოღვაწეობის ადგილზე. მათ აიტაცეს ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, დრომოჭმულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობათა დამხობისათვის ერის კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა.

60—70-იანი წლები დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება მთელს დასავლეთ ევროპაში: 1848 წლის რევოლუციის მარცხმა ვერ შეაშინა ევროპის დემოკრატიული ძალები. ფეოდალიზმის ნაშთებზე ძლევამოსილი შეტევა ინტენსიურად ჩაღდება პრუსიაში და ავსტრიაში, კაპიტალიზმის ექსპლოატატორული რეჟიმის წინააღმ-

დეგ პროლეტარიატის მძლავრი გამოსვლები მიმდინარეობს საფრანგეთსა და ინგლისში. პროლეტარიატის თავგანწირული შეტევა თავის კლასობრივ მტერზე — ბურჟუაზიაზე, პარიზში გვირგვინდება პროლეტარული სახელმწიფოს აღმოცენებით, რომელიც თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე ახერხებს მსოფლიოს აჩვენოს პროლეტარიატის ბრძოლის სამართლიანობა და კეთილშობილური დანიშნულება. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში აზვირთებას იწყებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მთელ მსოფლიოში ჰქუხს სახელი ჯუზეპე გარიბალდისა, რომელმაც იტალიელი ხალხი დარაზმა ავსტრიელთა უღლის დასამხობად. ყველაფერი ეს წამაქეზებელ გავლენას ახდენს განაპირა კოლონიური მხარეების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, აღაფრთოვანებს ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს.

1859 წელს კავკასიის მთიელთა ანტირუსული მოძრაობის დამარცხებით და შამილის დაპატიმრებით ცარიზმმა დაასრულა ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა, რომელსაც კავკასიის პოლიტიკური შემომტკიცებისათვის ეწეოდა. ამიერიდან ცარიზმი შეუდგა ეკონომიური ბატონობის უზრუნველყოფას. ცნობილია, რომ კავკასია მას სჭირდებოდა არა მარტო ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის სტრატეგიულ ბაზად, არამედ როგორც რუსეთის საქონლის გამსაღებელი ბაზარი და რუსეთის კაპიტალისტური მრეწველობის ნედლეულის წყარო. ეკონომიური გაბატონების პრაქტიკული განხორციელება საგლეხო რეფორმის შემდეგ ინტენსიური გახდა. კავკასიელი ხალხისათვის ეს პროცესი კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებით, ცარიზმისათვის დამახასიათებელი ველური მეთოდების გამოყენებით აღინიშნა.

ცარიზმმა თანმიმდევრულად დაიწყო მხარის რუსიფიკაცია. მან აკრძალა კავკასიელი ხალხების მონაწილეობა სახელმწიფოებრივ მართვაგამგეობაში, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეზღუდა და მასში რუსული ელემენტები გააძლიერა. ცარიზმმა არ მისცა კავკასიას ერობები, ამით სურდა ჩაეხშო დაპყრობილი ხალხების საზოგადოებრივი ინიციატივის ყოველგვარი გამოვლინება. კავკასიის პრესა ცენზურით შეიბოჭა. დაწესდა მკაცრი კონტროლი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაზე. ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის ადგილობრივი ინტელიგენციის საქმიანობას მეფის მოხელეებმა გადაულახავი დაბრკოლებანი შეუქმნეს, ხოლო თვითონ ველიკორუსული ნაციონალიზმის პროპაგანდა გააძლიერეს.

ცარიზმმა განსაკუთრებული სიმკაცრით შეუტია კავკასიურ

ენებს, დაწუებით სკოლებში დედაენის სწავლება გააუქმეს, რომ ამით დაეივიწუებინა მოზარდი თაობისათვის მშობლიურ ენაზე აზროვნება, გადაეგვარებინა, გაერუსებინა იგი. დაიწყო ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთწაკიდების ვერაგული პოლიტიკის გატარება, „გათიშე და იბატონე“ პრინციპიდან გამომდინარე, მეფის მოხელეები განგებ აღვივებდნენ შუღლს სომხებსა, აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის, რათა მათი ურთიერთკონკლაობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი ფრონტი დაესუსტებინათ.

60-იანი წლებიდან, რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპის დაწყებასთან ერთად, საქართველოში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის დემოკრატ მოღვაწეთა ძლიერი ჯგუფი, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში „თერგდალეულთა“ სახელითაა ცნობილი.

თერგდალეულებს უწოდებდნენ რუსეთში 60—70-იან წლებში განსწავლულ ახალგაზრდებს, თუმცა ამ სახელწოდების ქვეშ არ იგულისხმებოდა ყველა ის, ვინც რუსეთში მიღებული დიპლომით დაბრუნდა მშობლიურ ქვეყანაში. თერგდალეულთა ჯგუფმა გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა, ერთის მხრივ, დრომოჭმულ ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის ცარიზმის უხეშ კოლონიურ პოლიტიკას, მათ მთელი თავისი საქმიანობა ქართველი ერის სულიერი გამოღვიძების, მისი ტრადიციების, ეროვნული შეგნების ამაღლების და კონსოლიდაციის კეთილშობილურ საქმეს დაუკავშირეს. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ამ ჯგუფის იდეური ბელადები და მედროშენი იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და თერგდალეულთა სახელით ცნობილი პროგრესულ მოღვაწეთა შესანიშნავი თაობა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდა. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ 50—60-იან წლებში უნივერსიტეტების ცხოვრებისათვის დამახასიათებელ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ქართველი 60-იანელები მხურვალედ თანაუგრძნობდნენ რუს განმანათლებელთა და რევოლუციურ-დემოკრატთა მედროშეების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის იდეებს და თავის მოვალეობად მიაჩნდათ ამ დიდ მოაზროვნეთა მოძღვრებისადმი ერთგულება და სამსახური. მაგრამ, ქართველი თერგდალეულები არ იყვნენ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ბრმა მიმდევრები, უბრალო ეპიგონები. მათ შეისისხლხორცეს ამ მოძრაობის ძირითადი არსი და იგი მშობლიური ერის სამსახურს მოახმარეს.

ყველაზე მტკივნეული, ყველაზე ძირითადი საკითხი, რომლის

გარშემო ქართველ სამოციანელთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა გაიშალა, ეროვნული საკითხი იყო. ამ პრიზმაში გადატყდა მათი დემოკრატიული, განმანათლებლური სულისკვეთება და იდეები. ამ კუთხით შეხედეს მათ ქართველ ერს, მის კლასებსა და წოდებებს, მის მომავალ ცხოვრებას, მის დანიშნულებას. და აქ, შეიძლება ითქვას, გამოვლინდა მათი იდეოლოგიის ძლიერი და სუსტი მხარეებიც.

ილია ჭავჭავაძეს — თერგდალეულთა იდეურ მებაირახტრეს — შეუნიავებლად ესმოდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი თესლი საქართველოში 30-იან წლებში ჩაითესა, მაგრამ იმის გამო, რომ ნიადაგი მაშინ სათანადოდ განაყოფიერებული არ იყო, ეს თესლი მთელი 20—30 წლის მანძილზე გაუნაყოფიერებელი დარჩა.

ილიას დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა 1832 წლის შეთქმულება, მაგრამ მის შესახებ თვალსაზრისის საჯაროდ გამოთქმა ცენზურის მკაცრი ზედამხედველობის პირობებში არ შეეძლო. ამ მოძრაობის შეფასებას მან შემდეგი სტრიქონები მიუძღვნა: „მართალია ამ სვენების ხანაშიაც კიდევ დაბნათოდა ჩვენს ცხოვრებას შუქი წინა-დღის ჩამავალის მზისა, წინადღიდგან გამოყოლილნი და გულში ჩარჩენილნი ანდერძნი კიდევ ასულდგმულებდნენ საზოგადო მოღვაწეთა, და თუმცა ამისთანა მოღვაწეებმა, ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დაჰმარცხდნენ... დამარცხებულნი სრულიად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდამ, დაიქსაქსნენ, თუმცა კი გულისტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში“ [1].

რუსეთის 50—60-იანი წლების დემოკრატიული სულისკვეთებით განმსჭვალული ი. ჭავჭავაძე არ თანაუგრძნობდა ეროვნული საკითხისადმი 1832 წლის შეთქმულთათვის დამახასიათებელ მიდგომას, მაგრამ მაინც დიდ და პროგრესულ საქმედ მიაჩნდა ადრე ჩადებული თესლის გაღივება, ე. ი. თვით საკითხის დაყენება, რომელიც ახალ ვითარებაში, ახალი ძალებით სხვაგვარად უნდა გადაწყვეტილიყო.

ქართველმა სამოციანელებმა ეროვნულ პროგრამაში წამოაყენეს და თავიანთ დროშას წააწერეს: ქართველი ერის მატერიალური და სულიერი ძალების კონსოლიდაცია, ქართული მამულიშვილობის კეთილშობილური ცნების აღდგენა და საქართველოს განთავისუფლება ცარიზმის კოლონიური უღლისაგან, მისი ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა-განვითარება.

ეროვნული პროგრამის პირველი ამოცანა, ე. ი. ერის გამოღვიძე-

---

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 3, 1953, გვ. 203—204.

ბა, მისი აღორძინება დემოკრატიულ საწყისებზე, ლოგიკურად უკავშირდება და აპირობებდა მეორე, მთავარ ამოცანას — ბრძოლას ცარიზმის კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებას.

60-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი გამოუვალი კრიზისის წინაშე იდგა და რევოლუციურ-დემოკრატიულ ბანაკს მძლავრი იერიშები მიჰქონდა თვითმპყრობელობის ბურჯებზე, ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ დადგა ხელსაყრელი დრო ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისათვის და ცარიზმის მწვავე კოლონიური რეჟიმის დამხობისათვის. პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნებულმა ილიამ „მგზავრის წერილებში“ მოხევეს ათქმევინა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ და იქვე დასძინა: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე, მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწაწყალო, მომეც ამისი პასუხი!..“ [1].

ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მოხევის აზრი ილიას აზრია, ილიას გულისტკივილია. მაგრამ ეს იდეა — საქართველოს ცარიზმის უღლიდან განთავისუფლების იდეა — გულში აქვს ჩამარხული, ვიდრე ეროვნული ძალები დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად არ იქნება შემზადებული. ილიას სწამს, რომ ვიდრე არ მომხდარა ერთის ფიქრით მთელი საქართველოს დარაზმვა, მოხევის ლოზუნგი: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — ფუჭი ოცნებაა. ამიტომ იგი სამშობლოში დაბრუნების პირველი დღიდანვე ძველი მამულიშვილობის აღდგენის, ხალხის ეროვნული გამოღვიძება-გათვითცნობიერების საქმეს ემსახურება.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ამ ეტაპზე დემოკრატიული რუსეთის მფლობელობაში მყოფი ხალხების ეროვნულ სრულუფლებიანობას, მის შინაგან დამოუკიდებლობას ნიშნავდა. ყოველივე ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო რუსეთის დემოკრატიულ ძალებთან, ანუ როგორც სამოციანელები იტყოდნენ, ახალ რუსეთთან ქვიდრო ურთიერთობასა და თანამეგობრობაში.

ასეთი ეროვნული პროგრამით გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე დიდი პროგრესული მოვლენა იყო. იგი ერთდროდა

---

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 2, 1950, გვ. 30.

რუსეთის და ევროპის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ცნობილია, რომ მარქსი საქართველოს „რუსეთის სამხრეთის პოლონეთს უწოდებდა". ამიტომ სავსებით მართებულად მიგვაჩნია საქართველოს მიმართაც ვ. ი. ლენინის შეფასება, რომელიც მან პოლონეთის 1863 წ. აჯანყებას მისცა.

როგორი იყო ეროვნულ საკითხში თერგდალეულთა პროგრამის სოციალური შინაარსი?

რუსეთის დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილ ქართველ სამოციანელებს შესანიშნავად ესმოდათ ბატონყმური წყობილების დრომოჭმულობა, ქვეყნის დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნის აუცილებლობა. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ ბატონყმურმა ურთიერთობამ მოსჭამა თავისი დრო და ეკონომიური და საზოგადოებრივი წინსვლის ბორკილად იქცა.

თერგდალეულებმა სწორად განსაზღვრეს, რომ ბატონყმობა მთავარი დაბრკოლება იყო მათი ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, ფეოდალურ-ბატონყმური კარჩაკეტილობა აბრკოლებდა ქართველი ერის ეკონომიურ გაერთიანებას, ბატონყმური მეურნეობის დაბალი დონე და რუტინული ხასიათი აკონსერვებდა ერის შესაძლებლობას, ბატონისა და ყმის კლასობრივ ბრძოლაში იწრიტებოდა ის ძალები, რომელიც ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის იყო საჭირო. ბატონყმობის ლიკვიდაცია ბორკილს ახსნიდა შრომას და გზას გაუხსნიდა ერის წიაღში დაგუბებულ მატერიალურ და სულიერ ენერგიას.

ილია ჭავჭავაძე ჩიოდა ქართული საზოგადოების წოდებრივ, კლასობრივ გათიშულობაზე. მას დიდად აწუხებდა, რომ ჩვენში „არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს — თავადი, გლეხსა — ორივე. ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედა ამოსულნი?"[1].

ასეთი გათიშულობის მთავარ დამნაშავედ ილიას არსებული სოციალური რეჟიმი მიაჩნია. მას მოურიდებლად გამოჰყავს მზის სინათლეზე მუქთახორა, გონებრივად დაჩლუნგებული, სასაცილო, პირუტყეული ჟინით შეპყრობილი, გულქვა და უნაყოფოდ მეოცნებე ტიპები ქართველი თავადებისა, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების ხორცმეტად გადაქცეულან და დავიწყნიათ ქართველის დანიშნულება.

თერგდალეულნი ეძებდნენ ისეთ საერთო ნიადაგს, სადაც ბატონ-

[1] ილია ჭავჭავაძე. თხზ., ტ. 8, გვ. 74.

ყმობის მოსპობის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა ყველა წოდების თანამშრომლობა, სადაც ერის მატერიალური და სულიერი ძალების ასაღორძინებლად ყველა ერთისთვის, ერთი კი ყველასათვის იმუშაებდა. მხოლოდ იძულების ბორკილებისაგან განთავისუფლებული შრომა, ცალკეულ საზოგადოებრივ კლასებსა და ფენებს შორის ჰარმონია, მისი აზრით, უზრუნველყოფდა ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას.

ქართველ სამოციანელებს სწამდათ, რომ ძირითადი ნაწილი საზოგადოებისა, მისი წამყვანი ძალა, მისი მატერიალური კეთილდღეობის საზომი გლეხობა იყო. გლეხობაში ყველაზე უკეთაა დაცული და შემონახული ეროვნული ტრადიციები. გლეხის შრომამ შეინახა და გამოატარა საქართველო დიდ ისტორიულ ქარცეცხლში, ამიტომ გლეხს უნდა გავუფრთხილდეთ. დავიცვათ მისი ინტერესები, ავხსნათ ბატონყმური ბორკილები, მივცეთ გასაქანი, გავიზიაროთ მისი გამოცდილებაო—მოითხოვდა დიდი მწერალი და მოაზროვნე ილია.

თერგდალეულები მართალია, დაუნდობლად ააშკარავებდნენ თავადაზნაურული კლასის გადაგვარებას, მის სოციალურ სიმახინჯეს, მის წოდებრივ კარჩაკეტილობას, ფუქსავატობას, გულქვაობას, სულიერ დაკნინებას, მაგრამ, მათ სწამდათ ისიც, რომ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ თავადაზნაურული კლასის ჯანსაღი ნაწილი, თუკი ხელს აიღებდა სოციალურ პრივილეგიებზე და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში ჩაებმებოდა, სათანადო ადგილს დაიჭერდა სხვადასხვა წოდებათა შრომით ჰარმონიაში. ტყუილად როდი იშველიებდა ილია საქართველოს წარსულს იმის დასასაბუთებლად, რომ ხმალი და გუთანი ინახავდა საქართველოს. ამასთან ხმალი თავადაზნაურობას ეჭირა ხელში, გუთანი — გლეხობასო. მართალია, დღეს ხმლის დრო წავიდა, მაგრამ თავადაზნაურობას ხმლის ნაცვლად შეუძლია მეცნიერება აიღოს ხელთ ერის სამსახურისათვისო.

თერგდალეულთა ეს სოციალური იდეალი, ცხადია უტოპია იყო ეს იყო იგივე უტოპიური სოციალიზმი, ეროვნულ პრიზმაში გარდატეხილი ისეთივე ლამაზი ფრაზა, როგორსაც მარქსამდელი სოციალისტები, მათ შორის რუსი განმანათლებლები ქადაგებდნენ. მატერიალისტურად მოაზროვნე ილიას ამ შემთხვევაში მოსდიოდა იგივე შეცდომა, რაც მარქსამდელ მატერიალისტებს, რომლებიც საზოგადოებრივი მოვლენების ახსნაში იდეალისტურ პოზიციაზე იდგნენ.

სახელოვანი ქართველი სამოციანელები გულწრფელი დემოკრატები და განმანათლებლები იყვნენ. მათი მოძღვრება მარქსამდელი დემოკრატიული იდეოლოგიის საუკეთესო მონაპოვართა შემოქმედების ათვისების საფუძველზე ქართული სინამდვილიდან ამოდიოდა

და ქართული საზოგადოების პროგრესს ემსახურებოდა. ილია არც ლიბერალი იყო, არც ჩერნიშევსკის თარგზე გამოჭრილი რევოლუციონერ-დემოკრატი, არც წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ამ მიმართულების ცალკე ელემენტი მოიპოვება მის მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში, ცხადია, არა ეკლექტური ნარევის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიის ორგანული შემადგენელი ნაწილის სახით.

ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველაზე არსებითი მხარეების გათვალისწინება გვიკარნახებს ვაღიაროთ იგი XIX საუკ. 60—70-იანი წლების დიდ განმანათლებლად და დემოკრატად, ქართველი ხალხის სულიერ მამად, მის ბელადად სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რეაქციის პარპაშის პერიოდში, როცა მეფის აგენტებმა ილია ჭავჭავაძე სიცოცხლეს გამოასალმეს, ხოლო მისი დამსახურების შეფასებაში სხვადასხვა პარტიებს შორის დიდი კამათი და დავა იყო, ვაჟა-ფშაველამ, ილიას ამ სახელოვანმა თანამოკალმემ და თანამებრძოლმა, ყველაზე უკეთ განსაზღვრა მისი მოღვაწეობის შინაარსი და დამსახურება. „ილიამ — აღნიშნავდა ვაჟა — ეროვნული საკითხი მკვიდრ ნიადაგზე დააყენა. იგია წარმომადგენელი მთელი საქართველოს ერისა, მისი იდეოლოგი"... [1] მან... „საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი. როგორც დედა ერთადერთ ჩვილ შვილსა, ისე დასძრწოდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, არ მომიშივდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულ ხმალს პირველი უფარდებდა ფარსა" [2].

ილია ჭავჭავაძემ თავის კეთილშობილურ ბრძოლაში გაიყოლია ამ პერიოდის მოღვაწეთა მთელი თაობა (ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე. ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.). ის მცირედი უთანხმოებანი, რაც საქართველოს მომავლის გაგების საკითხში ამ თაობის ზოგიერთ წარმომადგენელთა შორის არსებობდა, არ გვაძლევს საფუძველს იმისთვის, რომ ეს მოღვაწენი ცალ-ცალკე დაპირებად დავყოთ და ერთმანეთს დავუპირისპიროთ. ეს იყო ისეთივე ერთიანი ნაკადი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, როგორც ერთიანი იყო რაზნოჩინცული ეტაპი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ ნაკადში რუსი ნაროდნიკების მსგავსად,

---

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა. თხზ., ტ. 5, გვ. 241.

[2] იქვე, გვ. 291.

იყვნენ ქართველი ნაროდნიკებიც, მიუხედავად მათ მიერ ეროვნული საკითხის სხვაგვარი გაგებისა.

დემოკრატიული მოძრაობის ეს საუკეთესო წარმომადგენლები იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნატრობდნენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედათ, რუსეთის უნიჭიერესი მედასავლეთენი („ზაპადნიკები“) ბელინსკი, დობროლუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუის“ და „რა ვქნათ“, შჩედრინი და სხვანი“ [1].

ილია ჭავჭავაძე აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან ერთად თავისი მსოფლმხედველობის ბოლომდე ერთგული დარჩა. მართალია, ცხოვრება წინ წავიდა, კლასთა ახალი დაჯგუფებებისა და ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გაჩაღების ვითარებაში სამოციანელთა სოციალურ-ეკონომიურმა იდეალებმა ადრინდელი სიცხოველე და პროგრესულობა დაჰკარგეს კიდეც. მაგრამ მთლიანობაში აღებული მათი მოღვაწეობა მაინც ქართველი ერის ეროვნული ჩაგვრისაგან ვანთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა.

ილია და მისი სახელოვანი თანამებრძოლები მოესწრნენ კიდეც ეროვნული გამოღვიძების დიდ ეპოპეას — პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას რუსეთის იმპერიაში. მათ რევოლუციაში ქართველი მშრომელი მასების დარაზმულობა ახარებდათ, მათთვის ეს იყო პირველი შემართება იმ ეროვნული ძალებისა, რომელთა გამოღვიძება-კონსოლიდაციისათვის XIX ს. 60—90-იან წლებში იბრძოდნენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე პერიოდი, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენში XIX ს. 90-იანი წლებიდან იწყება და რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე ეტაპს უკავშირდება. ესაა კაპიტალიზმის მომაკვდავი და უკანასკნელი სტადიის — იმპერიალიზმის პერიოდი, რომელშიც მძლავრად ბობოქრობს მასების განმათავისუფლებელი მოძრაობის ქარიშხალი. ამ ეპოქის დღის წესრიგში, პრაქტიკულად ისმის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის ლიკვიდაციის ამოცანა ამ დიდ ამოცანას ექვემდებარებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ყველა საკითხი, მათ შორის ეროვნული საკითხი. მასების განმათავისუფლებელი მოძრაობის საბრძოლო შტაბი — კომუნისტური პარტია, ისე როგორც ყველა საბრძოლო საკითხში, ეროვნულ საკითხშიც კონკრეტულ პროგრამას აყალიბებს, რომლის განხორციე-

---

[1] ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები. 1940. ტ. II. გვ. 114.

ლება ეროვნული თავისუფლების მოპოვებისა და დამკვიდრების ერთადერთი და მტკიცე გარანტია ხდება.

კლასობრივ ძალთა განლაგებაში და ამის შესაბამისად ეროვნული საკითხის დაყენებაში არსებული ცვლილება ხდება საქართველოშიც. 90-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდიან ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. თვითეულ ამ კლასს თავისი ინტერესების პარტია გაუჩნდა, რომელთაც კლასობრივი ბრძოლის სხვა საკითხებთან ერთად მწვავედ დააყენეს ეროვნული საკითხიც. ეს ის დროა, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმავალი გზით მიემართება და მასში აქტიურად ებმებიან მასები (პროლეტარიატი და გლეხობა). ეროვნული მოძრაობა აქ უფრო მეტად იჟღინთება სოციალური შინაარსით და იღებს იმპერიალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ მკვეთრ ხასიათს. სწორედ ამიტომ, ამ ეპოქაში მწვავედ ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე, მისი წამყვანი ძალა — ბურჟუაზია თუ პროლეტარიატი, ვის შეუძლია და აწყობს ყველაზე მეტად ცარიზმის კოლონიური უღლისაგან საქართველოს მშრომელი მასების განთავისუფლება და სოციალური ჩაგვრის უღლის დამსხვრევა — ბურჟუაზიას თუ პროლეტარიატს.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ამ როლს ბურჟუაზიას აკისრებდნენ (ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელი მენშევიკები), პროლეტარული იდეოლოგია (მარქსიზმ-ლენინიზმი), ბურჟუაზიის კლასობრივი კონტრრევოლუციური ბუნების ანალიზიდან გამომდინარე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეობას პროლეტარიატს აკისრებს, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრულ იდეოლოგიად აღიარებს და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლოზუნგი მიაჩნია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთ სწორ, უტყუარ მიმართულებად.

სამი რევოლუციის (1905—1907 წლების რევოლუცია, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და 1917 წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია) ისტორიულმა გამოცდილებამ საფუძვლიანად დაადასტურა ეროვნულ საკითხში ბოლშევიკური პარტიის პროგრამის სისწორე, ეროვნული საკითხის ლენინური დაყენების მიზანშეწონილობა. ბურჟუაზიული პარტიები საქართველოში არასოდეს არ გამოსულან საქართველოს მშრომელი მასების თანმიმდევრულ მოსარჩლედ და ერის ინტერესებს ისინი ყველა საბედისწერო მომენტში კლასობრივ ინტერესებს უქვემდე-

ბარებდნენ. ადგილობრივი ბურჟუაზია და მისი პარტიები ცარიზმის კალთებს იყვნენ ამოფარებულნი პროლეტარული მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ევროპული პროგრამა (ამიერკავკასიის ტერიტორიული ავტონომია, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია და სხვ.) მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს ასახავდა, მასების რევოლუციურ მოძრაობას კი თიშავდა იმპერიის საერთო რევოლუციური მოძრაობისაგან და აჩიავებდა მას. ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ დაუდგათ თავიანთი ეროვნული იდეების პრაქტიკული განხორციელების პერიოდი. მაგრამ ეს პრაქტიკა ქართველი ხალხისათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა და იმპერიალისტური დასავლეთის მონობაში მოქცევის რეალურ საფრთხედ იქცა. ამგვარად, ბურჟუაზიის ეროვნული პროგრამა თეორიულად და პრაქტიკულად საქართველოს მშრომელი მასებისათვის გამოუსადეგარი და საზიანო აღმოჩნდა მესამე პერიოდის ყველა ფაზაში.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეობა მთელი მესამე პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნა საქართველოს პროლეტარიატმა, რომელსაც საქართველოს გლეხობის სახით საიმედო მოკავშირე ჰყავდა. ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, ლენინური ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის შეუპოვარი ხანგრძლივი ბრძოლით საქართველოს მშრომელმა მასებმა წარმატებით გადაწყვიტეს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მოსპობის ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის ძირითადი და წამყვანი ფაქტორი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც რუსეთის ექსპლოატატორული რეჟიმი დაამხო და რუსეთის იმპერიის ხალხები, გაათავისუფლა რა სოციალურ-ეროვნული ჩაგვრისაგან, დამოუკიდებელი ძმური ერთიანი ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
რა არის ერი 4
ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ 32
XIX ს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციის საკითხისათვის 70

რედაქტორი ი. ანთელავა
გამომცემლობის რედაქტორი პ. ღელეული
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ნ. ქანთარია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/VII—70 წ.
ქაღალდის ფორმატი 60×90/16
ნაბეჭდი თაბახი 6,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,65
შეკვეთა 377 უე 10402 ტირაჟი 1000
ფასი 42 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 1